

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

Министерство образования и культуры Автономной Республики Абхазия

ლევან რჩეულიშვილი

ЛЕВАН РЧЕУЛИШВИЛИ

VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი სურთმშენებლობა აფხაზეთში

КУПОЛЬНАЯ АРХИТЕКТУРА VIII-X ВЕКОВ В АБХАЗИИ

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2018

ნაშრომში განხილულია აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე არსებული VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძეგლები. არქიტექტურული ფორმების ანალიზმა და ისტორიულმა წყაროებმა მოგვცა შესაძლებლობას დაგვედგინა ნაგებობების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. საქართველოს სხვა რეგიონების და მეზობელი ქვეყნების არქიტექტურასთან შედარების საფუძველზე განხილული ნაგებობები მიკუთვნებულია შუა საუკუნეების ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების რიგს და გამოყოფილია განმასხვავებელი ის თვისებები, რომელიც დამახასიათებელი იყო ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციისათვის.

В работе рассматривается памятники купольного зодчества VIII-X веков, сохранившейся на территории Абхазкой автономной республики - Грузии. Анализ архитектурных форм и сведения, содержащихся в исторических источниках, даёт возможность установить хронологическую последовательность построек. Сопоставление с произведениями архитектуры других земель Грузии и соседних стран позволяет поставить изучённые памятники в ряд купольных здании средневековой Грузии и выделить отличающие их черты, характеризующие местную строительную традицию.

რედაქტორ-გამომცემლები / Редактор-Издатели:

დიმიტრი თუმანიშვილი (მთავარი რედაქტორი) / Димитри Туманишвили (главный редактор)
ირაკლი გელენავა / Иракли Геленава
გიორგი პატაშური / Гиорги Паташури
ქეთევან დავითაია / Кетеван Давитаиа
მარიამ გაბაშვილი (ინგლისური ტექსტის რედ.) / Мариам Габашвили (редакторы английского текста)

1988 წელს გამოცემული წიგნის რედაქტორები / Редакторы книги изданной в 1988 году:

ვახტანგ ბერიძე / Вахтанг Беридзе
დიმიტრი თუმანიშვილი / Димитри Туманишвили

რეცენზენტები / рецензенты:

ლეონიდ შერვაშიძე / Леонид Шервашидзе
მალაქია დვალი / Малакиа Двали



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
Министерство образования и культуры Автономной Республики Абхазия

პარტნიორი ორგანიზაცია / Партнерская организация:



გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი
Национальный центр по исследований истории грузинского искусства и зашити памятников им Г. Чубинашвили

სარჩევი

გამომცემლებსაგან.....	5
შესავალი.....	6
ბზივის ციხის ტაძარი.....	9
ანაკოფიის წმ. სიმონ კანანელის სახელობის და ლიხნის ტაძრები.....	24
მოქვის ტაძარი.....	32
შესავალი – ძეგლის ისტორიული ცხოვრება	32
ძეგლის აღწერა	34
ლიტერატურული მონაცემები მოქვის ტაძრის შესახებ და მისი დღევანდელი მდგომარეობა	37
მოქვის ტაძრის ხუროთმოძღვრების რაობა და მისი ისტორიული ადგილი	40
აფხაზეთის ტაძრების ისტორიულ და მხატვრული მნიშვნელობის შესახებ	45
დასკვნა.....	55
ОТ ИЗДАТЕЛЕЙ.....	56
ВВЕДЕНИЕ.....	57
ХРАМ В ЦИТАДЕЛИ КРЕПОСТИ БЗЫБИ.....	60
ХРАМ СВ. СИМОНА КАНАНИТА В АНАКОПИИ И ЛЫХНЕНСКИЙ ХРАМ	74
МОКВСКИЙ ХРАМ	81
ИСТОРИЧЕСКАЯ ЖИЗНЬ ПАМЯТНИКА.....	81
ОПИСАНИЕ ПАМЯТНИКА	83
ЛИТЕРАТУРНЫЕ ДАННЫЕ ОБ АРХИТЕКТУРЕ МОКВСКОГО ХРАМА И ЕГО НЫНЕШНЕЕ СОСТОЯНИЕ.....	85
СУЩНОСТЬ АРХИТЕКТУРЫ МОКВСКОГО ХРАМА И ЕГО ИСТОРИЧЕСКОЕ МЕСТО	88
ОБ ИСТОРИКО-ХУДОЖЕСТВЕННОМ ЗНАЧЕНИИ ХРАМОВ АБХАЗИИ	93
ЗАКЛЮЧЕНИЕ	102

ZUSAMMENFASSUNG	103
SUMMARY	108
ნახაზები / ЧЕРТЕЖИ.....	112
ილუსტრაციები / ИЛЛЮСТРАЦИИ.....	132

გამოცემლებისაგან

წინამდებარე ნაშრომი 30 წლის წინ გამოქვეყნდა, სულ სხვა ვითარებაში და თვით სხვა სახელმწიფოშიც კი, თუმცა, როგორც იოლად დარწმუნებით, ბევრი დღევანდელი სანუხარი და სატკივარი მაშინაც არ გვასვენებდა, ამიტომაც არის იგი კვლავ მაშინდელივით „აქტუალური“...

იმ უკვე შორეულ 1988 წელს ავტორი, პროფესორი ლევან რჩეულიშვილი ჩვენ შორის აღარ იყო, თუმცა გამოსაცემად თავისი შრომა თავად გაამზადა. „შესავალიდან“ მკითხველი მიხვდება, რომ ეს მომცრო წიგნი მრავალწლიანი შრომის ნაყოფია, მასში ხანგრძლივი გამოცდილება და ნაგრძნობ-ნაფიქრალია დანერგული. და მაინც, თუმცა აქ დაბეჭდილ ყოველ წინადადებაში ბატონი ლეო სავსებით დარწმუნებული იყო, თავისი ნააზრევის საქვეყნოდ გამოტანა მაინც ნაადრევად მიაჩნდა, თავისი სამუშაო კი – დაუსრულებლად. თანამშრომლებმა და მოწაფეებმა, ლამისაა, დავაძალეთ ნაშრომისათვის, თუნდაც წინასწარულად, დამთავრებული სახე მიეცა. სამომავლოდ, შესაძლოა საყურადღებო იყოს, ყველაზე მეტად რომ მას ბიზანტიურ, მეტადრე ტრაპეზუნდის ეკლესიებთან შედარებით – მხატვრული ანალიზების ნაკლებობა აწუხებდა, რომელთა შესრულება მაშინდელ პირობებში, რბილად თუ ვიტყვი, ძალიან ძნელი გახლდათ.

ნაშრომის დიდი ნაწილი ქართულად იყო დანერგილი, მაგრამ, რაკი გამოცემა, გასაგები მიზეზების გამო, რუსულენოვანი უნდა ყოფილიყო, საბოლოო ჩასწორება-რედაქტირება უკვე რუსულად ხდებოდა, რუსულადვე დაინერ-გაიმართა ზოგიერთი, განსაკუთრებით დამაბოლოებელი მონაკვეთები. ამიტომაც, აქ წარმოდგენილი ქართული ტექსტი უკვე საბოლოო რუსულის მიხედვითაა შევსებული და გაჩარხული, რის გამოც ალაგ-ალაგ ქართული, იქნებ, ბოლომდე აღარც ჰგავდეს ლ. რჩეულიშვილს. არადა, ჩვენ საგანგებოდ შევინარჩუნეთ ზოგიერთი ტერმინი და ფორმა, რომელიც ახლა აღარ გამოიყენება, მაგრამ ბატონი ლეო, სავარაუდოდ, მათ არ შეელოდა. ზოგი რამ, მცირედი შესწორება, რუსულ ტექსტშიც შევიდა. სრულიად შეგნებულად არ ავსახეთ ახალ გამოცემაში – ერთადერთი გამონაკლისით – ბოლო დროის პუბლიკაციები აფხაზეთის ხუროთმოძღვრებაზე – იმიტომ, რომ მათი ნაწილი თემატურად სულ სხვა სიბრტყეშია, ზოგი კი ისეთი დონისაა, მათ ხსენებასაც კი ვერ ვაკადრებდით ბატონ ლეოს ნაშრომს.

არც ის გვიცდია, ლ. რჩეულიშვილის გამოკვლევა რამენაირად „გაგვეთანამედროვებინა“, დღევანდელ – ხშირად ბატონი ლეოს თვალსზრისის სანინააღმდეგო! – ხედვისათვის მიგვესადაგებინა. იქნებ, ერთგვარმა „ძველმოდურობამ“ თავისი საქმე გააკეთოს და საზოგადოებას სხვადასხვა რიგის მუდამ საჭირობოროტო საკითხები გაახსენოს და გაუცხოველოს.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული, ფეოდალური ხანის ძეგლები. შერჩეულია ისტორიული განვითარების მხოლოდ იმ ერთი რგოლის არქიტექტურული ნაგებობანი, რომლებიც „აფხაზეთის სამეფოს“ პერიოდშია აშენებული და ქრონოლოგიურად VIII-X საუკუნეთა ფარგლებში ხვდება. ამ ძეგლთა გავრცელების არეალი ისტორიული (ფეოდალური პერიოდის) ცხუმის, აფხაზეთისა და ბედიის¹ საერისთაოების ტერიტორიის შიგნით ექცევა და თითქმის მთლიანად იფარგლება დღევანდელი ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებით.

ძირითადი ყურადღება ამჯერად შეჩერებულია საკულტო არქიტექტურაზე. მონოგრაფიული განხილვისათვის ასეთი არჩევანი შეაპირობა არა მხოლოდ იმ ერთადერთმა მოსაზრებამ, რომ სადღეისოდ ეს თემა უფრო მრავალი მაგალითით არის წარმოდგენილი და ძეგლებიც უკეთესადაა შემონახული, არამედ უმთავრესად იმანაც, რომ მათში უფრო სრულად და მკაფიოდ არის ასახული მისი შემქმნელი საზოგადოების სულიერი წყობა და კულტურის თავისებურება. იგი საშუალებას იძლევა უფრო ფართოდ იყოს დასმული შუა საუკუნეების აფხაზეთის არქიტექტურის მნიშვნელოვანი პრობლემები: მისი გენეზისი, ევოლუციური თვითმყოფადობის თუ ურთიერთობის საკითხი, იგი იძლევა საშუალებას გარკვეული იყოს მისი დამოკიდებულება ფეოდალური საქართველოს არქიტექტურის განვითარების ძირითად გზებთან და ურთიერთობა იმ დროის კულტურის მთავარ ცენტრებთან – ბიზანტიასთან და ა.შ.

კიდევ მეტი, ტაძრები, რომელთა შესახებაც გვექნება საუბარი, საეკლესიო აღმშენებლობის ძეგლთა ერთ ნაწილსა შეადგენს. ისინი ევოლუციურად მჭიდროდ შეკავშირებულ, თავისი მხატვრული ბუნებით მონათესავე სტილისტურ ჯგუფად იკვრება. საკვლევი თემის ასეთი შემოფარგვლა, მისი ქრონოლოგიური და ტერიტორიული მიჯნების შეზღუდვა სავსე მუშაობის დროს დაზუსტდა და თვით ფაქტიური მასალის შესწავლამ და ისტორიული მსვლელობის დინამიკაში მისმა განხილვამ გვიკარნახა.

სავსე საშუაობის დროს, ძეგლთა ადგილზე შესწავლის პროცესში, ამოცანა, რასაკვირველია, ასე მკაცრად არ შეგვიზღუდა. მასალის შეგროვებისას ვეცნობოდით არა მხოლოდ ამ ტერიტორიაზე არსებულ ისტორიული არქიტექტურის ყველა სახის და ყველა დროის ობიექტებს, არამედ ამ საერისთაოთა ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებულ ანალოგიებსაც. მართალია, ყველაფერი ჩვენს მიერ ნახული და შესწავლილი ამ მონოგრაფიაში არ შევიდა, მაგრამ წერის პროცესში, მხედველობის არის გარეთ არ დარჩენილა და, ბუნებრივია, ისინი გათვალისწინებულია კიდევ, იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო – ამის გარეშე ყოველგვარი მოსაზრება და, მითუმეტეს, განზოგადებული სახის დასკვნის გამოტანა ხომ მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ ობიექტურობასა და მყარ საფუძველს.

აფხაზეთის არქიტექტურის შესწავლის სპეციფიკური სირთულე გამოიხატება არა მხოლოდ მასალის დაგროვების სიძნელეში, რისთვისაც გვიხდებოდა ყოველი ძეგლის ხელახალი აზომვა, მათი გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია, საარქივო მასალების გადასინჯვა და სხვა, არამედ უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ მიუხედავად მისი თითქმის სრული შეუსწავლელობისა, ჩვენ ვაწყდებით ლიტერატურაში მსოფლიო ავტორიტეტის მქონე მეცნიერთა მიერ უკვე შემუშავებულ მოსაზრებებს, რაც დაჟინებით მოითხოვდა ძეგლთა ადგილზე კვლავ გაღრმავებულ ძიებას და საკვლევი მასალის ზუსტ ფიქსაციას ყოველ დეტალში.

შეძლებისდაგვარად ვეცადეთ ცოცხალი წარმოდგენა გვექონოდა იმ პარალელურ უცხოურ მასალაზეც, რომელიც უკავშირდებოდა ანდა წინა მკვლევარნი უკავშირებენ აფხაზეთის ხუროთმოძღვრებას.

ჩვენ არ დავკამაყოფილებულვართ მხოლოდ გამოცემული ლიტერატურული ცნობებით და ილუსტრაციებით მათ შესახებ, ვინაიდან არქიტექტურული ძეგლის საუკეთესო პუბლიკაცია ცი ვერ შეცვლის საკუთარი თვალის ნახულის შთაბეჭდილებას და ასე დანახული არქიტექტურ-

¹ თანამედროვე ისტორიკოსების აზრით, ასეთი „საერისთავო“, მოყვანილი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ არ არსებულა (იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 187-188; თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 149-160). თუმცა ეს დასახელება ამჟამადაც მიღებულია (დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980.)

ის წარმოდგენას. ამ მიზნით, მოვინახულეთ როგორც შედარების, ისე ზოგიერთი მოსაზრების დაზუსტების მიზნით, ჩრდილოეთ კავკასიის ზელენჩუკის ხეობის ძეგლები, კიევის, ნოვგოროდის და ჩერნიგოვის XI-XII საუკუნეთა ტაძრები. აგრეთვე, გავეცანით თურქეთში მოგზაურობისას კონსტანტინეპოლის რამდენიმე არქიტექტურულ ძეგლსაც. ამან კი მტკიცე საყრდენი მოგვცა საერთო მოვლენების ობიექტური შეფასებისთვის და უფრო რელიეფურად დაგვანახა აფხაზეთის ხუროთმოძღვრების განვითარების გზა და ამ გზის თავისებურება.

არქიტექტურას, როგორც ერის კულტურისა და მისი შემოქმედებითი პოტენციალის ერთ-ერთ საუკეთესო გამოვლენას, შესწავს ძალა აჩვენოს ამ კულტურის რაობის სურათიც. ყოველი კულტურის განვითარება შემოქმედებითი და შემეცნებითია. არავითარი მოვლენა არ არის ჩაკეტილი ნაციონალური ტერიტორიის ნაჭუჭში არც კულტურაში და არც, სახელდობრ არქიტექტურის ისტორიულ განვითარებაში. ყოველი ნაციონალურად თავისებური ერთეულის შიგნით ვხვდებით მშობლიური წინამძღვრებისა და ადგილობრივ ტრადიციების ურთიერთმოქმედებას უცხოურ გავლენებთან. ამ გადადუღებისა, გარდასახვისა და ადგილობრივ პირობებთან მისადაგების გარეშე არ არსებობს ხელოვნების თავისთავადობა. თუ კი ხალხი დაკარგავს საკუთარი ნაციონალური ტრადიციის ფესვებს, გაფანტავს ინდივიდუალობას, მაშინ, ყოველ გავლენას გარედან დაკარგული აქვს ღირებულება და ასეთი გავლენა მხოლოდ და მხოლოდ ეპიგონურია – იგი ფუყა და მიმბაძველობითი. წინანდელი ნაშრომების მთელი რიგის ერთი მნიშვნელოვანი მანკიერება გამოიხატებოდა უმთავრესად იმაში, რომ მეცნიერების ხედვის არეში მოხვედრილ ყოველ ახალ ნაციონალურ კულტურაში ის ეძებდა მხოლოდ და მხოლოდ უცხოურ გავლენებს. ხოლო თვით ნაციონალური ფუძე, ტრადიცია და ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც დაპირისპირებული იყო უცხოურ ხელოვნების ათვისებასთან, გულისყურისა და კვლევის ინტერესის გარეშე რჩებოდა.

აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლების თავად შინაგანმა ბუნებამ გვიკარნახა გზა ამ პრობლემის გადასაჭრელად – მისი რაობის დასადგენად. ხელოვნების განვითარება მჭიდრო კავშირშია შემქმნელი საზოგადოების განვითარების გზასთან. ამ კავშირ-ურთიერთობის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მისი ისტორიული ცხოვრების ჭეშმარიტი სურათის აღდგენა. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევეცადეთ ჩვენი კვლევის ობიექტები გაგვეაზრებინა მათი შემქმნელი ხალხის ცხოვრებასთან ერთობლიობით, რათა ამ კავშირში დაგვედგინა მთავარი რაობა ამ კონკრეტული მოვლენისა.

აფხაზეთის მონუმენტურ ხუროთმოძღვრებას არ ახასიათებს საფასადო დეკორის განვითარებული სახე. იგი თითქმის კახეთის ძეგლების მსგავსად მოკლებულია მოჩუქურთმებულ სამკაულს. გარდა ამ სპეციფიკურობისა, როგორც ჩანს, საქართველოს ამ კუთხეში არ ყოფილა ტრადიცია ძეგლზე დამკვეთავის მიერ სამშენებლო წარწერის ამოჭრისა. აგრეთვე, საკვლევი მასალის ამ ორმა თავისებურებამ და ჩვენთვის საინტერესო ტაძრების აგების შესახებ ისტორიული საბუთების თუ ცნობების თითქმის სრულმა უქონლობამ განაპირობა მეთოდი მათი ქრონოლოგიური განსაზღვრისა. საყრდენი ამ პრობლემის დამუშავებისთვის მოქვის ძეგლმა მოგვცა, რომლის აგების დრო წერილობით წყაროებში დოკუმენტირებულია X საუკუნის შუალედით.

VIII-X საუკუნეების პერიოდი მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია საერთოდ ფეოდალური ურთიერთობის გზით მიმავალ საზოგადოების ცხოვრებაში. ეს არის დიდი სოციალური ძვრებისა და ახალი პოლიტიკური ურთიერთობის დადგენის პერიოდი. ეს არის პერიოდი მსოფლიოს უდიდეს ძალთა შეჭიდებისა, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების კარდინალური ცვლილებისა. ამ პერიოდში აღმოცენდა რამდენიმე ახალი კულტურა (არაბეთის, რუსეთის და ა.შ.) და ამ ეპოქაში ჩაესვენა ზოგი დიდი ძველი კულტურაც.

საქართველო ამ დროს, მოხვედრილი ამ დიდი გარდაქმნების გარემოცვაში, თავად განიცდის თავის შინაგან ცხოვრებაში რიგ მნიშვნელოვან ცვლილებებს. ესაა ფეოდალური ურთიერთობის სრული გამარჯვება და დამკვიდრება, და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური მთლიანობის რღვევის და ხელახლა გაერთიანების პროცესის ეპოქა. ხელოვნებასა და, კერძოდ კი, არქიტექტურაშიც ესაა პერიოდი დაუოკებელი ძიებისა, განახლებისა, ახალი მხატვრული მიდგომისა და პრინციპების ჩამოყალიბებისა. თუ ბიზანტიის ხელოვნებისათვის ეს პერიოდი ერთგვარი შემოქმედებითი კრიზისითაა აღბეჭდილი, საქართველოში იგი შემოქმედებითი მცდელობის, ახალ მხატვრულ იდეათა და ფორმათა ქმნადობის ეპოქაა. ქართული ხელოვნების ისტორიაში ეს

არის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული, ყველაზე თავისთავადი და თვითმყოფადობის გამომსახველობის მხატვრულ ძიებათა ეპოქა. ქართულ ხელოვნებაში ეს ეპოქა აღსავსეა მხატვრულ მიღწევათა კონტრასტებით – შემოქმედებითი აღმაფრენის მწვერვალებით და ჩავარდნებითაც. ესაა ეტაპი ხელოვნების ძირფესვიანი სტილისტური ცვლილებებისა, გამომდინარე ახალ ვითარებაში გარდამავალ საზოგადოების მიერ წამოყენებული ახალი ესთეტიკური ნორმებიდან.

ჩვენს ამოცანაში, უსათუოდ, ამ მხატვრულ პროცესებში აფხაზეთის ტაძრების ადგილის დადგენაც შედის. რათა გამოგვეყო ის ობიექტები, რომელნიც ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხის გარკვევაში დაგვეხმარებოდა, რა თქმა უნდა, მოცემული რეგიონის არქიტექტურის მთელი რეპერტუარი უნდა მიმოგვეხილა. თუ ავიღებთ V-X საუკუნეების მთელ პერიოდს, ყურადღებას საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება მიიქცევს – სამნავიანი ბაზილიკები, ცალნავიანი, ორნავიანი (ორაფსიდიანი) ნაგებობები, ე.წ. „სამეკლესიოანი ბაზილიკები“, ჯვარგუმბათოვანი ტაძრები. საკუთრივ VIII-X საუკუნეების პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ სწორედ ორი უკანასკნელი ტიპი წარმოგვიდგება (ბაზილიკებს, როგორც სჩანს, საერთოდ აღარ აშენებდნენ), თანაც გუმბათოვანი ტაძრების ძირითად მასას „ცროიხ ინსცრიტე“ ე.ი. „ჩანერილი ჯვრის“ სახის ნაგებობები წარმოადგენს. ამგვარად, ერთი მხრივ, გავრცელებულია სპეციფიკურად ქართული თემა, მეორეს მხრივ კი, საქრისტიანოს მრავალ ქვეყანაში ცნობილი კომპოზიცია. ამ წიგნის ფურცლებზეც სწორედ ამ უკანასკნელის მაგალითები – ბზიფის, ანაკოფის, ლიხნის, მოქვის ტაძრები² იქნება განხილული, რომელთაც ჩვენი აზრით ძალა შესწევთ ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ კითხვებზე პასუხების გაცემისა.

² გამოცემისთვის გრაფიკული მასალა, ავტორის ანაზომების მიხედვით, ძირითადად, არქიტექტორმა დიმიტრი ჯანიამვილმა მოამზადა.

ბზიფის ციხის ტაძარი

აღწერა: ბზიფის ხეობის მთიანი ნაწილის დასაწყისში, იქ, სადაც მდინარის სწრაფი დინება სტოვებს ვიწრო კლდოვან კალაპოტს და კალდახვარის ველზე გავლით მდორე დინებაში გადადის, რათა მიუსერას მთის შემოვლით რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ბიჭვინტის ყურესთან ზღვას შეუერთდეს, ფეხის ტერფსავით წინ გადმოდგმულ გაგრის მთაგრეხილის უკანასკნელ კლდოვან საფეხურზე ნაგებობათა ნაშთებია აღმართული. ჩანს, რომ ძველად ამ კირქვის ბორცვის ქარაფოვან ნაპირებზე ასეული საუკუნეების მანძილზე იმსხვერუდნენ მდინარის შმაგი ტალღები, ახლა კი იგი ოდნავ მოშორებია ბორცვს, მარჯვენა ნაპირზე დაუთმია მცირე ზოლი შარაგზისათვის. გზიდან მალა, ხვიარასა და ბარდების მწვანე ქსელში გახვეული თეთრ ლაქებად მოჩანან ქვითკირის შენობათა ნანგრევები.

თვით ბორცვის ზედა ნაწილი ოდნავ დაქანებულ ტერასოვან პლატოს წარმოადგენს, რომელიც გზის დონიდან ორი ათეული მეტრის სიმაღლეზეა აწეული. ნაგრძელებული სამკუთხედის ფორმის პლატოს კიდეები შემორკალულია ზღუდით. ზღუდე მხოლოდ ჩრდილოეთ, მხარეს მცირე მანძილზე წყდება, რადგან აქ შვეულად ჩაჭრილი კლდოვანი ლელის ნაპირი თავისთავად მიუვალი ზღუდეა. ზღუდის აღმოსავლეთის და დასავლეთის სექტორებში შემორჩენილია მალა-ლი კოშკების ნაშთები და, ჩანს, მათი საშუალებით ეს მხარე შედარებით ადვილად მისადგომი მტრისათვის, ზედმეტად გაძლიერებული ყოფილა თავდაცვისათვის.

როგორც ციხის ზღუდე, ისე მის შიგნით აღმართული ყველა ნაგებობა დღეს ნანგრევების სახით არის შემორჩენილი. უმრავლესობა მცენარეებით არის დაფარული და მათი ბოლომდე გასინჯვა განმნდის გარეშე დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ზღუდე კლდის ზედა კლდოვანი პლატოს კონტურს მისდევს. იგი ადგილ-ადგილ მეტ-ნაკლებად არის დაზიანებული, მაგრამ გადარჩენილი საკმაოდ დიდი ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ იგი მთლიანად მოპირკეთებული ყოფილა საშუალო ზომის კირქვის კვადრებით. ზღუდის სამხრეთ-დასავლეთის სექტორში შერჩენილია ჭიშკარი. კარის ალაყაფის კედლის სისქე 3 მეტრის ტოლია. კედლის სიღრმეში შემორჩენილია 30X50 სმ. კვეთის ღრმა ფოსოები, კარის ურდულის გასაყრელად. კარის ხვრელი გადახურული ყოფილა ხის დიდი მორებით (ახლა მათი მხოლოდ ანაბეჭდია შემორჩენილი), რომლებზედაც ქვისა და კირდულაბის პარაპეტია აღმართული. დღეს პარაპეტის წყობა ისეა შემტკიცებული, რომ მიუხედავად ხის მორების გამოფიტვისა, იგი მუშაობს, როგორც მონოლითური კოჭი. ბზიფის ჭიშკრიდან შემორჩენილია მთლიანად მისი ჩონჩხი (დულაბის გული), მაგრამ, ისევე როგორც ზღუდის კედელი, თავდაპირველად ისიც შემოსილი ყოფილა თლილი ქვებით. ამჟამად საპირე წყობის მხოლოდ ანაბეჭდებია შემორჩენილი და აქა-იქ დაზიანებული ქვების ფრაგმენტები.

ზღუდის შიგნით მოქცეული სამშენებლო მოედანი დაქანებულია და ორ საფეხურს ჰქმნის. ქვედა საფეხური შედარებით უფრო ვაკეა და უფრო დიდიც. ჩანს, იგი მჭიდროდ ყოფილა განაშენიანებული. ერთი შენობა საკმაოდ მოზრდილია და ის შესაძლებელია სასახლის ნაშთები იყოს.

ზედა ტერასის ჩრდილო-დასავლეთის კიდეებთან მოზრდილი ეკლესიის მნიშვნელოვანი ნანგრევებია აღმართული. ხოლო ამ ტაძრის აღმოსავლეთით დაახლოებით 8-9 მეტრის მოშორებით თლილი ქვით ნაგები შენობის ფრაგმენტია (შვიდი რიგი წყობისა) გადარჩენილი. გარდა ამისა, ბაქნის შემალღებზე თლილი ქვით შემოსილი ორი ოთხკუთხა კოშკი დგას. ერთი, რომელიც ზღუდის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან არის აღმართული, უფრო მაღალია და დიდი. მისი გეგმა წესიერ სწორკუთხედს წარმოადგენს, კედლები კი ოდნავ დახრით არის ორსართულის სიმაღლეზე აღმართული. კოშკის შიგნით კედლებში ხის გადახურვისათვის დატოვებული ბუდეები შეიმჩნევა. მაგრამ, ეტყობა, კოშკი არა ნაკლებ ხუთი სართულისა უნდა იყოს. მეორე სართულის დონეზე, სამხრეთის კედელში სარკმლის ნირთხლია შემორჩენილი.

ეკლესიის დასავლეთით, ფერდზე კოშკისებური მეორე ნაგებობაცაა მცირე ზომის, ტლანქად ნათალი ქვებითაა მოპირკეთებული. მისი შიგა ზომები დაახლოებით 3,5X4 მეტრია. აღმოსავლეთისაკენ (ეზოსკენ) მას კარი აქვს დაყოლებული.

მართალია, ბზიფის ციხის კომპლექსის შემადგენელი ნაგებობანი ძლიერ დაზიანებულია და მოითხოვს გაღრმავებულ კვლევა-ძიებას, განმნდასა და გათხრებს, მაგრამ ამჯერად მაინც შესაძლებელია გარკვეული, წინასწარი დასკვნის გამოტანა:

ა) კომპლექსის ყველა ნაგებობა ადგილობრივი კირქვისგან არის აგებული. საამშენებლო ტექნიკა ყველა ნაგებობისა ერთგვაროვანია – ტაძარი, ზღუდე, კოშკები თუ სხვა ნაგებობის კედლები ორმხრივ მოპირკეთებულია თლილი ქვებით და გული კი შიგნით ამოვსებულია კირის დულაბით. ხსნარი ყველგან მაღალი ხარისხისაა და დღეს ისეა შედუღებული, რომ საპირე ქვებზე უფრო მეტად არის გამაგრებული.

ბ) საამშენებლო ტექნიკის ერთნაირობა და თვით მშენებლობის ხასიათი გვიჩვენებს, რომ ბზიფის ციხის კომპლექსი ერთ საამშენებლო პერიოდში არის აგებული.

გ) ნაგებობათა შემადგენლობა, მათი ფუნქციური დანიშნულება ლაპარაკობს იმაზე, რომ კომპლექსი ფეოდალურ ციხე-დარბაზს წარმოადგენდა — უფრო მეტად კი იგი პასუხობს დასახლებული პუნქტის ციტადელის ფუნქციას. მშენებლობის მასშტაბი, საამშენებლო ტექნიკის მაღალხარისხოვნება და ნაგებობათა არქიტექტურული სახის გარკვეული ეფექტურობა, გვიქმნის რწმენას, რომ იგი ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენლის ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო. ხოლო მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა ციხისა (ბზიფის და რინეულის ხეობის გზების ჩაკეტვა, კონტროლი ზღვის სანაპიროს გზისა) თვალსაჩინოს ხდის იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ასრულებდა იგი მხარის ფეოდალური გზით სვლის პერიოდში, მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში³.

ცხადია, რომ ბზიფის ციხისთვის ადგილის შერჩევა სტრატეგიულმა მოსაზრებებმა, შავი ზღვის სანაპიროდან (ბიჭვინტა!) ჩრდილოეთისკენ მდინარე რინეულას ხეობით მავალი გზის გაკონტროლების საჭიროებამ განსაზღვრა. ის გვესახება შიდა პოლიტიკური ბრძოლის შედეგად პრივილეგიებს დაუფლებული ფეოდალის რეზიდენციად, რომელიც ბიზანტიური ფაქტორიდან გამომავალ გზაზე ბატონობს, ე.ი. მის წინააღმდეგ არის მიმართული. ამავე დროს, ის მთიანეთზე გავლენის გავრცელების ფორპოსტიც უნდა ყოფილიყო და, თანაც, ისივე როგორც საქართველოს მთის სხვა მხარეებშიც (მაგ. რაჭაში) არის ხოლმე, ერთდროულად საქართველოს მაღალმთიან კუთხეებზეც და ჩრდილოეთ კავკასიაზეც.

მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, ბზიფის ციხის და მისი ტაძრის აგების თარიღზე ანდა მისი ისტორიული ცხოვრების შესახებ წერილობითი დოკუმენტები არ მოიპოვება. გასაკვირველია, რომ არც უცხოელ მოგზაურებს აქვთ იგი მოხსენიებული. კერძოდ, დიუბუა-დე მომპერიო, რომელიც ბზიფის ხეობასა და ამ ხეობით ჩამოტანილ ბზის ექსპორტის შესახებ იძლევა ცნობებს, არ ასახელებს ასეთ მნიშვნელოვან ნაშთებს. აშკარაა, რომ მას იგი არ უნახავს. პირველი ცნობა გვხვდება V არქეოლოგიური ყრილობის მასალებში⁴. მაგრამ, როგორც, ს. ჩერნიავესკის მოხსენიებიდან, ისე ა.ვ. ვვედენსკის რეპლიკიდან ჩანს, რომ მათ ვერ დაუთვალა იერებიათ ნაშთები გაუვალი მცენარეულობის გამო და ამიტომ გარდა ნაშთების და ტაძრის არსებობის ფაქტის კონსტატაციისა, ისინი რაიმე ხელმოსაკიდ მასალას არ იძლევიან.

1898 წელს პრასკოვია უვაროვამ გამოსცა ბზიფის ტაძრის გეგმა და მოკლე აღწერა. როგორც აღწერიდან და თანდართული გეგმიდან და ფოტოსურათიდან ჩანს, მის მიერ დათვალიერების შემდეგ ძეგლს საგრძნობი ცვლილებები არ განუცდია.⁵

ბზიფის ტაძარი,⁶ როგორც ზევით აღვნიშნეთ, ციხის ბორცვის ყველაზე მაღალ წერტილ-

³ პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სოფ. ბზიფი დასავლეთ აფხაზეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო. იხ. მისი „გიორგი მერჩულე“, თბ., 1959, გვ. 148.

⁴ იხ. V Археологический съезд в Тифлисе, 1878, გვ. 19, 20, 126.

⁵ МАК (კავკასიის არქეოლოგიური მასალები). IV, М., 1894 გვ 12-13, ნახ. 3, ტაბ. I.

⁶ ძეგლი ვინახულეთ 1948 წლის 19/VII, 1949 წლის 2/II, 1950 წლის 4-10/XII. ტაძარი დეტალურად გაზომილი იყო ჩვენს მიერ 1950 წელს. ამ სამუშაოს შესასრულებლად ტაძრის კედლები გავანთავისუფლეთ მცენარეულობისაგან და ჩავეჭერთ რამდენიმე შურფი ძველი იატაკის დონის, ცოკოლის და გუმბათქვეშა სვეტების გამოსაკვლევადა. უკანასკნელისათვის ავირჩიეთ სამხრეთ-დასავლეთის საყრდენი, რომელიც შერჩენილი იყო მინის ქვეშ 1-2 მეტრის სიმაღლეზე. შურფებში შეგვხვდა კარნიზის ფრაგმენტები, დასავლეთის სარკმლის ზედანი და კანკელის ორნამენტული დეტალები.

1955 წელს სპეციალურმა სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნომ ძეგლი მთლიანად განმინდა და ამის საფუძველზე შეადგინა ტაძრის რესტავრაციის პროექტი. აღნიშნული სამუშაოები შესასრულეს სახელოსნოს თანამშრომლებმა: ანა გოგელიამ, გელა ჯაფარიძემ, გურამ ჭეიშვილმა არქიტექტორ რუსუდან გვერდნითელის ხელმძღვანელობით. რუსუდან გვერდნითელის მიერვე შედგენილია ბზიფის ტაძრის რესტავრაციის პროექტი. პროექტის ილუსტრირებული და დაბეჭდილი ტექსტი ინახება სახელოსნოს არქივში აკინძული სახით. ჩვენ ქვემოთ ვსარგებლობთ ამ ნაშრომით, რომელიც თავაზიანად დაგვითმო ავტორმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

ზეა დადგმული. იგი მოფიქრებულია, როგორც მთელი ანსამბლის დომინანტი. შენობა ნაგებია თეთრი კირქვისაგან, მაგრამ დროთა განმავლობაში საპირე ქვებს მორუხო ელფერი აქვს მიღებული. გარე პერანგის თლილი ქვის რიგები თანაბარი სიმაღლის ჰორიზონტალურ შრეებად არის დაწყობილი. ქვები საშუალო ზომისაა და თითქმის ყველა თანატოლია (61X36, 54X35). ქვებს შორის ნაკერები 0,2-0,5 სმ-ის ტოლია. კედლის შიგა საპირედ უფრო მომცრო ზომის ქვებია გამოყენებული (16X33, 17X28, 13X23 სმ). მათ ზედაპირიც უფრო ტლანქად აქვს დამუშავებული და ქვებს შორის დარჩენილი 1.5-2 სმ. ნაკერები შევსებულია კირდუღაბის ხსნარით. შენობაში ნახმარია შირიმის ქვებიც (კონქში, კამარების ზედა რიგებში). ნყობაში საამშენებლო მასალად ბრტყელი ქიმბაკეცილი კრამიტიც არის გამოყენებული. იგი იხმარება უმთავრესად თაღებში. ასეთი ნყობით გამოყვანილი თაღის დიდი ფრაგმენტები ყრია ტაძრის შიგნით, ხოლო თავის ადგილზე შერჩენილია ქუსლებთან და აღმოსავლეთის სარკმლების გადახურვაში⁷.

ნაგებობიდან გადარჩენილია მხოლოდ კედლები და გადახურვის მცირეოდენი ფრაგმენტები. ჩვენი პირველი, 1948 წელს დათვალიერების დროს ტაძრის შიგნით იდო გადახურვის ჩამოვარდნილი კონსტრუქციის დიდი ფრაგმენტები. ამკარად ჩანს, რომ ტაძარი დანგრევამდე არც გადაკეთებული ყოფილა და არც მნიშვნელოვნად შეკეთებული. შერჩენილი კედლები ყველა გარღვეულია მთელ სიმაღლეზე მთავარი ღერძების ადგილას, რაც მიწის ჯდენით უნდა იყოს გამოწვეული. შენობის კედლების საკმაოდ დაშორიშორებას და მათ გადახრას კი გამოუწვევია გადახურვების კონსტრუქციის მთლიანი, როგორც ჩანს, ერთდროული ჩამოვარდნა.

ტაძარი ჯვარგუმბათიან ნაგებობას წარმოადგენს, სამი მხრიდან სწორი კედლებით შემოფარგლულსა და აღმოსავლეთის მხარეს სამი წინგაშვერილი აფსიდით დასრულებულს. გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგარ ჯვრისებური კვეთის სვეტს ეყრდნობოდა. სვეტის ნაშვერების საპასუხოდ კედელზე შერჩენილია ბრტყელი პილასტრები, გუმბათქვეშა სვეტებიდან გადაყვანილი თაღების დასაყრდნობად.

შედარებით უკეთ არის შენახული აღმოსავლეთის ნაწილი. იგი სამნაწილიანი, სამ აფსიდ-იანი – საკურთხეველი პასტორიუმებით. პასტორიუმები ღიაა და მთავარი სივრციდან არ არის კედლით გამოყოფილი. ცენტრალური აფსიდი მცირე ბემის საშუალებით ოდნავ დაგრძელებულია გვერდის პასტორიუმების აფსიდებთან შედარებით და დაკავშირებულია მათთან საგანგებო ღიადებით. სადღეისოდ ამ ღიადებიდან ჩრდილოეთისა უკეთ არის შენახული. იგი გადახურულია წრიული თაღით. სამხრეთის ღიადიდან კი მხოლოდ აღმოსავლეთის წირთხლია შენახული. ცენტრალურ აფსიდში ჩრდილოეთისაკენ მცირე ნიშაა დაყოლებული. აფსიდის კონქისებური გადახურვიდან ქვის ნყობის მხოლოდ შვიდი რიგია გადარჩენილი. კონქის ქუსლის დონეზე აფსიდს უვლის მარტივი პროფილის კარნიზი, რომელიც გრძელდება ბემის კედლებზედაც.

გვერდის სადგომები უკეთ არის შერჩენილი ჩრდილოეთის აფსიდის კონქი. იგიც ამოყვანილია ისეთივე მცირე ზომის კირქვის პრიზმული „ბრიკეტებით“ მსგავსად კედლის შიგა საპირესი. ქვებს არ აქვს კონქის ნყობისათვის დამახასიათებელი ტრაპეციული ფორმა. ხუთი კონცენტრული რიგის შემდეგ გამოყენებულია ასეთივე ფორმის შირიმის ქვები, რომლითაც საბოლოოდ ჩაკეტილია სფერული ზედაპირი. ტაძრის კედლები შერჩენილია გვერდის „ნაგების“ გადახურვის დონემდე. თვით ეს „ნაგები“ (ე.ი. მკლავთაშორისი სივრცეები) გადახურული ყოფილა წრიული კამარებით, რაც ჩანს შერჩენილი ფრაგმენტებიდან ჩრდილო – დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეებში. ამ ნაშთებიდან ისიც ჩანს, რომ კამარების ნყობის რამდენიმე სანყისი რიგი კირქვითაა გამოყვანილი, ხოლო ზედა, ზურგის ნყობისთვის კი გამოყენებული ყოფილა შირიმის ქვები.

დასავლეთის მკლავის გვერდის „ნაგების“ თვით მკლავის სივრცესთან დამაკავშირებელი ღიადების გადახურვა, როგორც ჩანს ჩრდილოეთის „ნავის“ დასავლეთის კედლის პილასტრთან შერჩენილი თაღის ფრაგმენტით, წრიული ფორმისა ყოფილა. იგი ქუსლთან გამოყვანილია კირქვის პრიზმებით, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი დაწყობილი კრამიტებით დუღაბის ხსნარზე. დღეს კრამიტის ნყობის მხოლოდ რამდენიმე რიგია შემორჩენილი.

თავად ამ მკლავთაშორისი სადგომების სივრცეც წრიული კამარებით ყოფილა გადახურული. ამის მთლიანი კვალი აღბეჭდილია დასავლეთის კედელზე. ეს უკანასკნელი სამხრეთის

⁷ კრამიტის სიგრძე 31 სმ-ია, სიმაღლე 7, სისქე – 2 სმ. რ. გვერდითელი იძლევა ასეთ ზომებს: 28X24X4 სმ. იხ. ზემოხსენებული ხელნაწერი.

„ნავის“ გადამხურავი კამარის წამოწყების წყობაა, თავისი სრული ფორმით შერჩენილი (იხ. განაკვეთი დასავლეთისაკენ...) აღსანიშნავია, რომ ამ კამარის ზურგის დონე მხოლოდ 15 სანტიმეტრით მაღლა მდებარეობს აღმოსავლეთის ნაწილში შერჩენილი ჩრდილოეთის კონქის ზურგის დონის მიმართ. ეს სხვაობა სწორედ ის საჭირო მინიმუმია, რომელიც კონქის გადახურვის და მკლავთაშორისი სივრცის კამარის შორის უნდა არსებობდეს. ეს მონაცემი კი თავისთავად იძლევა უფლებას ზედმინვენითი სიზუსტით აღვადგინოთ შიგა სივრცის სიმაღლის პირველი საფეხური ე. ი. – მკლავთაშორისი სივრცეების გადახურვის დონე. რაც შეეხება ცენტრალური სივრცის მთავარი ჯვრის მკლავების გადახურვას, იგი ასეთი მთლიანი სახით აღარ არის შემონახული. მაგრამ მისი ფორმისა და სიმაღლის დადგენის საშუალებას იძლევა: ბემის გადახურვიდან შერჩენილია კამარის ქუსლი, მთავარი აფსიდის ტრიუმფალური თალის მოხაზულობის 3/4 ნაწილი და სამხრეთის მკლავის გადამხურავი კამარის აღბეჭდილი კვალი კედლის წყობაში – უკანასკნელი მკრთალად შეიმჩნევა ტაძრის სამხრეთის კედლის დაზიანებულ შიგა საპირეზე (იხ. განაკვეთი სამხრეთის „ნავზე“ ხედით სამხრეთისაკენ სურ. №)

ამგვარად, შერჩენილი რეალიებით ტაძრის შიგა სივრცის თავდაპირველი სახე ზედმინვენით შეიძლება წარმოვიდგინოთ გუმბათის გამოკლებით.

შენობის შედარებით პატარა სივრცეს საკმაო სინათლეს აწვდიდა ყოველ კომპარტიმენტში თანაბრად დატანებული სარკმლის ხვრელები.. მთავარი ჯვრის მკლავები სამ-სამი სარკმლით ყოფილა განათებული. ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის ჯვრის მკლავების სარკმლები პირამიდულადაა განლაგებული და საკმაოდ მაღლა მდებარეობს (ჯვრის მკლავის კამარის შუბლის ფარგლებში). მათი სასინათლო ხვრელი უფრო მცირეა მთავარი საკურთხევლის სარკმლებთან შედარებით. აფსიდის სამივე სარკმელი თანატოლია და სანინაალმდეგოდ ზემოაღნიშნულ, მკლავებში დაყოლებული სარკმლებისა, უფრო დაბლა, ერთ დონეზეა განლაგებული. გარდა მთავარი ჯვრის სივრციდან შემოსული ამ სინათლისა, ტაძარი დამატებით იყო გაშუქებული მკლავთაშორის სივრცეებში დაყოლებული მაღალი სარკმლებითაც. ისინი სიდიდით თითქმის აფსიდის სარკმლებს უტოლდება, მაგრამ მათთან შედარებით ოდნავ უფრო დაბლა მდებარეობს. ასეთი თითო სარკმელი დაყოლებულია გვერდის აფსიდებში (აღმოსავლეთისაკენ), ხოლო ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის კედლებში. ისინი კედლის პილასტრებიდან თანაბარი მანძილითაა დაშორებული, რისი წყალობითაც შექმნილია გარკვეული სიმეტრიული ნონასწორობა ნაწილებისა.

ამგვარად, ტაძრის შიგა სივრცის გაშუქებისათვის გარკვეული მხატვრული სისტემაა შექმნილი. პირველი რიგი მაღალი სარკმლებისა თანაბარ შუქს აფენს გვერდის მკლავებს (ამ დონეზე გაძლიერებულია მხოლოდ ცენტრალური აფსიდ – სამი სარკმელი), მეორე რიგი სარკმლებისა კი – სამ-სამი, დაყოლებული ჯვრის მკლავების კედლებში – მხოლოდ აძლიერებს შუქს და ოდნავ ჰყოფს სივრცის მეორე საფეხურს. რის შემდეგ გუმბათიდან შემოსულ სინათლეს, უკვე აღარ უნდა შეექმნა მკვეთრი კონტრასტი შუქ-ჩრდილისა. ასე რომ, შერჩეული განათების მხატვრული პრინციპი გამომდინარეობს სივრცის არა კონტრასტულ შუქჩრდილის ძერწვიდან, არამედ მთელ სივრცის თანაზომიერ და მკაფიო შუქმოფენის ამოცანიდან.

ტაძრის ცენტრალურ სივრცეში მოსახვედრად სამ მხრიდან არის მოწყობილი შესასვლელი. ისინი მდებარეობს შენობის მთავარ სიმეტრიის ღერძებზე. არც ერთი კარი დღეს არ შემონახულა თავის პირველადი სახით, უმთავრესად დაზიანებულია მათი გადახურვა. უკეთ არის შერჩენილი ჩრდილოეთის და სამხრეთისა, რომლიდანაც ირკვევა, რომ ისინი გარედან ნახევარწრიული ღია ლუნეტებით ყოფილა გადახურული.

სამივეს გარედან მიდგმული აქვს კარიბჭეები. თუმცა კარიბჭეები თანადროულია ტაძრისა, მაგრამ მასთან წყობით არაა გადამბული. ყველა კარიბჭე ერთნაირად არის მოწყობილი – წინა მხრიდან მთელ სიგანეზე ახდილი. დასავლეთისა გამოირჩევა ჩრდილოეთისა და სამხრეთისაგან მხოლოდ იმით, რომ მისი კედლები შიგნიდან გაფორმებულია ერთნაშევრისანი არალრმა კედლის თაღებით. კარიბჭეები, ტაძრის მსგავსად, მოპირკეთებულია ორივე მხრიდან თლილი ქვებით და დგას ისეთსავე ცოკოლზე, როგორც ტაძრის კორპუსი. მათი გადახურვა აღარ არის შერჩენილი, მაგრამ ისინი ადგილობრივი ტრადიციით კამარაზე დაყრდნობილი ორქანობიანი სახურავით იქნებოდა დამთავრებული.

ფასადები: შენობა გარედან ორსაფეხურიან თლილი ქვის ცოკოლზე დგას. ფასადები ზედა

ნაწილში საგრძნობლად დაზიანებულია. ადგილზე შენობის მასების დამაგვირგვინებელი აღარც კარნიზებია შერჩენილი და არც ჯვრის მკლავების სამკუთხოვანი ფრონტონები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელი ხდება საკმარისი დამაჯერებლობით ტაძრის ქვედა კორპუსის კარნიზების პირველი სალტის დონის დადგენა. იგი ცოკოლიდან 6,30 მეტრის სიმაღლეზე გადიოდა. ამის საშუალებას გვაძლევს სამხრეთის ფასადზე დარჩენილი ჯვრის მკლავის ფასადის მოპირკეთებიდან გადარჩენილი სამი კუთხის ქვა, რომელნიც ამ დონეზე მდებარეობს.

1950 წელს ფასადთან შურფების ჩაჭრის დროს გვხვდებოდა ტაძრის კარნიზის ჩამოვარდნილი ფრაგმენტები. ერთი მათგანი საკმაოდ დიდი ზომის (103X80X24 სმ) ფილა არის. კედლიდან გადმოშვერილი ნაწილი 35 სმ-ის თაროა, რომლის ქვედა პირი მცირედად დაქანებულ სიბრტყეს იძლევა. კედლის სიბრტყესთან მას 6 სმ-ის სისქის გრეხილი ლილვი გასდევს. ფილა თხელია (თაროს გარე შვეული პირი 10 სმ-ის სისქისაა). კედლის ზედაპირიდან 35 სმ-ით წინ გამოტანილ კარნიზის თაროს ნაშვერს საკმაოდ ღრმა ჩრდილის ზოლი უნდა დაეფინა კედლის სიბრტყეზე და მკვეთრად შემოეხაზა ფასადის კომპოზიციის ზედა საზღვრები.

მიუხედავად საპირე ქვების ნაწილობრივ გამოფიტვისა, ფასადები დღესაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებენ თავისი სადა და კარგად მოპირკეთებული სიბრტყეებით. ხუროთმოძღვარს ფასადზე რამდენიმე დეკორატიული, მოჩუქურთმებული აქცენტიც დაუყენებია. ეს დეკორატიული კომპოზიციები უმთავრესად კარ-სარკმელთა ზედანებშია გამოყენებული. დღეს ისინი ყველა თავის ადგილზე აღარ არის, მაგრამ განმენდის დროს თითქმის ყველა აღმოჩნდა.

დასავლეთის ფასადი: უმთავრესად ზედა ნაწილებში არის დაზიანებული. კედელი გარღვეულია შუაზე. კარის ზედა საზღვრები აღარ არის შერჩენილი. საპირე ქვების დიდი მოედნები გამოცვივებულია სამხრეთის კუთხესთან. 1950 წელს, ნაწილობრივ განმენდის დროს, დასავლეთის კარიბჭესთან აღმოჩნდა ჩამოვარდნილი სარკმლის ზედანი. იგი გამოკვეთილია 110X30 სმ. ზედაპირის და 22 სმ. სისქის ქვის ფილაზე სარკმლის სასინათლო ხვრელის სიგანე 25 სმ-ია. სარკმლისთვის ამოჭრილ წრიულ ზედანს შემოვლებული აქვს 3,5-4 სმ-ის სიგანის რელიეფური ბრტყელი ლენტი, რომელიც ირგვლივ უვლის ქვის სწორკუთხედს და იკეტება მაღლა ჰორიზონტალურ ზოლად. ლენტის ზედაპირი ბრტყელია, დამუშავებულია იგი პარალელურად ჩაჭრილი შტრიხებით და ერთგვარ მიბაძვას წარმოადგენს გრეხილი ხალიჩისას. მისი პოვნის ადგილი (დასავლეთის კარის მარჯვენა წირთხლთან) ეჭვს არ ტოვებს, რომ იგი დასავლეთის, მკლავის ერთ-ერთი სარკმლის ზედანია.

ქეგლის 1955 წლის მთლიანად განმენდის დროს არქ. რ. გვერდნითელის მიერ აღმოჩენილი იყო დასავლეთის კარის მორთულობის ფრაგმენტებიც. ამ ფრაგმენტებით შესაძლებელი გახდა დასავლეთის კარის გაფორმების მთლიანად აღდგენა. კარი დეკორირებული ყოფილა მხოლოდ წრიული გადახურვის არეში. მორთულობა წარმოადგენს კარის ლუნეტის ირგვლივ შემოვლებულ ორნამენტულ ზოლს, რომლის ბოლოები თარაზულად იყო შემოკეცილი⁸. როგორც მოპოვებული ფრაგმენტებიდან სჩანს, კარის სათაურის ორნამენტული ზოლის მოტივი შედგებოდა წრეების მწკრივისაგან, რომელსაც ქმნიდა ვინრო რელიეფური ლენტის ხლართვა. ლენტის ზედაპირს შუაში ამოღებული აქვს მცირე ღარი. ორნამენტი დაბალი რელიეფისაა და ლენტის სივინროვის გამო მთელი ზედანის გაფორმება ხაზობრივ ელფერს ატარებს და არა პლასტიკურს. ეს ორივე ორნამენტული დეტალი: ერთი შესასვლელი კარისა და მეორე კი შუა სარკმლის თავზე მოთავსებული, უფრო მკაფიოდ ამჟღავნებს დასავლეთის ფასადის სიმეტრიის ღერძს.

სამხრეთის ფასადი: იგი შედარებით უკეთ არის შემონახული. მართალია, ისიც შუაზეა გარღვეული და ნაწილობრივ გამოცვივებულია მისი საპირე ქვები (დასავლეთის კუთხესთან, მარცხენა ქვედა სარკმლის ზევით, კარიბჭეზე), მაგრამ მაინც შერჩენილია თითქმის თავის პირველ გაბარიტებში (თუ არ ჩავთვლით კარნიზსა და ჯვრის მკლავის ფრონტონის წვეროს). კარის წირთხლები ნაწილობრივ არის დაკარგული, ხოლო მისი გადახურვა კი მთლიანად აღარ არის თავის ადგილზე. ასევე დაზიანებულია ზედა ორი სარკმელი – მარცხენა და ზედა შუანა, თუმცა ორივეს მდგომარეობის და ფორმის აღსადგენად შერჩენილია რეალური კვალი (იხ. ანაზომი). სამხრეთის ფასადიც საგანგებოდ ყოფილა დეკორირებული რელიეფური აქცენტებით. მორთულობა შეყურსულია კარისა და სარკმლების ღიადების ფარგლებში. ადგილზე მხოლოდ ქვედა მარჯვენა სარკმლის გაფორმებაა. ამ სარკმლის სასინათლო ხვრელი სადაა და მხოლოდ მისი

⁸ რ. გვერდნითელი, ბზიფის ციხე, ეკლესიის რესტავრაციის პროექტის დასაბუთება.

გადახურვის ქვაა მორთული რელიეფური ლენტით, რომელიც სარკმლის ზედანს ცოტა დაშორებით გარს უვლის და მოქნილი ხაზით ბოლოებში ზევითკენ მიიმართება. ლენტის ზედაპირი დღეს ატკეცილია მაგრამ საფიქრალია, რომ ისიც დაჭდული იქნებოდა პარალელური შტრიხებით, ისევე, როგორც დასავლეთის სარკმლის ირგვლივ შემოვლებული ლენტი. მიუხედავად ასეთი დაზიანებისა, იგი მაინც მნიშვნელოვანია, რადგან წარმოდგენას იძლევა დეკორატიული მოტივის ზოგად შთანაფიქრზე. მეორე, მარცხენა ქვედა სარკმლისთვის თავსართავის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი აღმოჩნდა გათხრის დროს.⁹ იგი წარმოადგენს სპირალისებურად დახვეულ რელიეფურ ლენტს, რომლის ზედაპირი ისევე დამუშავებულია დაკეჭვით, როგორც წინა აღწერილი დეტალები.

სხვა დეტალებიდან საინტერესოა ტაძრის შიგნით დადებული რელიეფური ჯვრებით შემკული სარკმლის მორთულობა, რომლის მდებარეობისათვის რ.გვერდნითელი სამხრეთი ფასადის შუა ზედა სარკმელს ვარაუდობს.¹⁰ სარკმლის გაფორმების კომპოზიცია კარგად არის შენახული. იგი წარმოადგენს კვადრატული ფორმის საპირე ქვას, რომელშიც ამოღებულია 26სმ. სიგანის სარკმლის წრიული ზედანი. მას ირგვლივ უვლის არათანაბარი სიგანის ბრტყელი რელიეფური თავსამკაული, რომელიც ჯერ იკეცება თარაზულად და შემდეგ 90° კუთხით შემობრუნებული ვერტიკალურად მიიმართება წვეროებით, ბოლოებს კი გამობმული აქვს თანაბარმკლავიანი, ნაპირებთან ოდნავ გაგანიერებული ჯვრები. მესამე ჯვარი შუაშია აღმართული. ეს ჯვარი უფრო მოყვანილი პროპორციებისაა და საგანგებოდ დამუშავებულია მცირე ბურთულებით. სამივე ჯვარი სადაა – ბრტყელი ზედაპირით. თავად სარკმლის ირგვლივ შემოვლებული ზედანის სიგანე არათანაბარია – უფრო ფართოა შუაში და თანდათან ვიწროვდება ბოლოებისკენ. მისი ზედაპირიც დამუშავებულია პარალელური შტრიხებით.

ზედმინეებით ხერხდება სამხრეთის კარის გაფორმების აღდგენაც. ამისათვის საკმარისი ფრაგმენტებია მოპოვებული კარის თავსამკაულისა ძეგლის 1955 წლის განმედიის დროს. ერთი მათგანი, სახელდობრ, №18 საკმაოდ მოზრდილ ნაწილს წარმოადგენს. იგი შენახულია თითქმის თავისი პირველადი სახით და წარმოადგენს წრიული თაღის ერთ-ერთ სოლს. მის ზედაპირზე რელიეფურად „დადებულია“ წრეების მწკრივი, რომლებიც განთავსებულნი არიან ისე, რომ ერთი მეორეს კვეთს. წრის ლენტის რელიეფი დაბალია, შუაში კი ის გაღარულია. თვით ლენტის პროფილი რბილად მომრგვალებულია¹¹.

აღმოსავლეთის ფასადი: სამნაწილიან მასებისაგან შედგება. შუა ცენტრალური აფსიდის ნაშვერი ხუთნახნაგოვანია, ხოლო გვერდის აფსიდები ოთხ-ოთხი ნახნაგითაა შემოფარგლული. საპირე აქაც დაზიანებულია; ქვები თავისი ბუდეებიდან გამოვარდნილია და შერჩენილთა უმრავლესობას კი ზედაპირი აქვს დაზიანებული.

ცენტრალური აფსიდის კედლებში გაჭრილი სამი მაღალი სარკმელი გაერთიანებულია ერთი საერთო თავსამკაულით. თავსამკაული ირგვლივ უვლის სარკმლებს და ჰორიზონტალურად ეხება მეზობელს. იგი წარმოადგენს 23სმ. სიგანის არშიას, რომელიც სამად არის გაყოფილი – ნაპირებისაკენ გასდევს მრგვალი გრეხილი ჩალიჩი, შუაში კი სამკუთხედად პროფილირებული ზოლი. ცენტრალური აფსიდის სარკმელთა ეს თავსამკაული წყდება მხოლოდ განაპირა ნახნაგებზე და აღარ გადადის გვერდის აფსიდებზე. გვერდის აფსიდის სარკმლები ასეთივე პროფილის დამოუკიდებელი არშიებითაა მორთული.

ამჟამად ფასადზე არშიის ყველა ქვა არ არის თავის ადგილზე. ისინი ჩამოვარდნილა (გათხრების დროს იყო მოპოვებული). მაგრამ ის, რაც არის შემორჩენილი (ცენტრალური სარკმლის, ნაპირა ნახნაგებზე, სამხრეთი აფსიდის სარკმლის ნახევარი და სხვა იხ. ანაზომი) ზედმინეებითი სისრულით წარმოდგენას იძლევა ფასადის გაფორმების პირველად კომპოზიციაზე¹².

ჩრდილოეთის ფასადის კომპოზიცია ანალოგიურია სამხრეთისა – სიმეტრიული ძირითადი მასივი, კარიბჭით. კარ-სარკმელთა განლაგებაც ზუსტი გამეორებაა სამხრეთისა. ეს ფასადი ყველაზე მეტად არის დაზიანებული. არავითარი ხელმოსაკიდი მონაცემები არაა შერჩენილი არც ძეგლზე და ვერც გათხრებით იქნა გამოვლენილი მისი დეკორატიული სამკაული არაა

⁹ იხ. ხსენებული ნაშრომი, გვ. 21, ფრაგმენტი 15.

¹⁰ იქვე, გვ. 26.

¹¹ იქვე, გვ. 17-18

¹² იქვე, გვ. 26-27

გამორიცხული, რომ ჩრდილოეთის ფასადი არც იყო მორთული, ვინაიდან ეს მხარე შენობისა დელისაკენ არის მიმართული და არ საჭიროებდა საგანგებო გაფორმებას.

ჩრდილოეთის კარის გადახურვა შედარებით უკეთ არის შემორჩენილი დასავლეთისა და სამხრეთისაზე. მისგან აღმოსავლეთი წირთხლის საპირე ქვების სამი სანჯისი რიგი არის შემორჩენილი. კარგად არის შენახული გადამხურავი თალის ქუსლის ქვაც, იქ სადაც მოსალოდნელია გადებული ყოფილიყო ლუნეტი არქიტრაჟი. მაგრამ ქუსლის ქვას ისევე სუფთად აქვს დამუშავებული ზედაპირი, როგორც თალის ქვებს, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ აქ არქიტრაჟი არ იყო გადებული. მაგრამ, ქუსლის ქვის დონეზე გარე ნაპირისაკენ, კედელში ღრმა ბუდეა ამოღებული, რომელშიც მოთავსდებოდა არქიტრაჟის ქვა. ამგვარად, შერჩენილი რუალებიდან ირკვევა, რომ ჩრდილოეთის კარს ზემოდან ღია ლუნეტი უნდა ჰქონდეს¹³.

გუმბათი: როგორც აღვნიშნეთ, ტაძარს გუმბათი აღარ აქვს შერჩენილი. მაგრამ გუმბათის ქვეშა სვეტები და აფსიდის სატრიუმფო თალის შერჩენილი სიმაღლე საშუალებას იძლევა ლიმიტირებული იყოს მისი სიგანე და მდებარეობა. გათხრების დროს აღმოჩნდა ჩამოვარდნილი გუმბათის ნყოფის მასივი, რომელმაც რესტავრატორს მისცა საშუალება აღედგინა იგი თავის პირველად ფორმებში.

„გუმბათი, გუმბათქვეშა თალებთან ერთად მთლიანად იყო ჩამოქცეული, მაგრამ ძეგლის განმენდისას გუმბათქვეშა ბურჯების სამხრეთ ნყოფის შორის, უფრო სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის ახლოს, ნაპოვნი იქნა ნყოფის ორმხრივ მოპირკეთებული დიდი ჩამონატეხი გარეთა საფასადო ნყოფისა. მასზე ხუთი კარგად თლილი ქვის ორი რიგი იყო. შიგა მოპირკეთებისგან ამ ძეგლის შიგა კედლებისთვის ჩვეული ორი მქისედ თლილი ქვალა შერჩა. ეს ჩამონატეხი ფასადის მხრიდან 135°-ის ტოლ კუთხეს შეადგენს, შიგა მოპირკეთების მონაკვეთი იმდენად უმნიშვნელო იყო (სულ 34 სმ.), რომ რაიმეგვარი სიმრუდისთვის თვალის მიდევნება ვერ ხერხდებოდა (ნახატი 3). ნყოფის ამ შედარებით დიდი ჩამონატეხის გარდა გაინმინდა სუფთად თლილი საფასადო კუთხის ქვების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელნიც გეგმაზე ასევე 135° -ის ტოლ კუთხეს გვიჩვენებს.

ამ სიდიდის კუთხე ნახნაგების რაოდენობად რვას გვაძლევს. გუმბათის დიამეტრს განსაზღვრავს გუმბათქვეშა ბურჯების ურთიერთდაცილება, რომელიც 367-368 სმ. უტოლდება. კედლის სისქე გრაფიკულად გამოდის თუ ნყოფის ზემოაღწერილ ფრაგმენტს მიახაზავ წრეს დიამეტრით 367-368 სმ., გუმბათქვეშა თალის 60 სმ-ის სიგანისას; იგი 63 სმ-ს უდრის. გუმბათის ყელის ეს ჩამონატეხი ზუსტად თავსდება რვანახნაგა გუმბათის გეგმაზე. ნიბოსთან კედლის სისქე 89 სმ.-ს უდრის, ხოლო გუმბათის ნახნაგის სიგანე – 203 სმ-ს. სარკმლების რაოდენობას გუმბათის ყელის ნახნაგების რაოდენობა განსაზღვრავს.“ (იქვე, გვ:10-11)

მოხერხდა გუმბათის ყელის საფასადო დეკორის სისტემის დადგენაც. „საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოდგა განმენდისას ამოღებული სხვადასხვა მოყვანილობის და ერთნაირად ორნამენტირებული ქვების ჯგუფი. მათი ნაწილი სარკმელთა თავსართებს წარმოადგენს, სხვები – თავსართების ჰორიზონტალური გადანაკეცებია, მესამენიც – კუთხის ქვები. ვინაიდან ამ ქვების კუთხე 135° -ის ტოლია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფრაგმენტების მთელი ეს ჯგუფი გუმბათის ყელის შემკულობას უნდა წარმოადგენდეს. მისი აღდგენის პრაქტიკულმა ცდამ თავდაპირველი გუმბათის სრული სურათი მოგვცა. ამის გარდა, ... ქვების 62 და 62 ზუსტად ავსებს სივრცეს სარკმლის კედესა და ნახნაგის ნიბოს შორის. ამგვარად, პროფილირებული ზოლი გუმბათის ყველა ნახნაგს გასდევდა და სარკმელთა თავს ნახევარწრიულად ევლებოდა.“ (იქვე, გვ:27)

გუმბათის სარკმელთა მორთულობის გარდა გათხრებისას აღმოჩნდა მისი კონუსისებრი დასრულებაც – ის ქვისგან გათლილ გირჩს წარმოადგენს.

ამგვარად, მიუხედავად ტაძრის დაზიანებისა და ნაწილობრივ დანგრევისა, მისი პირვანდელი სახის სისრულით აღდგენა ხერხდება. როგორც ჩანს, ტაძარი დანგრეულა იმ პერიოდში, როდესაც ბზიფის ციხეში ცხოვრება უკვე შეწყვეტილი ყოფილა. მას დანგრევამდე თავისი პირველადი სახე და ფორმები უცვლელად მოუტანია. არქიტექტორი რუსუდან გვერდნითელის მიერ წარმოდგენილი ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი სწორ წარმოდგენას იძლევა მის პირველად სახეზე და არ ინვესტს ჩვენში ეჭვს, რადგან შემტკიცებულია იგი მხოლოდ და მხოლოდ შერჩენილი, რეალურად არსებული მონაცემებით. ეს მონაცემები კი იმდენია და ისიც ისეთი სახისა, რომ

¹³ ანალოგიურადაა შოანის ეკლესიაში

რეკონსტრუქციის პროექტისათვის არ რჩება პირობითი აღდგენის ან ვარიაციული დაშვების შესაძლებლობა. (იხ. რესტავრაციის ფასადები). ერთადერთი, რისთვისაც რესტავრატორს არ ჰქონდა მტკიცე მონაცემი და წარმოდგენილ ნახაზებზე იგი პირობით არის მხოლოდ შეტანილი. ესაა გუმბათის ყელის სიმაღლე. მაგრამ, ამ პუნქტშიც მას ვერ შევედავებით, რადგან ავტორი გამოდის ტაძრის არქიტექტორის ხასიათისა და ლოგიკიდან.

ბზიფის ციხის ტაძარი ტიპოლოგიურად ჯვარგუმბათოვან თემას მიეკუთვნება, სადაც გუმბათი დაყრდნობილია ოთხ თავისუფლად მდგომ, ჯვრისებური კვეთის ბურჯებზე. ტაძრის ძირითადი მასივი, აფსიდების გამოკლებით, ჩანერილია კვადრატში, რომლის გეომეტრიული ცენტრი გუმბათქვეშა კვადრატის ცენტრს ემთხვევა. კვადრატულ მასივს აღმოსავლეთისკენ მიდგმული აქვს ცენტრალური საკურთხეველისა და გვერდის პასტოფორიუმების მომცველი სამნაწილიანი სივრცე, გარედან ნახნაგებით შემოფარგლული. ცენტრალური ჯვრისებრი სივრცის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავი ოდნავ წაგრძელებულია ჩრდილოეთისა და სამხრეთისაზე.

მიუხედავად მცირე ზომისა, ტაძრის გარეგანი სახე მონუმენტურობისა და მძიმე, წონადი მასებით შედგენილი ანსამბლის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, აღმოსავლეთის მხარე რამდენადნე უფრო წაგრძელებულია მთავარი შვეული ღერძის მიმართ, ვიდრე დასავლეთისა, მაგრამ ექსტერიერი მაინც მშვიდისა და განონასწორებული კომპოზიციის შთაბეჭდილებას ქმნის. ასეთი მხატვრული სურათის შექმნას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ტაძრის კომპოზიციის ძირითადი მასივი აღიქმება, როგორც კვადრატულ საფუძველზე აგებული კუბი, რომლის ერთი გვერდი დასავლეთის ფასადის სიგანეს წარმოადგენს, ხოლო მეორე სამხრეთის და ჩრდილოეთის ფასადების სიგრძეს ემთხვევა (აღმოსავლეთის ნაშვერების გამოკლებით). მიდგმული კარიბჭეები თავისი საგრძნობი მოცულობით ამ შთაბეჭდილებას ამაგრებენ და სწორედ მათი წყალობით აღმოსავლეთის აფსიდის ნაშვერებიც მთავარ კუბური მასივის ასეთსავე დანამატებად აღიქმებიან. ნიშანდობლივია, რომ ვერტიკალური ღერძი გამავალი გუმბათის ცენტრზე, ზუსტად ემთხვევა კუბური მასივის ღერძს. ისე რომ, ტაძრის ანსამბლის მთავარი კომპოზიციური დომინანტა ამ კუბური მასივის გეომეტრიულ ღერძზეა დასმული. თუმცა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადები, აფსიდების ნაშვერების წყალობით ასიმეტრიული ჩანს ორტოგონალურ პროექციაში – ფასადის ნახაზზე. მაგრამ, სინამდვილეში ამას თვალი ვერ აფიქსირებს. მიდგმული კარიბჭეები და მკვეთრი კუთხე აფსიდის ნაშვერსა და ფასადის სიბრტყეს შორის, ჰქმნიან აღქმის სულ სხვაგვარ ასპექტს და არ ირღვევა მასათა და სიბრტყეების კომპოზიციური წონასწორობის შთაბეჭდილება. ამკარაა, რომ ხუროთმოძღვარისთვის ექსტერიერის მხატვრული კომპოზიციის ხედვის ამოსავალს განონოსწორებული და სიმეტრიულად განწყობილი სურათის შექმნის ამოცანა წარმოადგენს.

ვიდრე დეტალურ ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია, აღვნიშნო, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილ ადრინდელი პერიოდის სხვა ძეგლთა შორის ბზიფის არქიტექტურა ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს. მისი ფასადების გასაფორმებლად მოხმარებულია ჩუქურთმა და სიმბოლური შინაარსის რელიეფური კომპოზიციები. ეს გარემოება კი თავისთავად საფასადო დეკორის გარჩევის საკითხს სვამს. ამავე დროს, უნდა აღვნიშნო, რომ ამით იგი უფრო შეხების წერტილებს იძლევა აღმოსავლეთ საქართველოს არქიტექტურულ სკოლებთან და იძლევა საშუალებას მათ ფონზე თუ დეკორის განვითარების პრობლემებზე გამოვლინდეს და წარმოჩნდეს ბზიფის ხუროთმოძღვრების დეკორატიული სამკაულის სტილისტური რაობა. ბზიფის ოსტატი არ იგონებს ახალ დეკორატიულ კომპოზიციებს, იგი არც ახალ მოტივებს ჰქმნის, იგი უსათუოდ კარგად იცნობს საქართველოს სხვა პროვინციების არქიტექტურას, მათ დეკორატიულ სამკაულს სესხულობს და მას შემოქმედებითად გარდმოსახავს თავის ნაწარმოებში.

ბზიფის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის გაფორმებისათვის გამოყენებული ხერხი – სამი ცენტრალური სარკმლის გადაბმა საერთო თავსართავით და შემდეგ კი ნაპირა სარკმლებისათვის იმავე პროფილის დამოუკიდებლად გამოყენება, ადრევე ცნობილია და საკმაოდ გავრცელებული ხერხია აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ხუროთმოძღვრებაში. იგი გვხვდება მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარში (VI საუკუნე), ატენის სიონში, მარტვილში, გვხვდება ბიეთშიც (IX საუკუნე) კიდევ უფრო გვიან მანგლისში (XI ს.)¹⁴ და სხვა. საქართველოს საზღვრებს გარეთ

¹⁴ Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Памятники типа Джвари, Тб. 1948, ტაბ. &, 18, 44, 46, 51, 76; P. Меписашвили,

მას სომხეთში, სირიაში, კაპადოკიაში ვხვდებით.¹⁵ რაც შეეხება თვით დეკორატიულ მოტივს – გრეხილი თოკის სადა სიბრტყის პროფილირებულ თაროსთან შეთავსებას – ესეც არაა ორიგინალური და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იგი IX-X საუკუნეების აქეთ აღარ გვხვდება. ბზიფის ხუროთმოძღვარს გრეხილი ორნამენტი ხშირად აქვს მოხმარებული. იგი გვხვდება ყველგან: თავსართებში, გუმბათის ყელის ირგვლივ სარკმლების დონეზე შემორტყმულ სარტყელზე. ეს უკანასკნელი ჰგავს აღმოსავლეთის ფასადის ორნამენტულ ზოლს, მაგრამ კომბინირებულია სხვანაირად. აქ გრეხილი ორ ბრტყელ თაროს შორის არის ჩაქსოვილი. ასეთი პროფილის თავსართავის ზუსტი ანალოგია გვხვდება ვაზისუბნის ბაზილიკის აღმოსავლეთის ფასადის გვერდის სარკმლებზე (VI საუკუნის ბოლო)¹⁶ და ჯავახეთში ბურნაშეთის ძეგლის აღმოსავლეთის ფასადზე სარკმლის ირგვლივ (X ს.).

სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ დაზიანებული სახით მოაღწია სამხრეთის ფასადის ორივე ქვედა სარკმლის დეკორატიულმა თავსამკაულებმა. ერთი, მარცხენა, დღეს ჯერ კიდევ თავის ადგილზე შერჩენილი, რადგან მისი ზედაპირი გამოქარულია, მხოლოდ საერთო ნახატზე იძლევა წარმოდგენას. იგი წარმოადგენს სარკმლის წრიული ზედანის ირგვლივ შემოვლებულ ვიწრო ზოლს მოკეცილი და ზეაფრიალებული ბოლოებით. ამ მოტივის გენეტიკურ საწყისებს სასანურ ხელოვნებასთან მიყვავართ. ამ ე.წ. „სასანურმა ლენტმა“ ქართულ შუა საუკუნეების ხელოვნებაშიც იპოვა ადგილი და ადრეფეოდალური პერიოდის პირველ საფეხურებზე გარკვეული ადგილი დაიკავა შენობათა სამკაულში. ეს მოტივი უმთავრესად იხმარება სარკმელთა გასაფორმებლად და თითქმის XI საუკუნემდე გვხვდება. მისი ნახატი საუკუნეთა მანძილზე განიცდის ტრანსფორმაციას და თანდათან შორდება თავის პირველად სახეს. ასე, მაგალითად V საუკუნეში, ბოლნისის სიონის სვეტისთავებზე გვხვდება ჯერ კიდევ უცხოური პირველწყაროს მსგავსი.¹⁷ მაგრამ უფრო გადაშუშავებული და სტილიზებული სახით ვხვდებით მას VIII საუკუნის წინარეხის სამეკლესიან ბაზილიკაში.¹⁸ ხოლო იმავე პერიოდის სამწევრისის სარკმლის თავსართში იგი ორნამენტირებული და სტილიზებულია.¹⁹ ყველაზე გვიანდელ მაგალითში, X საუკუნის დასაწყისში „ბერის საყდრის“²⁰ სარკმლის დეკორში იგი გადაშუშავებულია, მაგრამ ცოტა ადრინდელ მაგალითებში მისი ნახატი ჯერ კიდევ ქმნის ილუზიას შორეულ წინაპართან მსგავსებისა. ჩვენი ძეგლისთვის უფრო ახლო ანალოგია VIII-IX საუკუნეთა პერიოდის ჟალეთის ტაძრის აღმოსავლეთის სარკმლის თავსამკაულში ვხვდებით²¹.

მეორე ქვედა სარკმლის სამკაული, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გათხრების დროს აღმოჩნდა (ფრაგმენტი №15). მისგან შერჩენილია მხოლოდ თავსამკაულის მარცხენა ნაპირის ხვიას მსგავსი დაბოლოება. თუ ამ ფრაგმენტით აღვადგენთ მეორე მარჯვენა ნაპირსაც, მაშინ მივიღებთ სრულიად დამთავრებულ სურათს, რომელსაც შეიძლება VIII-IX საუკუნის თელოვანის²² სამხრეთის სარკმლის გაფორმება პარალელად ამოვუყენოთ.

შემთხვევით გადარჩენილი სამხრეთის ფასადის ზედა შუა სარკმლის მორთულობა, რომელიც მთავარი შესასვლელის ღერძზე მდებარეობდა, ოსტატს შინაარსობრივად გაუაზრებია, როგორც სამი ჯვარის სახით ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელოვანი მომენტის სიმბოლურად გადმომცემი კომპოზიცია. ქრისტიანულ სიმბოლიკაში, აინალოვის გამოკვლევით, ასეთი სამი ჯვარი წარმოადგენს პალესტინაში შექმნილსა და იქიდან გავრცელებულ იკონოგრაფიულ თემას. იგი სიმბოლურად გადმოსცემს ქრისტეს ჯვარცმის სცენას გოლგოთის მთაზე. მისსავე დაკვირვებით, ეს კომპოზიცია, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის, ისე

Полупещерный памятник в селе Биети. Ars Georgica, 6—A, Тб., 1963, სურ. 14, табл. 12, 1; მ. დვალი, მანგლისი, თბ., 1974, ტაბ. 7, 20, 21.

¹⁵ Н. М. Т о к а р с к и й, Архитектура древней Армении, Ереван, 1946, илл. II, 18, 26—27, 39; Н. С. Butler, Churches in Syria, Princeton University, 1929, ill. 28, 101, 104, 107, 133, 146—148, 157, 159, 664; M. R e s t 1 e, Studien zur frühbyzantinischen Architektur Kappadokiens, 2T. Wien, 1979, Abb. 2-3, 11, 52—56, 60-61, 94, 131—134.

¹⁶ Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, Тб. 1959, გვ. 83.

¹⁷ Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Болнисский Сион, Тбилиси, 1940, таб. V.

¹⁸ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1936, გვ. 120, სურ. 144.

¹⁹ Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Самцеврисская церковь в Грузии. Вопросы истории искусства, I, Тб. 1970, ტაბ. 35-1.

²⁰ რ. მეფისაშვილი, ბერის საყდარი, Ars Georgica, 7-A, თბ. 1971, სურ. 2, ტაბ. 26;

²¹ ბ. ქადეიშვილი, ჟალეთი, თბ. 1964, სურ. 8, ტაბ. 22.

²² ვ. ცინცაძე, თელოვანის ჯვარ-პატიოსანი, Ars Georgica, 5, თბ. 1959, სურ. 7, ტაბ. 56;

დასავლეთის ხელოვნებაში მრავალრიცხოვანი ძეგლებით არის წარმოდგენილი და ხმარებაშია VIII-IX საუკუნეებამდე.²³ საქართველოში მისი გავრცელების ქრონოლოგიური არეალი გაცილებით ფართოა. ის მრავალრიცხოვანი მაგალითებით გვხვდება ტაძრების ფასადების დეკორატიულ ანსამბლებში, როგორც ადრინდელ ძეგლებზე, ისე განვითარებული ფეოდალური ხანის არქიტექტურაშიც. მაგრამ საუკუნეების მანძილზე ეს კომპოზიცია განიცდის გარკვეულ კომპოზიციურ და სტილისტურ ცვლილებებს – წმინდა წარდგენითი, თხრობითი ჩვენებიდან მის სრულ დეკორატიულ, ორნამენტულ გადაამუშავებამდე.

ადრინდელ ძეგლებზე ამ სიმბოლური თემისთვის ქართული არქიტექტურის პლასტიკურ სამკაულებში ჯერ კიდევ არაა დამკვიდრებული გარკვეული ადგილი და არც კომპოზიციური თანაფარდობაა შემუშავებული ცალკეულ ელემენტებს შორის. იგი უკვე გვხვდება V საუკუნის ბოლნისის სიონის ჩრდილოეთის გალერეის სვეტის თავზე. ჯვრები ჩართულია კაპიტელის მთლიან ორნამენტულ სამკაულში, სამივე ერთი ზომისაა (წაგრძელებული ვერტიკალური მკლავებით და საგრძობლად დამოკლებული ჰორიზონტულით). ერთი მეორისგან თანაბარი მანძილით დაშორებულნი, ისინი განლაგებულნი არიან ფრიზულად – ერთ სტრიქონად. მათ შორის დარჩენილი არე ისეა შევსებული ორნამენტით, რომ ისინი ძნელად ირჩევა სვეტისათვის ნაკრებ ორნამენტულ სახეებში²⁴.

თელოვანის VIII-IX საუკუნეების ჯვარპატიოსნის ტაძრის კარის არქიტრავის გაფორმებაში ჯვარცმის აღნიშნული სიმბოლური რედაქცია ჯერ კიდევ ბოლნისისნაირი კომპოზიციური ხერხით არის გადმოცემული. სამი ჯვარი აქაც ჩართულია დეკორატიულ ანსამბლში და, ისევე როგორც ბოლნისში, განლაგებულია მიჯრით – ერთ ჰორიზონტულ ხაზზე. მაგრამ, ამასთან ერთად, თელოვანში უკვე ჩანს ტენდენცია ცენტრალური, მთავარი ჯვრის გამოყოფისა განსხვავებული ნახატით. რამდენადაც შესაძლებელია გარკვევა ამ დაზიანებული გამოსახულებებისა, შუალა ჯვარი თანაბარმკლავიანია, ნაპირებისაკენ ძლიერ გაგანიერებული მკლავებით და განსხვავებით ორი დანარჩენისგან წრეშია ჩასმული.²⁵ ოსტატი ამ ტენდენციას ავლენს ჯვრების განსხვავებული მანერით დამუშავებითაც – ნაპირებისას მთლიანად ბრტყლად ქრის ფონში და შუანას კი მხოლოდ მონახაზს კანრავს. ამგვარად, მიუხედავად სიმბოლური ნიშნების კომპოზიციური განლაგების მსგავსებისა, ბოლნისის და თელოვანის რელიეფებში შეიმჩნევა საყურადღებო განსხვავებაც. ეს სხვაობა კი შეპირობებულია მათ შემქმნელ ოსტატთა განსხვავებული, ეპოქალური, მხატვრულ-შემოქმედებითი ინტერესებით.

VIII-IX საუკუნეებში სამი ჯვრის სიმბოლური გამოსახულება ქართული არქიტექტურის საფასადო მორთულობის თემატურ რეპერტუარში გარკვეულ ადგილს იკავებს და იგი მრავალრიცხოვანი მაგალითებითაც გვხვდება. შერჩენილი ნიმუშების მრავალრიცხოვნება უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ გოლგოთის სიმბოლურმა თემამ სწორედ ამ ეპოქაში ჰპოვა თავისი უდიდესი აღიარება და გავრცელება. ამავე დროს, აქ შემუშავდა კიდევ გამოსახულების გარკვეული იკონოგრაფიული და კომპოზიციური მხარეები, რომელნიც სავალდებულო შეიქმნა მომდევნო პერიოდებისთვისაც და, რაც მთავარია, საკულტო შენობაში მან თანდათან დაიკავა ყველაზე მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი – აღმოსავლეთის ფასადი. თვით სიმბოლური ნიშნების განაწილება გარკვეულ კომპოზიციურ ლოგიკას დაემორჩილა. ამიერიდან ჯვრები მიჯრით, ერთ სტრიქონად აღარ ლაგდება, ისინი ჰქმნის სამკუთხედს, რომლის წვეროში ცენტრალური (ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლო) გამოირჩევა არა მხოლოდ განსხვავებული ნახატით, არამედ მდიდრული დეკორატიული სამკაულითაც.

VIII-IX საუკუნეებში ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულება სამი ჯვარის სახით ძირითადად სარკმელთან არის დაკავშირებული და ისიც გამოყენებულია ხუროთმოძღვრების მიერ, როგორც სარკმლის ზედა ნაწილის დამაგვირგვინებელი დეკორატიული აქცენტი. წრიული თავსართავი სარკმლისა გამოყენებულია, როგორც ერთგვარი შემადლება ცენტრალური ჯვრის დასადგმელად. უკანასკნელი თავისი ნახატით უახლოვდება კიდევ გოლგოთის მთის სახოვან სიმბოლურ

²³ Д. А й н а л о в, Эллинистические основы византийского искусства, СПб., 1901, გვ. 197-200.

²⁴ Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Болнисский Сион, Тбилиси, 1940, გვ. 186-187, ტაბ. VIII.

²⁵ ვ. ცინცაძე ტექსტში აღნიშნავს მხოლოდ ორი ჯვარის არსებობას, ხოლო მოყვანილ, მის მიერვე შესრულებულ გრაფიკულ ნახაზზე გადმოცემულია სამი (იხ. მისი: „თელოვანის ჯვარპატიოსანი“. გვ. 85, სურ. 9) ჩვენი დაკვირვებითაც, ძეგლზე ნამდვილად შემორჩენილია შუანა ჯვრის ნახატის კვალი.

ნიშანს. ჯვრები განთავსებულია ან ამ „მთაზე“ ან მის ირგვლივ. კომპოზიცია უაღრესად მარტივი და ლაკონიური ხდება – ჯვარცმის სცენის სიმბოლური ნიშნები განსხვავებით ბოლნისსა და თელოვანისაგან დამოუკიდებელივ იკითხება ყოველგვარი სხვა დეკორატიული მოტივის ჩართვის გარეშე.

ასეთი გადაწყვეტის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ შერჩევით რამდენიმე ძეგლი: IX საუკუნის ქვაბისხევის წმ. მარიამის სახელობის ბაზილიკის დასავლეთის სარკმლის არქიტრაფზე ამოკვეთილია აღნიშნული სიმბოლური სცენა.²⁶ აქ სამი თანბარმკლავიანი ჯვარი, თითოეული დამოუკიდებელივ ჩასმული წრიულ რგოლში, სეგმენტური ფორმის ბრტყელი თაღის ირგვლივ პირამიდულად განთავსებული. ცრუ თაღი დეკორატიულად ამთავრებს მხოლოდ სარკმლის ზედანს და ჯერ კიდევ სუსტად უკავშირდება მის ზემოთ ამოკვეთილ ჯვრებს.

გარდა სამი ჯვრის რელიეფისა, კომპოზიციაში შეტანილია მეოთხე ჯვრის გამოსახულება. იგი მკრთალად, მხოლოდ კონტურული ნახატის ამოკანვრით არის აღნიშნული, ზომითაც მცირეა. ზემოდან მას კვლავ „ამოკანვრით“ გადავლებული აქვს წრიული სეგმენტი. რელიეფის მხატვრულ სახეში არავითარი კომპოზიციური როლი არ აქვს მას მინიჭებული და, როგორც ჩანს, ოსტატს შეუტანია ის როგორც სცენის აზრობრივი წაკითხვის სავალდებულო ნიშანი. სრულიად შესაძლებელია, რომ რკალი გადმოსცემს გოლგოთის მთას, ხოლო მის ქვეშ შეფარებული ჯვარი ამ მთის „სიწმინდეს“ აღნიშნავს. ასეთი გაგების საფუძველს გვაძლევს ქრონოლოგიურად მომდევნო რამდენიმე სხვა მაგალითი (კუმურდო, დაღეთ-ხაჩინი, ბურნაშეთი). ოსტატი კმაყოფილდება გოლგოთის სცენის სიმბოლიკის ლაპიდარული ჩვენებით და კომპოზიციაში არავითარი სხვა მოტივი დეკორატიული გამდიდრებისათვის არ შეჰყავს.

იმავე სცენის განსახიერებას ვხვდებით სოფ. თონეთის ეკლესიაში. სარკმლის თავზე შემოვლებული პროფილირებული ზედანი ბოლოებში ჰორიზონტალურად იკეცება. ცენტრალური ჯვარი აქ უკვე დაფუძნებულია სარკმლის თავსართავის წვეროზე, ხოლო გვერდით აღმართული ჯვრები სარტყლის ჰორიზონტალურ მონაკვეთებზე დგას.

გველდესის ეკლესიის ოსტატს თავსართავის ლენტისათვის მეტი ხაზობრივი დენადობა მიუნიჭებია. მისი ბოლოები ორ თარაზულ კლაკნილს აკეთებს. ცენტრალური ჯვარი უფრო დიდი და დეკორატიულია დანარჩენ ორთან შედარებით. იგი აღმართულია სარტყლის სიმრგვალის ცენტრში. ხოლო შედარებით მარტივი და სადაა დანარჩენი ორი – ლენტის უკანასკნელი დაბოლოების ჰორიზონტალურ ნიადაგზე დაფუძნებულია. გველდესის კომპოზიციაში სცენის უშუალო გადმოცემასთან ერთად იგრძნობა უფრო მეტი ხაზობრივი დინამიკის შეყვანის სურვილი, წინა ორ მოყვანილ მაგალითთან შედარებით.

X საუკუნის პირველი ნახევრის „ბერის საყდრის“ ოსტატი უკვე სრულ დამოუკიდებლობას იჩენს სამი ჯვარის კომპოზიციის პირველი რედაქციის მიმართ.²⁷ წინა თაობათა მიერ შემუშავებული მჭიდრო კომპოზიციური ჯგუფი სამი ჯვრისა და სარკმლის ლენტის მთისებრი მოხაზულობისა, როგორც ზემოთ მოყვანილ ძეგლებში და ასევე ბზიფის მაგალითშიც შეგვხვდა, სადაც მოქანდაკის მთავარ ამოცანაში თემის სემანტიკური მხარის ჩვენება იგრძნობა, აქ, ბერის საყდარში, გარდასახულია, აღარაა იმდენად ხაზგასმული. მას ეს მჭიდრო კომპოზიციური ჯგუფი ცალკეულ ელემენტებად აქვს დაშლილი და ჩართული სარკმლის ირგვლივ შექმნილ ფასადის მდიდარ და რთულ დეკორატიულ ანსამბლში. განედლებული ჯვრები მონყვეტილია გველდესისებრ ბოლოებდაკლაკნილ წარბს და დეკორატიულ აქცენტებადაა გაბნეული კედლის სიბრტყეზე. ჯვრები ჰქმნიან სამკუთხედს, მაგრამ დამოუკიდებლად ლენტისაგან, ლენტი კი, ადრეული ნიმუშებიდან გადმოღებული, მონყვეტილია სარკმლის ზედანს და თავისთავად რჩება კომპოზიციაში დამოუკიდებელ სიმბოლოდ. ე.ი. ჩვენ „ბერის საყდრის“ მაგალითზე უკვე ვხედავთ VIII-IX საუკუნეებში გავრცელებული კომპოზიციის არა მხოლოდ უარყოფას, არამედ მის ახალ გადამუშავებასაც. იგი კარგავს ჯვარცმის თხრობითი ატრიბუტიკის მხოლოდ და მხოლოდ აზრობრივ გაგებას და ფასადის საერთო კომპოზიციის დეკორატიული მხარის აქცენტირებაც ხდება.

X საუკუნით მოკიდებული, ჩვენ აღარ ვხვდებით გოლგოთის მთის სიმბოლური სახის იმგვარი მხატვრულ გამოსახვის ნიმუშებს, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ვნახეთ და

²⁶ გ. ჩუბინაშვილი, ქვაბისხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, უნივ. შრომები XXXIV, 1948, გვ. 391-398.

²⁷ რ. მეფისაშვილი, ბერის საყდარი, Ars Georgica, 7-A, თბ. 1971, სურ. 2, 4, 6, ტაბ. 26;

რომელთა გაგების წრეშია მოხვედრილი ჩვენი კვლევის ობიექტი – ბზიფის თავსართიც.

964 წელს აგებულ კუმურდოს ძეგლში სამი ჯვარი აღმოსავლეთის ფასადზეა გადანაწილებული. ისინი ჩართულია ფასადის მთლიან დეკორატიულ ანსამბლში – ორი განაპირა ქვედა სარკმელთან და მესამე კი ფასადის სიმეტრიის მთავარ ღერძზე, ნითელი, სისხლისფერი ქვაში გამოყვანილი; სამივე ცალკე, საკუთარ კვარცხლბეკზე დასვენებული²⁸.

საგულისხმოა, რომ ორივე ქვედა ჯვარს თავზე გადავლებული აქვს ნახევარწრიული რკალები, რომელნიც, ვფიქრობთ, ისევე როგორც ქვაბისხევი, არა მხოლოდ დეკორატიული სამკაულია, არამედ ადრინდელი ნიმუშებიდან შეთვისებული გოლგოთის სცენის ერთ-ერთი აზრობრივი სიმბოლო.

გოლგოთის თემის სიმბოლური რედაქციის ანალოგიურ კომპოზიციურ გადაწყვეტას ვხვდებით 1002 წელს აგებული ხცისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზედაც²⁹. ხცისის ხუროთმოძღვარი, არქიტექტორ საკოცარის მსგავსად ჯვარცმის თემის შემადგენელ სიმბოლურ ნიშნებს შლის ცალკეულ ელემენტებად და შეჰყავს ისინი ფასადის საერთო დეკორატიულ ანსამბლში. ავაზაკთა სიმბოლოები (ჯვრები) მოთავსებულია ფასადის დეკორატიული არკატურის ნაპირა მონაკვეთების არეზე, სარკმლის დონის მაღლა გამავალ ჰორიზონტულ ხაზზე, ხოლო ცენტრალური (ქრისტესი) ანეულია ფასადის სიმეტრიის ღერძზე, მაღლა და კვლავ ისინი ქმნიან, კუმურდოს მსგავსად, პირამიდულ კომპოზიციას.

ჯვრები ფასადზე აქაც თანასწორგვერდიან სამკუთხედს ქმნის, რომლის ფუძე ცენტრალური სარკმლის თავსართავის დონეზე მაღლა გადის, ხოლო წვერო კი იჭრება ფრონტონის ფარგლებში. ქვედა ნაპირა ჯვრები განსხვავებული ნახატითაა გადმოცემული, მაგრამ ორივე ეყრდნობა საფეხუროვან კვარცხლბეკს. ცენტრალური ჯვარი (ქრისტეს სიმბოლო) საგანგებოდ არის მორთული. მისი ნატიფი, დახვეწილი ფორმები შემკულობის სიმდიდრე, ბრწყინვალე ნახატი და ეფექტური დეკორატიულობა მეორე პლანზე აყენებს გამოსახულების სემანტიკური მხარის ჩვენებას. მაგრამ, ამავე დროს, მიუხედავად ასეთი ხაზგასმული დეკორატიულ-ორნამენტული საწყისისა, აშკარად ჩანს, რომ თავისი კომპოზიციისთვის დეკორატორს გამოყენებული აქვს გოლგოთის თემის უკვე დადგენილი ნიმუში. აღნიშნული მხარე კარგად ჩანს ჯვრის კვარცხლბეკის ნახატში, რომლის რკალისებური მოხაზულობა გამოდის არა კომპოზიციური ლოგიკიდან, არამედ შემუშავებული ტრადიციიდან. ნინა VIII- IX საუკუნეების და X საუკუნის დასაწყისის მაგალითებში იგი სარკმლის თავსართავის სახით გვხვდებოდა, რომელზედაც, როგორც მთაზე, აღიმართებოდა ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლო (გველდესი, თონეთი, ბზიფი)ანდა დამოუკიდებელ შემადგენელ ელემენტად არსებობდა სამი ჯვრის სიმბოლურ კომპოზიციასში (ქვაბისხევი, ერედვის „ბერის“ საყდარი). ამგვარად, XI საუკუნის დასაწყისში ხცისის მაგალითით ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრივ, VIII-IX საუკუნეებში შემუშავებული კომპოზიციის სრულ მხატვრულ-სტილისტურ და კომპოზიციურ გადამუშავებას და, მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ცალკეულ ელემენტებში მათთან კავშირს.

ხოლო ხცისის შემდეგ, მის მომდევნო, XI საუკუნის 20- იანი წლების ძეგლებში ეს კავშირიც დარღვეულია და სამი ჯვრის თემა შთანთქმულია ფასადის საერთო სამკაულის, დეკორატიული არკატურის ხვიებში. ამის საუცხოო მაგალითია 1030 წლის სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი.

ხოლო XI საუკუნის დასაწყისის ქართლის კაბერის ძეგლის აღმოსავლეთის ფასადზე გამოკვეთილი სამი ჯვრის თემის კომპოზიცია ანაქრონიზმად მოჩანს, ვინაიდან აქ ოსტატი კომპოზიციურ სურათს კი არ აგებს „დაშლილი“ სახით, რისი საწყისი უკვე X საუკუნის პირველ ნახევრის ბერის საყდარში ჩანდა და საუკუნის ბოლოს ხცისში ჩამოყალიბებული სახით გვხვდებოდა, არამედ ბაძავს ადრინდელ, VIII —IX საუკუნეების ვარიანტს, როგორც მჭიდრო, სარკმლის თავსართთან შეკავშირებულ ჯგუფს.

რენე შმერლინგი კაბერის ოსტატის არქიტექტურული სამკაულის შესრულების მანერას, კანკელთან ერთად X საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებლად სთვლის, ხოლო ქართული პლასტიკური ხელოვნების პროგრესიული განვითარების ხაზიდან ასეთ „ჩამორჩენას“ შე-

²⁸ Н. П. Северов, Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда, Москва, 1947, სურ. III и V.

²⁹ Р. Шмерлинг, Древний Цвимоэтский храм близ с. Хциси. Arg Georgica 4, Тбилиси, 1955, სურ. 4, ტაბ. 48.

მომქმედი – ოსტატის ხანდაზმულობით ხსნის.³⁰ მაგრამ, გასათვალისწინებელია ის უდაო ფაქტიც, რომ კაბერის ხუროთმოძღვარი, როგორც მისი ნამოღვანარიდან ჩანს, ვერაა დაჯილდოებული მხატვრულ-დეკორატიული ნიჭით და არც იგრძნობა მასში პროფესიულად დახვეწილი ოსტატის ხელი. ამ „პროვინციელ“, სოფლის მშენებელს შეეძლო მხოლოდ სხვისი კომპოზიციების გამოყენება და არა ახლის შექმნა. სწორედ ასეთი ოსტატის ხელს ვხედავთ, როგორც ტაძრისთვის შესრულებულ კანკელში, ისე შენობის არქიტექტურულ დეკორშიც. ადრინდელი ნიმუშიდან აქვს აღებული მას, როგორც ითქვა, აღმოსავლეთის სარკმლის თავზე გამოკვეთილი კომპოზიცია „გოლგოთის“ სიმბოლური სცენისა, მაგრამ ოსტატს ადრინდელი ნიმუშის განმეორებისას მაინც შეუტანია რამდენიმე განსხვავებული, საკუთარი მხატვრული შტრიხი, რომლებშიც იგრძნობა სწორედ ახალი ეპოქის, XI საუკუნის სტილისტური ფაზისთვის დამახასიათებელი მხატვრული მიდგომის ანარეკლები. ეს რელიეფურად ჩანს თავსართავის ნახატში, რომლის ბოლოები შედარებით გველდესის, თონეთის და ბერის საყდრის ნახატთან უჩვეულოდ გართულებული და აყვავებულია – იგი მცენარეულ ყლორტშია გადაზრდილი. კომპოზიციის მხატვრულ სურათში მაყურებლის ყურადღებას უფრო მეტად ზეაღმართული ყლორტების კაპრიზული დინება იზიდავს, ვიდრე ცენტრში ჩასმული სადა და უბრალოდ გამოთლილი სამი ჯვარი. კაბერის რელიეფის მხატვრულ სახეში შენელებულია ის წარდგენითი, „იკონური“ ჩვენება სიმბოლური ნიშნებისა, რაც ადრინდელ ნიმუშებში (საიდანაც ნასესხებია იგი) ასე აშკარად იყო წინა პლანზე წამოწეული. კაბერის ამ არაოსტატურად შესრულებული კომპოზიციის ნახატში უფრო მეტია მხატვრული სურათის დეკორატიულობის სანყისი; ხაზის რიტმული დინების ცვალებადობა და მისი დაძაბული ექსპრესიულობა. ე.ი. ის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები, რომლითაც ხასიათდება XI საუკუნის მაღალი, შემოქმედებითი აღმაფრენის ნიჭით დაჯილდოებული ხცისის ოსტატის სტილისტური მიდგომა. თვით თავსართავის აყვავებული ყლორტის ნახატში შთაგონება უფრო მეტად ხცისის ცენტრალური ჯვრის ქვედა ელემენტის, მცენარეული ჩუქურთმის პლასტიკიდანაა მიღებული, ვიდრე გველდესის ან ბერის საყდრის სარკმლის თავსართავის ლენტით შექმნილი გრაფიკიდან. ისე რომ, მიუხედავად კაბერის ოსტატის ერთგვარი „ჩამორჩენილობისა“ და მისი შემოქმედებითი პრიმიტიულობისა, მაინც ჩანს ეპოქის წვლილი, მაგრამ კაბერის კომპოზიცია, ამავე დროს, მაინც ანაქრონიზმია XI საუკუნისათვის და ერთად-ერთი დაგვიანებული მაგალითი VIII-IX საუკუნეებში გავრცელებული ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულების კომპოზიციური გამეორებისა.

XI საუკუნის შემდეგ, ქართულ საფასადო სკულპტურაში, ამ თემისადმი ინტერესი თანდათან ქრება. სამი ჯვარი ტაძართა ფასადებიდან თანდათან იდევნება და ადგილს უთმობს მხოლოდ ერთს, დიდს მთელ ფასადზე ეფექტურად აღმართულს, უაღრესად მორთულს და დეკორატიულად გამდიდრებულს XII-XIII საუკუნეების იკორთა, კოჯრის კაბენი, ბეთანია, გუდარეხი, ქვათახევი, ახტალა და სხვა, XIII-XIV ძეგლები საფარა, ზარზმა, ჭულე და სხვა). მაგრამ ჯვარცმის თემის გამოსახულების სიმბოლური რედაქცია (სამი ჯვრით) მთლად არ არის განდევნილი ხმარებიდან. ამ პერიოდში იგი მაინც გვხვდება აქა-იქ, სპორადულად. გვიანი პერიოდის ამ ცალკეულ მაგალითებში ჩანს ან მიბაძვა ადრინდელი ნიმუშისა, მისი გამეორება და არა ახალი, შემოქმედებითი კომპოზიციური ძიება. ამავე დროს, ყოველ მათგანს ატყვია დალი საკუთარი ეპოქისა. იმის სანახავად თუ რა სახეს ლეზულობს აღნიშნული თემა შემდგომ პერიოდებში მოვიყვანთ ორიოდ რამდენიმე მაგალითს საილუსტრაციოდ, ქრონოლოგიურად.

განსხვავებული სახით არის გადმოცემული სამი ჯვრის კომპოზიცია XII-XIII საუკუნეების ბურნაშეთის ძეგლში. ბურნაშეთის დარბაზული ტიპის ეკლესიაა, კომპოზიციური ვარიანტი გოლოგოთის ჯვარცმისა სამხრეთის კარის არქიტრაზზეა გამოკვეთილი. განაპირა ჯვრებს, სამთავისის მსგავსად, ოსტატი რელიეფური ლივლივის უწყვეტ დინებაში აქსოვს, ხოლო თვით მთის რკალი გადატანილია ზემოდ და გადავლებულია როგორც კომპოზიციის შემკვრელი, დამავირგვინებელი ელემენტი. დამახასიათებელია, რომ ბურნაშეთის არქიტრავის გამფორმებელი სამი ჯვარის განთავსებისათვის არ ირჩევს ბოლნისის სიონის და თელოვანის ფრიზულ კომპოზიციას, რაც, ბუნებრივად, უფრო შესაფერისი იქნებოდა არქიტრავის სწორკუთხედად შემო-

³⁰ Р. Ш м е р л и н г, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб. 1962, გვ. 96; რ. მეფისაშვილი, X-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლები სოფ. კაბერში და გოსტიბეში. Ars Georgica, 8-A, თბ. 1979, გვ. 54, 56, ტაბ. 24, 1.

ჩარჩობული კადრისთვის, თვით წარწერის ტექსტისათვისაც, რომლითაც შევსებულია თავის-უფალი არე უფრო უკეთეს პირობებს შექმნიდა. იგი უკუაგდება კომპოზიციურ გადაწყვეტაში სამი ჯვრის მშვიდი რიტმით განვითარებას, რომელიც უფრო შეესაბამება ქართული ხელოვნების ადრეულ ეტაპს და გადმოგვცემს ამ ეპოქისთვის დამახასიათებელ მხატვრული სტილს, რიტმულ ნახაზს, აგებულს ხაზების უსასრულო დინებაზე

სამი ჯვარია გამოსახული ასევე XIII საუკუნის 80-ანი წლების თბილისი მეტეხის ცენტრალურ, ცილინდრულად შვერილ აფსიდზე. თუმცა იგი თავისი არსით წარმოადგენს სამთავისის აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალური ჯვრის ნახაზის სამმაგ გამეორებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განხილული მაგალითები საკმარისად ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულების მხატვრულ-სტილისტური ინტერპრეტაცია. იგი ყოველთვის გამოწვეული იყო ხელოვნების განვითარების ახალი ამოცანებით, რომელნიც პასუხობდა ეპოქის ქრონოლოგიურ ეტაპებს.

საფასადო პლასტიკაზე დაკვირვებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ზემოაღნიშნული თემის კომპოზიციამ V-XI საუკუნეების მანძილზე განიცადა ცვლილების სამი ფაზა:

ფრიზული – V-VIII საუკუნეებში (ბოლნისის სიონი და თელოვანი)

მჭიდრო ჯგუფი, დაკავშირებული სარკმლის თავსართთან, პირამიდულად განლაგებული სამი ჯვრით – VIII-X საუკუნეების. X საუკუნის დასაწყისიდან შეიმჩნევა ნახაზის მჭიდრო განაწილება, ხაზგასმულია სხვადასხვა ელემენტის დეკორატიული ინტერპრეტაცია. სარკმლის ნახევარწრიული დაბოლოება სიმბოლურად აღნიშნავს გოლგოთის მთას, თუმცა აღიქმება როგორც დეკორატიული მორთულობა (ბერის საყდარი, სტელა ხევსუფალ ქობულას წარწერით).³¹ VIII-IX საუკუნეების პერიოდში ეს ვარიანტი საყოველთაოდ იყო აღიარებული.

ცალკეულ ელემენტებად დაყოფილი კომპოზიცია, თუმცა კი ჩართული ფასადის ერთიან დეკორატიულ ანსამბლში – X საუკუნის მეორე ნახევრიდან XI საუკუნის 30-იან წლებამდე. ამასთან, შესაძლებელია ორი ეტაპის გამოყოფა – ადრეული (კუმურდო 964 წელი, ხცისი 1002 წელი) და მომდევნო (სამთავისი, 1030 წელი).

რასაკვირველია ჩვენ არ ვგულისხმობთ ევოლუციის ამ სამი ეტაპის ნრფივ, უწყვეტ განვითარებას. პირიქითაც, როგორც ყოველი ევოლუცია, ისიც ხასიათდება სპირალური განვითარების გზით, რის მაგალითსაც ვხედავთ კაბერის ეკლესიაში³².

განხილული მაგალითები, ჩვენი აზრით, მკაფიოდ გვიხაზავს იმ მხატვრულ-სტილისტურ ნრეს, რომელსაც მიეკუთვნება ბზიფის ტაძრის სამხრეთის სარკმლის თავსართი გოლგოთაზე ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულებით, რაც გვაძლევს საფუძველს მისი შექმნის თარიღად VIII-IX საუკუნეები მივიჩნიოთ.

ზემოთ განხილულმა კომპოზიციამ ბზიფის ტაძრის სამხრეთის ფასადისა ზედაპირის დამუშავებაც კარგ მდგომარეობაში შეინარჩუნა, სადაც მკაფიოდ იკვეთება ოსტატის პლასტიკურობის შეგრძნების სპეციფიკა. ზედაპირი დასერილია პარალელური შტრიხებით; ამავე მანერით არის შესრულებული დასავლეთის სარკმლის მორთულობა, აღმოსავლეთის ფასადის ზედანის გრეხილი ორნამენტი, რომელიც მიუყვებოდა გუმბათის ყელს – ყველა ეს ელემენტი ერთი ოსტატის ხელს უნდა მიეკუთვნებოდეს. ისინი შესრულებულია სიბრტყობრივ-ხაზობრივად და პლასტიკურობის რამენაირ განცდას არ ბადებს. ასევე სიბრტყობრივად არის შესრულებული დასავლეთის და სამხრეთის კარის ორნამენტები. მათში არ არის იმ პლასტიკურობის შეგრძნება, რომელიც ჩნდება უკვე X საუკუნის შუიდან ქართულ არქიტექტურაში. ამ ელემენტების

³¹ ამგვარი კომპოზიციის კიდევ ერთი მაგალითი ბზიფის სიახლოვეს, იმ ფრაგმენტებს შორის იძებნება, რომელიც ანაკოფის შიდა ციხის ეკლესიის საკურთხევლის მოზლუდვაში XIX საუკუნეში ჩააყოფს. ლ. ხრუშკოვა (Скульптура раннесредневековой Абхазии. Тбилиси, 1980, გვ.13, ტაბ. 11- 2) კომპოზიციის აგების თავისებურების გაუთვალისწინებლად ამ ფილას V-VI საუკუნეების ძეგლთა წრეში ათავსებს. სინამდვილეში კი იგი შეუძლებელია VIII-IX საუკუნეზე ადრინდელი ხანით დათარიღდეს და, იქნებ, X საუკუნეც იყოს.

³² საგულისხმოა, ამ მხრივ, გურჯაანის ყველანაშინდის (VIII ს.) აღმოსავლეთის ფასადის დეკორატიული მორთულობა. თავდაპირველად აქაც (Г. Н. Ч у б и н а ш в и л и , Архитектура Кахетин, გვ. 276; R. Mepissaschwili, W. Zinzadse, Die Kunst des al ten Georgien. Leipzig, 1977, გვ. 120) სამი სარკმლის თავზე თითო-თითო ჯვარი იყო, ე.ი. კი სქემა, რომელიც X საუკუნიდან გავრცელებულს მოგაგონებთ. მაგრამ მათი ძირების მიახლოებით ერთ დონეზე განთავსება – შუანა მცირეოდენლა შემალღებული – თავად მათი პლასტიკა კომპოზიციას ადრულ მაგალითებს აახლოებს. აქ, ისევე როგორც ცხავატის ეკლესიის (VIII-IX სს.) ანალოგიურ კომპოზიციამ ჩვენ თითქოს და VIII-IX სს. -თა ჩვეულებრივი სქემის „მონუმენტალიზაციას“ ვხედავთ.

ანალოგებს ვხვდებით უფრო ადრეულ – VIII-IX და X საუკუნის დასაწყისის ძეგლებში. ასე, მაგალითად, მას ძლიერ ემსგავსება ქსნის არმაზის სარტყელი, დაფარული შტრიხებით³³. მსგავსებას ვხვდავთ ასევე 906 წლის ერედვის კარის თავსართში³⁴, რომელიც ასევე გრაფიკულად არის დამუშავებული. ბზიფის ეკლესიის სარტყლის სტილისტური პერიოდის უკეთ გაგებისთვის უპრიანია იგი შევადაროთ რუისის ტაძრის ადრეული ფენის სარკმელთა დეკორს, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი VIII-IX საუკუნეებს აკუთვნებს.³⁵ მათი მსგავსება მარტოოდენ და იმდენად იმაში კი არ მდგომარეობს, რომ რუისელი ოსტატიც ჯვრის მოტივს მოიხმობს და სარკმელს მხოლოდ და მხოლოდ თავსართავით ამკობს, არამედ თავსართავის თავად პლასტიკის „გრაფიკულ“ გაგებაში, მის სიბრტყითობაში. ამგვარად, ჭრის მანერა ბზიფის ოსტატისა ხასიათდება იმავე ხაზობრიობით, რომელიც ტიპიურია VIII-IX საუკუნეების პლასტიკისთვის და საერთოდ არქიტექტურული დეკორისთვის.

ამასვე გვიჩვენებს X საუკუნის ბოლოს შესრულებული ბედიის ტაძრის ტიმპანები. შედარება ცხადად გვიჩვენებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს პლასტიკის განვითარების ორ ეტაპთან, სადაც უფრო ადრეულს ეკუთვნის ბზიფი, მაშინ როდესაც ბედიელი ოსტატის პლასტიკური ხერხები ბზიფთან შედარებითსტილის მეტ სიმნიფეს მონიშნავს.

ფასადის თავად დეკორატიული გაფორმების ზოგადი გადაწყვეტაც – კედლის დიდი სიბრტყეები, დეკორატიული აქცენტების დასმა მხოლოდ კარის ან სარკმლის თავზე, სადაც ხვრელის კონსტრუქცია თავისთავად რჩება, როგორც დეკორატიული ლაქა ფასადის სიბრტყეზე და სხვა – ჯერ კიდევ ძველი კლასიკური სტილის მხატვრულ პრინციპებზეა აგებული. რაც, როგორც გადმონაშთი, ძალაში რჩება ცხოველხატული სტილის გარდამავალი საფეხურის, VIII-IX საუკუნეთა ადრინდელ ფაზისათვისაც.

ზუსტად ასევე, ძველი პერიოდის ხუროთმოძღვრებისთვისაა დამახასიათებელი კარის ღია ღივი ლუნეტიტ დასრულებაც. თუმცა კი, არც ისაა გამორიცხული, ბზიფის ტაძარში ლუნეტები ამოვსებული ყოფილიყო; ასე გაფორმებული ლუნეტები VIII-IX საუკუნეების კახეთისა და ჯავახეთის ძეგლებშია აღრიცხული.³⁶ კარის ღიადის ბზიფის მსგავს შემკულობას ვნახულობთ IX საუკუნის ბიეთის ტაძარშიც – აქაც, სამხრეთის კარზე ორნამენტის არმია მხოლოდ კარის თაღოვან დასრულებას შემოსდევს.³⁷ ბზიფის ტაძრის ორნამენტული რეპერტუარი, ფასადის გაფორმების პრინციპები და დეკორატიული სამკაულის შესრულების მანერა, ნაგებობის შექმნის თარიღს VIII-IX საუკუნეებით ფარგლავს. რიგი თავისებურებებისა კი იძლევა იმის რწმენას, რომ არ იქნება შეცდომა თუ კი ამ თარიღს გარდამავალი პერიოდის არა დასაწყის ზღვარს ვიგულისხმებთ, არამედ გვიანს – ე.ი IX-X საუკუნეთა მიჯნას.

³³ Г. Н. Чубинашвили, Архитектурные памятники VIII и IX веков в Ксан- :х:- ущелье. Вопросы... ტაბ. 46-1.

³⁴ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, *Ars Georgica* 4, ტაბ. 39

³⁵ გ. ჩუბინაშვილი, რუისის ტაძრის ისტორიისათვის, ენიშკის მოამბე, ტ. V-VI, თბ. 1940.

³⁶ ნ. ჩუბინაშვილი, ნასოფლას სირგოს ხუროთმოძღვრული ძეგლი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, №9, 1948; მისივე, ალანძა, იქვე, ტ. XVI, №6, 1956.

³⁷ Р. С. Меписашвили, Полупещерный..., ნახ. 13, ტაბ. 20.

ანაკოფიის წმ. სიმონ კანანელის სახელობის და ლიხნის ტაძრები

ფსირცხა-ანაკოფია (ახალი ათონი) დაკავშირებულია წმ. სიმონ კანანელის მოღვაწეობასთან. ეკლესია ზღვიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, მდ. ფსირცხის ვიწრო ხეობაში დგას. ტაძრის უკან მთის წვერზე ცნობილი ანაკოფიის ციხის ნანგრევები აღიმართება, ხოლო მისგან ახლოს, მეორე მთის ფერდობზე მდებარეობს რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ XIX საუკუნეში აგებული მონასტრის შენობა, რომელიც საბჭოთა პერიოდში აქ გამართული საზღვაო კეთილმოწყობილი კურორტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.^{38*}

ჩვენთვის საინტერესო გუმბათიანი ტაძარი, დიდი დროის განმავლობაში უკავშირდებოდა წმ. სიმონ კანანელის სახელს და ითვლებოდა მისი დაკრძალვის ადგილად. ჯერ კიდევ XVII საუკუნის ავტორი პავლე ალექსოვი, ანაკოფიის ტაძარს, ადგილობრივ გადმოცემებზე დაყრდნობით, მოიხსენიებს, როგორც სიმონ კანანელის დაკრძალვის ადგილზე აგებულს.³⁹ ამავე მოსაზრებას ემხრობა XIX საუკუნის თითქმის ყველა ავტორი ვისაც ტაძარზე უწერია – ფ. დიუბუა დე მონპერიო, ა. მურავიოვი, პ. იოსელიანი, გრ. დადიანი, დ. ბაქრაძე და, რა თქმა უნდა, ახალი ათონის გზამკვლევების შემდგენლები.⁴⁰

სხვათა შორის, ისევე როგორც, ძველქართული წერილობითი წყაროები, ასევე თანამედროვე ისტორიკოსები არ უკავშირებენ ანაკოფიას გადმოცემით მართლაც შემონახულ ცნობას, წმ. სიმონ კანანელის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. საეკლესიო ტრადიცია მიუთითებს, რომ ის დაკრძალულ იქნა ნიკოფსიაში,⁴¹ რომელიც არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ანაკოფიასთან, იმიტომ რომ ძველი ქრონიკები,⁴² ისევე როგორც ვახუშტი ბატონიშვილი,⁴³ მკვეთრად განასხვავებენ ამ ორ გეოგრაფიულ პუნქტს. თანამედროვე შეხედულებებით, ყველა მკვლევარის მიერ ერთსულოვნად აღიარებულია, რომ ნიკოფსია, რომელიც VIII საუკუნიდან იყო დასავლეთ საქართველოს, ხოლო მოგვიანებით კი გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვარი, მდებარეობდა ტუაფსესთან ახლოს, რომლის ნანგრევების დღემდე შემორჩენილია მდ. ნეჩეპსუხოს სანაპიროზე.⁴⁴ ანაკოფია კი – ძველი ტრაქეია, მდებარეობდა აბაზგიისა და აფსილეთის საზღვარზე,⁴⁵ იყო აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი, დედაქალაქის ქუთაისში გადატანამდე,⁴⁶ მან დასავლეთ საქართველოს ისტორიაში შეასრულა

³⁸ 1990-იანი წლებიდან სანატორიუმი გაუქმებულია (რედ.)

³⁹ იხ. ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორები I, თბ. 1966, გვ. 202.

⁴⁰ Ф. Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа, I, Труды Института абхазской культуры им. Н. Я. Марра, вып. VI, Сухуми, 1937, гв. 130; А. Муравьев, Грузия и Армения, т. III, СПб, 1848, гв. 297; П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, гв. 12–13; მისივე, Жизнеописание святых, прославляемых православною грузинскою церковью, Тифлис, 1850, прим. 3 на гв. 6; გრ. დადიანი. აფხაზი მისიონერის მოგზაურობა, საქართველოს სასულიერო მახარობელი, ტფილისი, 1865, X, გვ. 84. დ. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875, гв. 25; А...Б, Религиозные верования абхазцев. Сборник сведений о кавказских горцах, вып. V. Тифлис, 1871; гв. 1-2; Леонид, Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь, М., 1885, гв. 19, 48, (იხ. ასევე, იგივე სახელწოდების გზამკვლევი, М. 1898, гв. 79). Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь на берегу Черного моря, в Абхазии. Путеводитель, Одесса, 1912, гв. 6.

⁴¹ ქართულ მწერლობაში ალბათ ყველაზე ცხადლივ იხ. გიორგი მთანმიდელის ცხოვრება, წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. II, თბ. 1967, გვ. 154.

⁴² ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955

⁴³ ვახუშტი, საქართველოს ისტორია. იხ.: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1979, გვ. 781, 789 (სადაც ნიკოფსიად მიჩნეულია თანამედროვე ბიჭვინტა).

⁴⁴ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ. 1965. გვ. 52. პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, X საუკუნის ქართველი მწერალი, თბ. 1954, გვ. 211, 226. ს. ჯანაშია. შრომები, ტ. III, თბ. 1959. გვ. 119. 3. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959 гв. 67; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ. 1963, გვ. 186. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ. 1980, გვ. 141.

⁴⁵ ასეთი იდენტიფიკაცია წარმოადგინა ჯერ კიდევ ფ. დიუბუა დე მონპერიომ (დასახ. ნაშრ.), იმავე აზრისაა დ. ბაქრაძე (დასახ. ნაშრ.) პ. უვაროვა. МАК. IV, гв. 8. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ. 1977, გვ. 119. ს. ჯანაშია კი ვარაუდობდა, რომ ტრაქეია უნდა ვეძიოთ თანამედროვე გაგრის ტერიტორიაზე (შრომები, I, თბ. 1948, გვ. 73 და შენ. 3 იქვე) ციხე-სიმაგრის აქტიუტურის შესახებ იხ. ვ. ლეჟვანიძე. ანაკოფიის ციხესიმაგრის შესახებ, აკად. ს. ნ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-B. თბ. 1968.

⁴⁶ იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 195. დ. მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრ. ტ. II, გვ. 151.

მნიშვნელოვანი როლი. როგორც ზემოთ აღნიშნული ავტორებისა და სხვა მკვლევართა⁴⁷ შრომებიდან ირკვევა, არაორაზროვნად დაისვა რა ტოლობის ნიშანია ნიკოფსიასა და ანაკოფიას შორის, გარკვეული დროიდან დაიკარგა ამ ორ ტოპონიმს შორის განსხვავება, ხოლო წმ. სიმონ კანანელის შესახებ გადმოცემა დაუკავშირდა ანაკოფიაში შემორჩენილსა და, ეტყობა, დიდი სახელის მქონე ეკლესიას.

ანაკოფიის ტაძარი წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათიან ეკლესიას, დასავლეთის ნართექსითა და პასტოფორიუმებით. იგი თეთრი თლილი კირქვითაა ნაგები. ეკლესიის მოცულობა გარედან საერთო სწორკუთხედშია ჩანერილი და მხოლოდ აღმოსავლეთით არის სამნაწილიანი საკურთხეველის აფსიდების სამი შევერილი მასივით დამთავრებული. განაპირა აფსიდების შევერილები გარედან ნახევარწრიულია, შუანა კი ხუთნახნაგაა.

გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯს ეყრდნობა. ამ ბურჯებს გეგმაზე ჯვრისებრი მოხაზულობა აქვს. შენობა შიგნიდან შელესილია, მაგრამ თვით ნაღესობის ქვეშ იგრძნობა ძველი შერყვნილი ფორმები. აღმოსავლეთის მკლავი მოკლე ბემით არის დაგრძელებული. მისი კამაროვანი გადახურვა სამ საფეხურად ეშვება და ასე გადადის საკურთხეველის აფსიდის კონქის სიმრგვალებაში. როგორც კონქი, ისე ეს ნაშვერები ქუსლთან იმპოსტებითაა გამოყოფილი. ასეთი ხერხი ნახმარი იყო ბზიფში (მას განთიადის ბაზილიკაშიც ვხედავთ).

საკურთხეველის აფსიდი, გეგმით ნალისებური, გვერდით, ასევე ნალისებურ აფსიდებთან ბემაში გაჭრილი კარით არის დაკავშირებული. პასტოფორიუმები აქაც, როგორც ბზიფსა და სხვა ჩვენს მიერ განსახილველ ძეგლებში დასავლეთიდან არაა კედლით გამოყოფილი ანდა, უფრო ზუსტად, აქ იზოლირებული პასტოფორიუმები კი არ არის მოწყობილი, არამედ ისინი მთავარი სივრცის მკლავთაშორისი სადგომებისკენაა ახდილი. ბემების გვერდით ამ აფსიდების კონქის ქუსლებს, ისევე როგორც ცენტრალურს, შემოვლებული აქვს სალტი, რომელიც პროფილითაც ემსგავსება მთავარს.

შიგა სივრცე სიმეტრიულია, მშვიდი, მაღალი და მოხდენილი. მასში სამი კარით შევდივართ. დასავლეთისა ნართექსში გამავალია, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარები კი მკლავების შუა ღერძიდან დასავლეთისკენაა დაძრული. ამ ორი უკანასკნელის დასავლეთის კიდეები სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთ პილასტრებსაა შეხორცებული. შუა აფსიდში სამი სარკმელია მოწყობილი, სამ-სამი სარკმელია ჯვრის ყოველ მკლავშიც და თითო-თითო მკლავთაშორის სივრცეებში. პასტოფორიუმთაგან ყოველსაც ერთი სარკმელი ანათებს.

ძირითად მოცულობას დასავლეთიდან სწორკუთხა ნართექსი ეკვრის. მასაც გარედან სამი კარი აქვს, თითო ყოველ კედელში. შიგა სივრცე ორი თალით, რომელნიც დასავლეთის კედლიდან აღმოსავლეთზეა გადაყვანილი, სამ ნაწილად არის გაყოფილი. შუა ნაწილი უფრო მაღალია და გადახურული კამარით, რომლის ღერძი ეკლესიის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გაგრძელებაზეა მოთავსებული. გვერდის მონაკვეთები უფრო დაბალია, კამარით გადახურული, რომლის შემმაგრებელი თალები დასავლეთ კედელზე პილასტრებს ებჯინება, ხოლო შიგა კედელზე – კრონშტაინებს.

ანაკოფიის ტაძარი, როგორც ითქვამს, თლილი ქვისგან არის აგებული. კუთხეებსა და ასევე კარ-სარკმლებში ნახმარია დიდი თლილი ქვის კვადრები, ხოლო დანარჩენი ზედაპირი შევსებულია წვრილი ქვის წყობით. ეს უკანასკნელი აგურის ფორმისაა და თითქმის ყველა თანაბარი. ქვები დაწყობილია თანაბარ რიგებად. ქვები ერთმანეთს უშუალოდ კი არ ეხება, არამედ მათ შორის 2 სმ-ის სისქის ხსნარია ნახმარი. ეს ხსნარი მსხვილ კენჭებზეა აზელილი. იგი ბოლომდე ქვის ზედაპირამდე არ გამოდის – ეს ცარიელი ადგილი შემდეგში ზემოდან ამოვსებულია ნალესობით, რომლისათვისაც გამოყენებულია გაცრილი ფერადი ზღვის ქვიშა. ამ საშუალებით მთელი კედლის ზედაპირი გრაფიკულად არის დახაზული და ქვები კი სათითაოდ საგანგებოდ არის გამოყოფილი. საგულისხმოა, რომ ეს ხერხი აღმოსავლეთის ფასადზე არაა ნახმარი.

ცოკოლები მხოლოდ გათხრების შედეგად გამოვლინდა. სამხრეთის ფასადის გაყოფებაზე ორი საფეხური იყო, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ კუთხეზე კი სამ საფეხურად გადადის. აღმოსავლეთის ფასადის ცოკოლი უფრო მაღალია – შუანა აფსიდი ხუთსაფეხურიან კვარლცხბეკზეა დაბჯენილი, გვერდისანი კი ოთხ საფეხურზე დგას. საინტერესოა, რომ კედლების

⁴⁷ გულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I. თბ. 1962, გვ. 170 . B r o s e t, Rappports sur un voyage archéologique dans la Georgie et dans l'Arménie, St. Pb., 1848, 8 Rap., გვ. 115.

წყობის სუფთა თლისგან განსხვავებით კვარცხლბეკის ქვები არც მაინცდამაინც გულმოდგინედ, ტლანქად არის დამუშავებული.

ფასადთა შორის, რასაკვირველია, სამნაწილიანი აღმოსავლეთის ფასადი გამოიყოფა. აქვეა ფასადის ერთადერთი დეკორატიული აქცენტი – სარტყელი საკურთხევლის სარკმლების თავზე. ეს პროფილირებული სარტყლები უწყვეტად უვლის სამივე სარკმლის თაღებს. შუანა სარკმლის თავზე კიდევ ჯვრების გამოსახულებაა გამოკვეთილი. სამხრეთის ფასადზე ყურადღებას ნართექსის კარის გაფორმება იპყრობს. ის ღონიერი არქიტრავითაა გადახურული, რომელზედაც მდებარეობს მოქცეული ჯვარი და ბერძნული წარწერაა ამოკვეთილი.⁴⁸ არქიტრავის თავზე „ცრუ“ ლუნეტია გამოყვანილი.

აქვე, სამხრეთის ფანჯარაზეა კიდევ ერთი წარწერა, რომელიც ტაძრის 1882 წელს განახლებას მოწმობს. მართლაცდა, ერთი შეხედვით, ეკლესია ძალიან ძლიერ გადაკეთებული ჩანს, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას შედარებით ანელებს ძეგლის უფრო დანვრილებით გაცნობა. გარდა ამისა, ჩვენს ხელთაა ტაძრის განახლებამდე ახალი ათონის ბერების მიერ გადაღებული ფოტოსურათები (დიმ. ერმაკოვის კოლექციიდან) და იმათი ჩვენებანიც, ვისაც ის ენახა (იხ. ქვემოთ). ფოტოებით სჩანს, რომ მთლიანად იყო დაკარგული გუმბათი, ჩამონგრეული – მკლავებისა და დასავლეთი მკლავთაშორისი მონაკვეთების კედლების ზედა ნაწილები, დაკარგული იყო კედლის მოპირკეთების ნაწილები, თანაც როგორც სიგრძის ფასადზე, საკურთხევლის ზედა ნაწილზეც; სახელდობრ, საკურთხევლის სარკმლებს შემოვლებული სამმაგი თალისგენ ადგილზე მხოლოდ განაპირა სამხრეთ ნახნაგზე თავდაპირველი ჰორიზონტალური გადანაკეცი დარჩენილიყო. სამაგიეროდ, ფოტოსურათზე ჩანს ტაძრის სამხრეთისა და ჩრდილოეთის სიგრძივი ღერძის პერპენდიკულარული, კამაროვანი კარიბჭეები, როგორც ჩანს, ეკლესიის შეკეთების დროს განადგურებული.

შეკეთებული ნაწილები თვალთაც კარგად გაირჩევა. რომ აღარაფერი ვთქვათ ნართექსის სახურავზე დადგმულ სამრეკლოზე, ახალი ქვები თავისი ფაქტურითა და ფერით ძლიერ განსხვავებულია, რაც მოპირკეთების განახლებული მონაკვეთების გამოყოფის საშუალებას იძლევა. რესტავრატორის ხელი ატყვია აღმოსავლეთის ფასადის ჯვრებსაც, თუმცა შეკეთების დროს, უთუოდ, მორთულობის თავდაპირველი სქემა გაიმეორეს.⁴⁹

ზოგი რამ შიგა სივრცეშიცაა შეტანილი. შიგა სივრცეს ამახინჯებს ნალესობით გამოყვანილი. არქივოლტები და რთულპროფილიანი იმპოსტები რემონტისა, რომლთა ქვეშ იმალება უფრო მარტივი ქვის პროფილირებული დეტალები. ასე, მაგალითად, ნალესობის ჩამოხსნის შემდეგ იმ ადგილას, სადაც ჩრდილო-დასავლეთის ბურჯს გვერდის „ნავის“ თაღები ეყრდნობა, ნალესობაში გამოყვანილი ელემენტების ქვეშ თავდაპირველი არქივოლტი და იმპოსტი აღმოჩნდა. თავდაპირველი არ უნდა იყოს, ჩანს, აგრეთვე, გუმბათქვეშა თაღები ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს. ძველი თაღები გაცილებით უფრო მაღლა მდებარეობდა – დღეს ამას მოწმობს კიდევ ნახევარწრიული ნაშვერი, რომელიც ერთგვარ შუბლსა ჰქმნის.

მთლიანადაა გამქრალი ძველი კარნიზი. ის ან დაკარგული, ან ძალზე დაზიანებული უნდა ყოფილიყო, თუმცა ფოტოსურათებზე, თითქოს, განირჩევა ფრაგმენტები ჰორიზონტალური სარტყლებისა კედლების ზედა მონაკვეთებში (მისი პროფილი – ორმაგი თაროა) – შესაძლებელია სწორედ ეს იყოს თავდაპირველი კარნიზი.

ამგვარად, ახლა მდგომი შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი XIX საუკუნის აღდგენის ნაყოფია. თუმცა საკმაოდ ბევრი შემოგვრჩა თავდაპირველი შენობისგანაც – და, რაც მთავარია, უცვლელი დარჩა კომპოზიცია, გადარჩა ეკლესიის კორპუსის დიდი ნაწილი და მოპირკეთების არცთუ მცირე პროცენტი. ასე რომ, მიუხედავად ყველა დანაკარგისა, ანაკოფიის წმ. სომონ

⁴⁸ წარწერის უკანასკნელი გამომცემელი, თ.ყაუხჩიშვილი მას შემდეგნაირად კითხულობს: „დედაო ნათლისაო იხსენ გიორგი, ყოვლადპატიოსანი {წინამძღვარი} ჯიქეთისა“ (ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ, 1951, გვ:18-19). შენობის კუთვნილი ეს წარწერა – არქიმანდრიტი ლეონიდი მას მეორედ გამოყენებულ საფლავის ქვად მიიჩნევს, (დასახელებული ნაშრომი გვ:51-52) – დასათარიღებლად არაფერს იძლევა – მასში დასახელებულ პირზე არა ვიცით რა, პალეოგრაფია კი VII-XIV სს-ის საზღვრებს იძლევა. წარწერის ძველი პუბლიკაციებიდან იხ.: И. Помяловский, Сборник греческих и латинских надписей Кавказа, 1881, გვ. 41; В. В. Латышев, К истории- христианства на Кавказе. Греческие надписи из Ново-Афонского монастыря, СПб, 1011,.. გვ. 3.

⁴⁹ ეს მოსაზრება დაადასტურა 8, XI, 1878 წლის ჩანახატმა ე. ვეიდენბაუმის დღიურში (ე.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 19, ე. ვეიდენბაუმის ფონდი №79, ფ.42).

კანანელის ეკლესია სავსებით შეგვიძლია შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურის ძეგლთა რიგში განვიხილოთ.

მკვლევართა შორის პირველმა, ანაკოფიის ტაძარი მოიხსენია ფ. დიუბუა დე მონპერიომ, ის აღნიშნავდა, რომ ანაკოფიის ნანგრევებს შორის „მხოლოდ ერთი უძველესი მცირე ეკლესია შეგვახსენებს ჩვენ სიცოცხლის კვალის შესახებ“.⁵⁰ უფრო დანვრლებით აღწერას ვხვდებით ა. მურავიოვთან.⁵¹ მან ეკლესია იპოვა თითქმის დაუზიანებელ მდგომარეობაში, თუმცა გუმბათის გარეშე.⁵² ის მიუთითებს ტაძარში შესასვლელზე სამხრეთის მხრიდან, იძლევა საკურთხევლისა („სრულიად ბერძნული, სამნაწილიანი“) და სამშენებლო ტექნიკის დახასიათებას, ის გაკვირვებულა თხელი კედლებით, რომელნიც, როგორც მან რატომღაც ჩათვალა, „რომაული აგურითაა“ ნაშენი. ასევე, ის ასახელებს ფრესკების ფრაგმენტებს, რომლებიც დღეისათვის სრულიად განადგურებულია. ა. მურავიოვის მიერ მოცემული ცნობები, სამშენებლო მასალასთან მიმართებით მცდარი დასკვნების ჩათვლით, საკმაოდ საფუძვლიანად დამკვიდრდა ლიტერატურაში. მათ იმეორებს პ. იოსელიანი, ისინი წარმოადგენს დ. ბაქრაძის სტატიის ძირითად ნაწილს, ეს ცნობები შესულია არქიმანდრიდ ლეონიდის მიერ გამოცემულ გზამკვლევებში, თუმცა არქიმანდრიდმა ლეონიდმა, თავის მხრივ, დაამატა მას რამდენიმე ახალი ცნობა და შესწორება – იგი იძლევა საკურთხეველში სარკმლების რაოდენობის შესახებ მონაცემებს და ხაზს უსვამს, რომ „კედლები აგებულია დაუმუშავებელი ქვით და არა აგურით“. და მაინც, ტაძრის პირველ მკვლევარად უნდა ჩაითვალოს პ. უვაროვა, რომელმაც სპეციალურად განიხილა ტაძარი და გამოაქვეყნა მისი გეგმა კრებული: „კავკასიის არქეოლოგიური მასალები“ IV ტომში.⁵³ ის წმ. სიმონ კანანელის ეკლესიას ამსგავსებს ბიჭვინტის ტაძარს და აღნიშნავს, რომ „ნაკლებად შესამჩნევი გუმბათი“ ყურდნობა ოთხ ჯვისებრი გეგმის ბურჯს, საკურთხევლის ნაწილები, ტრადიციულისგან განსხვავებით არ წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ სივრცეებს და არ უკავშირდება ერთმანეთს კარებით. პ. უვაროვას მოცემული აქვს ტაძრის ზომებიც, ღიობების რიცხოვნობაცა და მათი ადგილმდებარეობაც. იგი ახსენებს სადიაკვნეში არსებული წარწერის ფრაგმენტს, თუმცა ამ აღწერებშიც არის რიგი უზუსტობები. პირველი: წარმოდგენილი მონაცემები არ ემთხვევა ნიგში წარმოდგენილ ეკლესიის გეგმას, რომელზეც დატანილია არა ოთხი ბურჯი, არამედ ორი. აქვე, ეკლესიის სამშენებლო მასალად ისევ დასახელებულია აგური („თიხის ფილები სწორ ფენადაა დაწყობილი ყოველ მეოთხე ან მეხუთე რიგში“) ე. ი. ადგილი აქვს ანაკოფიისა და ბიჭვინტის ტაძრების შეცდომით ერთმანეთში არევის. მასვე აღნიშნული აქვს, რომ ახალი ათონის ბერებმა ისე „უცოდინრად და უხეშად“ მოახდინეს ტაძრის რესტავრაცია,⁵⁴ რომ მან მეცნიერებისათვის ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგაო, თუმცა მიუხედავად ამისა, პ. უვაროვა მაინც შესაძლებლად მიიჩნევს ტაძრის სავარაუდო დათარიღებას VI-VIII საუკუნეებით, რადგან ისტიორიული ცნობების მიხედვით მისი აღდგენა მოუხდენიათ XII საუკუნეში.⁵⁵ საყურადღებოა მისივე ცნობა ტაძრის სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარის საძირკველთან დაკავშირებით, რამაც მკვლევარს მისცა შესაძლებლობა ევარაუდა სიგრძის ფასადებზე მინაშენების არსებობა (გარდა ა. მურავიოვის აღნიშნული დასავლეთის „ეგვტერისა“). ამგვარად, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ჩანდა ძველი ფოტოებიდან ჩვენთვის ცნობილი პორტიკები.

ანაკოფიის ეკლესიის არქიტექტურასთან დაკავშირებით, განსხვავებულ მოსაზრებებს ემხრობა ა. ბაშკიროვი.⁵⁶ პ. უვაროვასგან განსხვავებით, ის ვარაუდობდა, რომ ძეგლის რესტავრაციის მიუხედავად, მისი „ძირითადი მახასიათებლები შენარჩუნდა“. ა. ბაშკიროვმა მოგვცა რა აღწერა, მან ტაძარი ფორმის მიხედვით ანაკოფიის ეკლესიას დაუახლოვა ლიხნისა და ბიჭვინტის ტაძრებს და, ამავდროულად, ვარაუდობდა, რომ ეკლესიის ძველი გუმბათი ლიხნის ტაძრის

⁵⁰ Дюбуа де Монпере, დასახ. ნაშრ, იქვე.

⁵¹ А. Муравьев, დასახ. ნაშრ. გვ. 296.

⁵² ამგვარად, სინამდვილეს არ შეესაბამება A...ხ-ის ცნობა იმის შესახებ, რომ 1859 წლისათვის ტაძარი იყო სრულიად დაუზიანებელი და შეგნებულად იქნა დანგრეული ვინმე ასან მარლანის მიერ. (დასახ. ნაშრ. გვ. 2).

⁵³ П.Уварова. დასახ. ნაშრ. გვ 8-9, ნახ. I.

⁵⁴ ტაძარი ხელახლა აკურთხეს 1882 წლის 10 მაისს.

⁵⁵ ეტყობა, მან იგულისხმა აქ თავის დროზე ტრაპეზის ქვეშ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტა, რომლის მიხედვით ნავარაუდები იქნა ტაძრის განახლება ალექსი კომნენოსის მიერ. (A...ხ, დასახ. ნაშრ. გვ.2).

⁵⁶ А. С. Башкиров, Археологические изыскания в Абхазии летом 1925 года. Известия Абхазского научного общества, вып. V, Сухуми, 1926, გვ. 52.

გუმბათის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ის ასევე დასაშვებად თვლის წმ. სიმონ კანანელის ტაძრის X-XI საუკუნეებით დათარიღებას. ამასთან, ისიც იძლევა სამშენებლო ტექნიკის მცდარ დახასიათებას და ამბობს, რომ „როგორც ბიჭვინტის, ასევე დრანდის ტაძრების სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი ქვა, რომლისგანაც დამზადებულია სოლიდური ზომის კვადრები, რომლებიც დაზოლილია აგურის რიგებით“. შემდგომში ტაძრის არქიტექტურა არ გამხდარა განსაკუთრებული კვლევის საგანი, მაგრამ როგორ სამეცნიერო, ასევე პოპულარულ შრომებში⁵⁷ გვხვდება განსხვავებული დათარიღება, რომელიც მერყეობს VIII-XIII საუკუნეების ფარგლებში.

ლიხნა

არქიტექტურის მხრივ ანაკოფიის ეკლესიას სოფ. ლიხნის ტაძარი უკავშირდება. ის გუდაუთის ჩრდილოეთით მდებარეობს, ზღვისგან დაახლოებით 4-5 კმ-ის დაშორებით. ეკლესია გაშლილ ვაკეზეა აგებული, მინდორზე, რომელზედაც მის სიახლოვეს ძველი სასახლის ნანგრევებიც არის.

გზა ტაძარს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ადგება, შორიდანვე ყურადღებას იპყრობს მაღალი ქვედა კორპუსი და მასზე სამი მხრიდან მიდგმული მაღალი კარიბჭეები (სამხ. ჩრდ. და დას.) და, რაც მთავარია, ამ მაღალ, აზიდულ კორპუსთან მიმართებით მეტად პატარა გუმბათი. ამგვარად, თავიდანვე ჩანს ერთგვარი წინააღმდეგობანი – ის აზიდვის ძალა, რომელიც ქვედა მასებშია, არაა ბოლომდე აყვანილი და გუმბათის ყელის სიმციროს გამო იგი შენელებულია. იგი ვერ სწევს შენობის პროპორციებს მაღლა, ვერ ამთავრებს ანსამბლს. გუმბათი მხოლოდ მცირე აქცენტად მოსჩანს შენობის ცენტრალური მასებისა და არა მათი დომინანტა.

ტაძარი ყვითელი ფიქროვანი ქვითაა ნაგები. იგი სამსაფეხუროვან ცოკოლზე დგას, რომელიც აღმოსავლეთის ფასადზე ოთხსაფეხურიანია, ხოლო ცენტრალურ აფსიდთან ხუთსაფეხურიანზე გადადის. შენობის ძირითადი სწორკუთხედი (უფრო ზუსტად პარალელეპიპედი) ორსართულიანია და უტოლდება გვერდითი აფსიდის სიმაღლეს.

სივრცითი ჯვრის მკლავები (ამათგან სიგრძისანი სიმაღლით ოდნავ აღემატება განივს) ცოტათი სცდება ძირითად მოცულობას, ზემონახსენები კარიბჭეები კი მასების ზოგად აღმასვლაში კიდევ ერთ საფეხურს წარმოქმნის. ტაძრის გეგმა ბევრით რითიმე ჰგავს ანაკოფიის ეკლესიისას. გუმბათი აქაც თავისუფლად მიდგომ ოთხ ჯვრისებურ ბურჯზეა დამყარებული. საკუთხეველის სამი აფსიდი ამ შემთხვევაშიც გამოდის საერთო ოთხკუთხედიდან, შიგნით კი ნალისებური მოყვანილობისაა. ამასთანავე, პასტოფორიუმები აქაც არ არის დასავლეთიდან კედლით ჩაკეტილი და ძირითად სივრცეს უშუალოდ მიერთვის. ძირითად, დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძს აქაც საკუთხეველის აფსიდის ბემა აგრძელებს. დასავლეთიდან ძირითადად სივრცეს აქაც, ეკლესიის მთელი სიგანის გაყოლებით ნართექსი ეკვრის, მაგრამ აქ მის თავზე მთელ სიგრძეზე მეორე სართულია ამოყვანილი, რომელიც პატრონიკეს წარმოადგენს.

გუმბათქვეშა კვადრადიდან გუმბათის ყელის სიმრგვალებზე გადასვლა აქ აფრებით არის განხორციელებული. აფრები ორსაფეხურიან გუმბათქვეშა თალებს ეყრდნობა. უკნასკნელთა ზემოთ ზედ გუმბათის ყელის ძირში სალტა შემოვლებული. (მდრ. ქვემოთ მოქვის ტაძრის გუმბათქვეშა თალებისა და – გაცილებით გამოშვერილი – სალტის პროფილი). გუმბათის ყელში რვა დაბალი სარკმელია გაჭრილი. სარკმლებს შორის ბრტყელი ნიბურებია შექმნილი, რომლებიც გუმბათის წვეროში იყრიან თავს. ასე რომ, ცილინდრული ყელისა და თავად გუმბათის ზედაპირიც თითქოს „გოფირებულია“. ჯვრის ყოველ მკლავში სამ-სამი სარკმელია. ამას გარდა, სამხრეთი კედლის დასავლეთის მონაკვეთზე ერთი მეორის ზემოთ კიდევ ორი საარკმელია დატანებული – მათგან ზედა პატრონიკეებს ანათებს, ქვედა კი – ნართექსს. ჩრდილოეთიდან სარკმელი მხოლოდ ზედა სართულს აქვს.

ტაძარში კარები დასავლეთიდან (სამი), სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან არის დაყოლებული. სიგრძის კედლების კარები – მათი დასავლეთის ნაპირი, ისევე როგორც ანაკოფიაში, პილასტრებსაა შეხორცებული – გარეთა კარიბჭეებში გადის, დასავლეთისები კი ნართექსში. დასავლეთის სამივე კარის თავზე თითო ლიობია, რომელთა მეშვეობით პატრონიკენი ეკლესი-

⁵⁷ Напр. 3. Анчабадзе (დასახ ნაშრ. გვ. 152) – IX-X სს.; В. Пачули а (В стране Золотого Руна, Москва, 1964) – X-XIII სს.; Ю. Н. Воронов (В мире архитектурных памятников Абхазии, Москва, 1978) – IX-X სს.

ის სივრცეს უკავშირდება. გვერდითი თაღები მკვალთაშორის სადგომებში გამოდის, შუანა კი დასავლეთ მკლავში ექცევა, თანაც მის ზემოთ კიდევ ერთი, დამატებითი ღიობია მოწყობილი.

ნართექსი გადახურულია კამარით, რომლის ღერძი ტაძრის სიგანის ღერძის პარალელურია. კამარას პილასტრებზე დაყრდნობილი ორი საყრდენი თალი სამ მონაკვეთად ჰყოფს. მეორე სართულზე ასასვლელად ნართექსის დასავლეთის კედელზე მიშენებულია ფრიად დამრეცი ქვის კიბე, რომლის საფეხურები თანაბარი სიმაღლის არ არის. მეორე სართულზე ამოსასვლელის გასაკეთებლად აშკარად კამარა გაუნგრევიათ. ამგვარად, როგორც თავად კიბე ისე გასასვლელი ხვრელიც დაუდევრადაა შესრულებული, რითაც ძლიერ განსხვავდება ნართექსის ზუსტად გამოყვანილი ფორმებისგან.

ნართექსის ზემოთ მეორე სართულად ამოყვანილი პატრონიკენი სამ, ერთმანეთში კარებით გამავალ, სადგომადაა გაყოფილი. ამ სადგომების გადახურვები (ნახევრადწრიული მოხაზულობის კამარები), რასაკვირველია, სხვადასხვა სიმაღლისაა. მათი ღერძები ძირითადი სივრცის შესაბამისი მონაკვეთების კამარათა ღერძების გაგრძელებას წარმოადგენს. პატრონიკენის დასავლეთის კედელში, უფრო ჩრდილოეთის კუთხისკენ, გარეთ გამავალი კარია დაყოლებული. იგი ახლა ამოქოლილია, ეტყობა ძველად სწორედ ეს კარი უნდა ყოფილიყო პატრონიკენში შესასვლელი და, შესაბამისად, კიბეც პატრონიკეთ გარედან უნდა ჰქონოდა.

როგორც ჩანს, ამ კიბის ნაშთი უნდა იყოს ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან შემორჩენილი წყობის ფრაგმენტი.

შიგა სივრცე ლიხნის ტაძრისა მოხდენილია, მაღლა ატყორცნილი. ჯვრის მკლავთა გადახურავ კამარათა შეჯვარედინება გუმბათით არის მოხდენილად დაგვირგვინებული, რომელიც შიგნით პატარა არ ჩანს.

გარე ფასადების გაფორმება სადაა და მარტივი. არც პროფილები და არც ჩუქურთმა ამშვენებს ლიხნის ტაძრის ფასადთა სიბრტყეების დიდ მოედნებს. აღმოსავლეთის ფასადი ყველაზე უფრო ეფექტურია. სამი მძლავრი მაღალი ცილინდრული მოცულობა (მათგან შუა უფრო მაღალია), ახლა სახოვანად ნაწყობი აგურის კარნიზით არის დაგვირგვინებული. ქოლგასავით გადმოშვერილია, ეს კარნიზი თავდაპირველი არაა, რადგან სამხრეთის მხარეს შერჩენილია უფრო ძველი კარნიზი – ქვისა, ძალიან მარტივი, ბზიფის ეკლესიის მსგავსი პროფილის მქონე.

დანარჩენ სამ ფასადს, როგორც აღინიშნა, მაღალი, კამაროვანი კარიბჭეები ეკვრის (სიგრძივებს – არასიმეტრიულად). უთუოდ ეკლესიასთან ერთად ჩაფიქრებული, ისინი მაინც, ბზიფის კარიბჭეებსავით, არაა გადაბმული ძირითად ნაგებობას.

საინტერესოა გუმბათის რვანახნაგა ყელის გარეთა გაფორმება. სარკმლის ღიობები ძირითადი სიბრტყის მიმართ ერთი საფეხურითაა „შეღრმავებული“, რისი წყალობითაც გუმბათის ყელზე შუქ-ჩრდილის გათამაშების დამატებითი მოტივი შემოდის. მას ისეთივე კარნიზი აგვირგვინებს, როგორიც აფსიდებს ასრულებს.

ლიხნის ტაძარზე, ალბათ, მეტი დანერვილა, ვიდრე აფხაზეთის ნებისმიერ სხვა ტაძარზე. მკვლევართა ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამაც, რომ აქ⁵⁸ 1866 წლამდე მდებარეობდა აფხაზეთის მთავართა-შარვაშიძეების რეზიდენცია, ხოლო ტაძარში მაღალმხატვრული ფერწერის ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება.⁵⁹

პირველი აღწერა, ანაკოფიის ეკლესიაზე ცოტათი უფრო დანვრილებით, ფ. დიუბუა დე მონპერიოსთან მოიპოვება.⁶⁰ ის აღნიშნავს, რომ ეკლესია ნაგებია თლილი ქვისაგან (მოყვითალო კირქვისაგან – მისივე განსაზღვრებით) და აქვს „რვანახნაგოვანი“ გუმბათი, ხოლო შიგნით „კედლები დაფარულია მოხატულობით“. ტაძრის სტილს ის ბიზანტიურად საზღვრავს და დაგეგმარების მიხედვით ბიჭვინტის ტაძრის იდენტურად მიიჩნევს, თუმცა ბევრად მცირე ზომისააო. მეცნიერებისათვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს ცნობებს, რომლებსაც გვანვდის მარი

⁵⁸ XIX საუკუნის ავტორები ლიხნის ტაძარს უწოდებენ ზუფუ ან სოუკ-სუ.

⁵⁹ მის ქვეშ აღმოჩენილია კიდევ უფრო ადრეული პერიოდის, X-XI საუკუნეების მხატვრობის ფრაგმენტები. ფერწერის შესახებ იხ.: Л. А. Ш е р в а ш и д з е, Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980, გვ. 67-148, აქვე მოყვანილია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

⁶⁰ Дюбуа де Монпере, დასახ. ნაშრ. გვ. 124.

ბროსე თავის ზემოდამოწმებულ VIII ანგარიშში.⁶¹ მართალია, ის ტაძრის არქიტექტურის შესახებ არაფერს ამბობს და მხოლოდ შეფასებით – „ლამაზი ბიზანტიური ეკლესია“ შემოიფარგლება. სამაგიეროდ, მას მოჰყავს მოხტულობის მოკლე აღწერა და რიგი წარწერებისა, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი, ამჟამად უკვე არარსებული წარწერა,⁶² რომელშიც საუბარია 1066 წელს, ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში კომეტის გამოჩენის შესახებ. წარწერა არ იძლევა ტაძრის აგების ზუსტ თარიღს, თუმცა იგი ყველა მეცნიერისათვის იძლევა ტაძრის აგების დათარიღების ზედა ზღვარს – არა უგვიანეს XI საუკუნის შუა პერიოდისა.

დ. ბაქრაძე თავის შრომაში⁶³ არსებითად ახალს არაფერს გვანვდის – ის აჯამებს ფ. დიუბუა დე მონპერიოს და მ. ბროსეს მონაცემებს, ერთი მხრივ, საუბრობს ლიხნის ტაძრის ბიჭვინტის ტაძართან მსგავსებაზე, სამშენებლო მასალასა და „რვანახნაგოვან კამარაზე“, მეორე მხრივ – 1066 წლის წარწერაზე. ლიხნის ტაძართან მიმართებით უფრო საინტერესოა დ. ბაქრაძის სხვა ნაშრომი: „ქართული პალეოგრაფია“, სადაც მან შემოგვთავაზა სხვა წარწერის მ. ბროსესაგან განხვავებული ნაკითხვა. იქ, სადაც ეს უკანასკნელი კითხულობდა „გიორგი რეხია უცინი“, დ. ბაქრაძე გვთავაზობს დავინახოთ გიორგი I და წარწერას მიაკუთვნებს მისი სიცოცხლის პერიოდს (გარდ. 1027 წ.), რითაც ეკლესიის აგების თარიღის ზედა ზღვარი XI საუკუნის I მესამედამდე გადაინია.⁶⁴ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერის ეს მინიშნება შემდგომი კვლევებით არ გამყარებულა. ამ შემთხვევაშიც ყველა სხვაზე ზედმინვნითი აღწერა ეკუთვნის პ. უვაროვას.⁶⁵ იგი ახასიათებს ძეგლის ტიპს („ნაგრძელებული ჯვარი სამი ნავით“; „გუმბათის საყრდენი ოთხი ბურჯი“), მიუთითებს ეკლესიის მხატვრულ („ნაკლებად გამოხატული გუმბათი დაბალი ყელით“; „შეკუმშული და სამნაწილიანი აფსიდის თითქოს ზედმეტად შემალღებელი ფორმები“) და ტექნიკურ (მინაშენები მიდგმულია ტაძრის კედლებთან „მიჯრით“) თავისებურებებს. ზედმინვნით აქვს მას აღწერილი ეკლესიის ყველა კომპონენტი, ლიობების მდებარეობა, მოკლედაა აღწერილი ტაძრის ფერწერაც. მხატვრული და ისტორიული თვალსაზრისით პ. უვაროვა ლიხნის ტაძარს მიიჩნევს „X და XI საუკუნეების ბიზანტიური ხელოვნების იშვიათ ნიმუშად“ და ამსგავსებს მას არა მხოლოდ ბიჭვინტის ტაძარს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ზელენჩუკისა და ტებერდის ხეობების არქიტექტურულ ძეგლებსაც.

ა. ბაშკიროვმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ლიხნის ტაძარს თავის კვლევებში.⁶⁶ ის მიიჩნევდა, რომ იგი „შიგნით ჯვრული ტიპის გუმბათოვანი ბაზილიკაა,“ რომელიც „XI-XIII საუკუნეებში ბიზანტიური ხელოვნების კულტურული ჰეგემონიის სფეროში ბატონობდა“. მხატვრული თვალთახედვით ის ტაძარს მაღალ შეფასებას აძლევს – იგი მას ხიბლავს „ტანწყობილობით, ნაწილთა თანაბარზომიერებით, სიბრტყეების ნათელი განთავსებით და ხაზების გასაოცარი სისუფთავით.“ ეკლესიას ყურადღება არც შემდგომ მოკლებია – ის ქართული არქიტექტურისა და ქართული ხელოვნების შესახებ მრავალ განმაზოგადებელ შრომაშია მოხმობილი და მუდამ X-XI საუკუნეთა ან უფრო დაზუსტებით – X საუკუნით თარიღდება.⁶⁷

როგორც ანაკოფიის წმ. სიმონ კანანელის, ისე არც ლიხნის ტაძრისათვის არსებობს პირდაპირი, ერთმნიშვნელოვნად დასათარიღებლად საჭირო მონაცემები, ამიტომ ორივე ტაძრის ქრონოლოგიის დასაზუსტებლად უფრო მართებულად გვეჩვენება, ამ საკითხს დავუბრუნდეთ მას შემდეგ, რაც ძეგლთა ჩვენთვის საინტერესო ჯგუფის ბოლო წარმომადგენელს – მოქვის ტაძარს გავეცნობით. მაგრამ ლიხნესთან კავშირში მაინც აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი

⁶¹ M. Brosset, დასახ. ნაშრ. გვ. 115-118.

⁶² აღნიშნული წარწერა 1985 წელს გაინმინდა რესტავრატორების მიერ მ. ბურჯუკურის ხელმძღვანელობით. ამის შესახებ იხ. ვ. სილოგავა. ქართული წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ. ლიტერატურული საქართველო, 7, II, 1986. (რედ.)

⁶³ Д. Ба к р а д з е, დასახ. ნაშრ. გვ. 136.

⁶⁴ Труды V Археологического съезда в Тифлисе, М., 1887, გვ. 212. იხ ასევე. M. Brosset. დასახ. ნაშრ. გვ. 18.

⁶⁵ П. У в а р о в а . დასახ. ნაშრ. გვ. 14-16, ცხრილი II-IV.

⁶⁶ А. С. Башкиров, დასახ. ნაშრ.

⁶⁷ Н. П. С е в е р о в, Памятники грузинского зодчества, М., 1947, გვ. 194—195; Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Грузии, в кн. ВИА, т. III. გვ. 338, рис. 26; G- Tschubinaschwili, Art of Georgia, Encyclopedia of World Art, Vol. VI, N. Y. —Toronto-London, 1962, გვ. 145; E. Neubauer, Altgeorgische Baukunst, Leipzig, 1976, gv. 96; R. Mepissaschwili, W. Zinzadse, Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977, გვ. 112; W. Beridse, E. Neubauer, Die Baukunst des Mittelalters in Georgien, Berlin, 1980, gv. 85—86; Art and Architecture in Medieval Georgia, Louvain-la-Neuve, 1980, გვ- 375.

მომენტები, რომლებიც დაგვეხმარება განვსაზღვროთ როგორც ძეგლის აგების თარიღი, ისე მისი თავისებურებები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ტაძრის გუმბათი. მისი შიგა ნიბურა კონსტრუქცია ქართულ არქიტექტურაში ანალოგს, რამდენადაც ვიცით, საზოგადოდ ვერ პოვებს. სამაგიეროდ, ის კარგადაა ცნობილი ბიზანტიურ არქიტექტურაში და განსაკუთრებით ფართოდ შუაბიზანტიური ხანის კონსტანტინოპოლის ეკლესიებში.⁶⁸ პირიქით, ბიზანტიის იმპერიის ნაგებობებისათვის არ არის დამახასიათებელი ლიხნის ტაძრის გუმბათისა და მისი ყელის მსგავსი გარეთა გაფორმება. ბიზანტიურ არქიტექტურაში გუმბათი ჩვეულებრივ აღჭურვილია სვეტებით, რომლებიც ნახნაგების კუთხეებზეა გამოშვერილი და თითქოსდა ნახნაგების ზემოდან შემომწმენ თალებს ზიდავსო; ვერსად ნახავთ სწორკუთხა ნახნაგებზე შეღრმავებულ თაღოვან ზედაპირებს. აი, კახეთსა და შიდა ქართლის მთიანი ნაწილის დროით არც თუ შორეული ძეგლების მთელ რიგში შეგხვდებით გუმბათის ყელის მსგავსი დეკორატიული გაფორმება (ნეკრესის მონასტრის გუმბათიანი ეკლესია IX ს. „გუმბათიანი საყდარი“ სოფ. მატანთან, IX საუკუნე; ქსნის კაბენი, IX ს.).⁶⁹ ამასთან ბრტყელი თაღოვანი ფასადის ნიშის მოტივი შესაძლებელია არაგუმბათოვან არქიტექტურაშიც ვიპოვოთ (აკურა – IX ს⁷⁰; ხცისი – 1002 წ; მარტვილის „სვეტი“). ქართული არქიტექტურის ეგრეთ წოდებულ „გარდამავალ პერიოდთან“ შესაძლებელია დავაკავშიროთ პატრონიკეთა ბიზანტიური არქიტექტურისთვის უცხო გადაწყვეტა – წინა თაღების ორ რიგად დაწყობა. ამგვარ კომპოზიციას ვხვდებით გურჯაანის ყველანმინდაში (VIII ს.). სადაც ტაძრის დასავლეთი კედელი პატრონიკეზე თაღების სამი რიგით იხსნება.⁷¹ ლიხნის ტაძრის დასავლეთის კედლის უფრო ახლო და მოკრძალებულ ანალოგიას წარმოადგენს, ლიხნის ტაძრიდან არც თუ ისე შორს მდებარე ამბარას სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც სავარაუდოდ VIII—IX საუკუნეებს განეკუთვნება. კარნიზის ფორმაც, როგორც ითქვას, გარდამავალ ხანას, უფრო ზუსტად კი ბზიფის ტაძარს უკავშირდება.

საინტერესოა დეტალს წარმოადგენს ტაძრის პატრონიკეზე ასასვლელი გარეთა კიბეც. მეორე სართულზე ასასვლელის მსგავს მონყობასაც პარალელები VIII—X საუკუნეების ქართულ არქიტექტურაში ეძებნება, მას ვხვდებით კახეთში (გურჯაანის ყველანმინდა), ქართლში (წირქოლი) და ჩვენ სამსჯელო რეგიონში – ბიჭვინტის გუმბათოვან ტაძარში (X-XI სს). საინტერესოა, რომ გარე კიბეები მიშენებული აქვს კახეთის მთელ რიგ ფეოდალური ხანის სასახლეებს, რაც გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ მათი წარმომავლობა საერო არქიტექტურიდან.⁷²

ბევრად გვიან პერიოდს შეიძლება მივაკუთვნოთ აგურისგან შემდგარი კარნიზი. მსგავსი კარნიზები ფართოდ არის გავრცელებული ბიზანტიური ხუროთმოძღვრების შუაბიზანტიურ ეპოქაში, ასევე ბულგარეთის ძეგლებში. ჩვენთვის, მოცემულ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ფორმები მისტრის ძეგლებში (მაგ; წმ. ანას ტაძარი, წმ. გიორგის ტაძარი, ასევე კაპელა),⁷³ ამ ძეგლებში შესაბამისი ფიგურული ნყოფა სავსებით ორგანულია და ჩნდება არქიტექტული დეკორის სხვა ნაწილებშიც (მაგალითად, სარკმელთა შემკულობა). რამდენადაც ტაძრის ამჟამინდელი ფერწერა XIV საუკუნეს განეკუთვნება, შეიძლება ლიხნის ამგვარი კარნიზიც ამ პერიოდში აქ განხორციელებულ საყურადღებო აღდგენით სამუშაოებს დაუკავშიროთ.

⁶⁸ Ch. Bouras, Nea Moni on Chios. History and Architecture, Athens, 1982, გვ. 151

⁶⁹ Г. К. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 323, ტაბ. 237; მისივე: Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье. Вопросы..., ტაბ. 53, 2; 56,4.

⁷⁰ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 117, ტაბ. 57.

⁷¹ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 281-282.

⁷² Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 578. შენიშვნა I

⁷³ G. Millet, Monuments byzantins de Mistra, Paris, 1910, გვ. 14 -დან 19-მდე

მოქვის ტაძარი

შესავალი – ძეგლის ისტორიული ცხოვრება

ყველაზე ადრინდელს, უფრო სწორად კი პირველ ცნობას მოქვის ტაძრის მშენებლობის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვანვდის – „შეექცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თუისსა, რამეთუ მაშინვე შევიდა აფხაზეთად... ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საები-სკოპოზოდ“.⁷⁴

ამ მოკლე ცნობაში მოქვის ტაძრის არქიტექტურის რაობის გაგებისა და შესწავლისთვის ორი ფრიად საგულისხმო ფაქტია დამონმებული – მშენებლობის თარიღი და მისი დანიშნულება. ამ საბუთით მშენებლობის პერიოდი X საუკუნის 60-იანი წლებით იფარგლება, კერძოდ კი, ლეონ აფხაზთა მეფის მმართველობის წლებით (957-967)⁷⁵, ხოლო მოქვის ტაძრის მშენებლობა რიგითი ეკლესიის მნიშვნელობას სცილდება – იგი საეპისკოპოსო კათედრალად გამიზნული ნაგებობა გახლავთ. თვით ის ფაქტიც, რომ მემატთანეს მოქვის ტაძრის აგების ცნობა „ქართლის ცხოვრებაში“ აქვს შეტანილი, თავისთავად მეტყველებს იმასზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას აკისრებდნენ ფეოდალური საქართველოს მესვეურნი მას, როგორც ახლად დაარსებულ საეკლესიო ცენტრს.

მოქვის ეპარქიის დაარსება დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონში და მასთან დაკავშირებული ფართო მშენებლობა არ იყო განპირობებული მხოლოდ შიდასაეკლესიო, რელიგიური საკითხების გადაწყვეტით. ცხადია, ეს პოლიტიკური აქტიც გახლდათ და გამიზნული იყო, ერთი მხრივ, ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროს შესაზღვრავად და, მეორე მხრივ კი დასავლეთ საქართველოს შიდაპოლიტიკური და სოციალური სიმტკიცის გასაძლიერებლად.⁷⁶ ეს ვითარება უფრო რელიგიურად წარმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, იმ საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციას, რომელიც შეიქმნა VII-X საუკუნეებში წინა აზიას და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო სახელმწიფოებში და რომელმაც დასავლეთ საქართველოში შესაძლებელი გახადა ბიზანტიის გავლენის სფეროდან გამოსვლა, ხოლო, მეორე მხრივ კი, იმ შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური ძალების განმტკიცებასა და აღმავლობას, რომელთაც ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური შიგა ძალები უწყევად მიყავდა ფეოდალური საქართველოს ერთიანი, გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნისაკენ. „აფხაზთა სამეფოს“ მესვეურნი თავის ქვეყანაში უწყევად და კანონზომიერად ატარებენ ბიზანტიის სახელმწიფოს მორჩილების სფეროდან გამოსვლისა და აღმოსავლეთ საქართველოსთან მჭიდრო დაკავშირების პოლიტიკას.⁷⁷ ცხადია, ამგვარ ვითარებაში დასავლეთ საქართველოს ეკლესია უნდა განთავისუფლებულიყო კონსტანტინოპოლის პატრიარქის მორჩილებიდან.

თავისთავად ბიზანტიის ეკლესიისგან აფხაზეთის ეკლესიის ჩამოშორების ფაქტი ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში დადასტურებულია; მაგრამ მისი თარიღის გამო სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ასე, ივ. ჯავახიშვილი მას VIII-IX საუკუნეებს აკუთვნებს,⁷⁸ პ. ინგოროყვა აზუსტებს ამ თარიღს IX საუკუნის პირველი ნახევრით⁷⁹. ნ. ბერძენიშვილი კი ამ თარიღს აკონკრეტებს ბაგრატ აფხაზთა მეფის მმართველობის წლებით (861-873),⁸⁰ პროფ. მ. ლორთქიფანიძე, სრულიად მართებულად უკავშირებს რა ამ ვითარებას აფხაზეთის სამეფოს დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტს⁸¹, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საეკლესიო გამოყოფა ერთბაშად არ ხდება. ჯერ საკუთრივ აფხაზეთის ეკლესია მოიპოვებს ავტოკეფალიას (VII საუკუნის ბოლო). შემდეგ ხდება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება (VIII საუკუნის მეორე ნახევარი), აფხაზთა სამეფოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინეპოლისის სამწყსოს და მცხეთის საყდარს

⁷⁴ „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლის ნუსხა, 1942წ. გვ.

⁷⁵ აფხაზთა მეფე ლეონის ზეობის წლების შესახებ იხ.: ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალები, საქართველოს სიძველენი, II, ტფ. 1909, გვ. 53; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ხალხის ისტორია, II, გვ. 104. С. Джанашиа, О времени и условиях возникновения абхазского царства. Енимკის მოამბე, VIII, 1940, გვ. 137-152; 3. Анчабадзе, დასახ. ნაშრ.

⁷⁶ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963.

⁷⁷ ამ საკითხის გარჩევა და მის შესახებ ლიტერატურის განხილვა იხ.: Анчабадзе, დასახ. ნაშრ.; გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1973.

⁷⁸ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 119-120

⁷⁹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 244

⁸⁰ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, VI, 1940, გვ.291

⁸¹ მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ.1963, გვ. 143

უერთდება, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ემორჩილება. საეკლესიოს რეფორმამ აფხაზეთში საბოლოოდ X საუკუნეში სრულდება.⁸²

ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში ბუნებრივია, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია და, კერძოდ კი, აფხაზეთის ეპარქია სახელმწიფოს მესვეურთა საგანგებო ყურადღებისა და მზრუნველობის ორბიტაში არის მოქცეული და, ამდენად, ახალი საეკლესიო ცენტრების დაარსების საჭიროება და მასთან დაკავშირებით ფართო სამშენებლო პროგრამის განხორციელება ეპოქითაა სტიმულირებული. მოქვის საეპისკოპოსოს დაარსება და მისი სიძლიერისა და მნიშვნელობის წარმოჩენა დიდი მასშტაბის საკათედრო ტაძრის მშენებლობით ამ პროგრამის ერთგვარი დაგვირგვინებაა.⁸³

მოქვის ეპარქია დასავლეთ საქართველოს ისტორიის ფეოდალური პერიოდის განმავლობაში არ კარგავს რელიგიისა და კულტურის ცენტრის მნიშვნელობას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII საუკუნეშიც აქ – „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორის მდინარის შორის ადგილისა“.⁸⁴ თუ როდის გაუქმდა მოქვის ეპარქია, ამის პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ XIX საუკუნის 50-იანი წლებში იგი უკვე გაუკაცრიელებულია და გაპარტახებული.⁸⁵ ცხადია, ამ ვრცელი ცხრასაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე მოქვის კათედრას ჰქონდა როგორც აღმავლობისა და გაფურჩქვნის, ისე დაცემის პერიოდიც, რაც ღრმად უნდა ჩაბეჭდილიყო კათედრალის არქიტექტურაში.

საგულისხმოა, რომ მოქვის ეპარქიისა და მისი კათედრალისათვის მზრუნველობა არ შენელებულა უკვე გაერთიანებული საქართველოს სამეფოს პერიოდშიც. რამდენიმე ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოს მესვეურნი მის გამშვენიერებასა და წარმოჩენაზე ზრუნავენ. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მოწმობით, დავით აღმაშენებლის მეფობაში (1089-1125წწ.), მოქვის ტაძარი მხატვრობით შეუმკიათ. ეს ფაქტი საგანგებო წარწერითაც ყოფილა შემტკიცებული და, რაც მთავარია, მის შინაარსში აღუბეჭდიათ იმ დროისათვის დამახასიათებელი, გარკვეული პოლიტიკური სიტუაცია – „მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენისა და აფხაზთა დიდი მეფის დავითის დროს“.⁸⁶ ამ მეტად საინტერესო დოკუმენტში, რომელიც გაერთიანებული საქართველოს მეფესა და ბიზანტიის კეისარს ერთ ვითარებაში იხსენიებს, ერთგვარად აღბეჭდილია მაშინდელი საქართველოს საგარეო მდგომარეობა და სახელმწიფოს შიგა პოლიტიკური კურსი. მაგრამ ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ძველი დიპლომატიის ამ სიმბოლური აქტის დემონსტრირება ხდება სწორედ მოქვის ტაძრის კედლებზე, რაც თავისთავად მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, თუ რა მნიშვნელობას აკისრებდნენ მოქვის კათედრალს საქართველოს გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკური მესვეურნი.

მოქვი არ კარგავს ძალას გვიანი ფეოდალური ურთიერთობის პერიოდშიც. იგი ამ დროშიც კულტურისა და განათლების ერთ-ერთი კერაა. აქ მისდევენ მნიგნობრობას (1300 წ-ს საგანგებოდ მოქვისთვის მდიდრული ოთხთავი გადაიწერა), ითარგმნება უცხო ენებიდან ლიტერატურა, ტაძარი მდიდრდება ძვირფასი სამკაულით.⁸⁷ შენდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა, კერძოდ, მნიგნობარ-გადამწერთათვის გამოყოფილია კიდევ ერთი ცალკე, სპეციალური პალატები.⁸⁸ XV საუკუნეში მოქვის არქიტექტურულ ანსამბლს ახალი, მნიშვნელოვანი ნაგებობა ემატება – მოქველი მთავარეპისკოპოსის გრიგოლ მანაგაძის თაოსნობით იგება დიდი სამრეკლო.⁸⁹

⁸² იქვე,

⁸³ საუკუნის დასასრულისათვის გაერთიანებული საქართველოს ამ სექტორში ახალი საეკლესიო ცენტრის დაარსება ბედიაში, „ბედიელთა“ ახალი რელიგიურ-ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა მაჩვენებელია საქართველოს ეკლესიის გავლენის სფეროს საბოლოო განმტკიცებისა.

⁸⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 781.

⁸⁵ M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 111-112, ასევე: ლოპპ. II, გვ. 52; ლესუმე, გვ. 47; Д. Б а к р а д з е, Кавказ., გვ. 103.

⁸⁶ Д. Б а к р а д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

⁸⁷ თ. ჟორდანი. მოქვის ეკლესიის (აფხაზეთში) ომოფორი ისტორიული წარწერით, „ივერია“, 1902წ. №92 მისივე, ქრონიკები, ტ. II, ტფ. 1897, გვ:172-174

⁸⁸ ამაზე მიგვანიშნებს მოქვეში გადაწერილი ევდემონ ჩხეტიძის დროინდელი (1543-1578) იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული კრებულის ქართული თარგმანი. იხ. კ. კეკელიძე, ახლად აღმოჩენილი ჰაგიოგრაფიული თხზულება, ეტიუდები, III, თბ. 1955, გვ. 258.

⁸⁹ მოქვის სამრეკლო ეკლესიის დასავლეთით დგას. დღეს იგი გარედან ბეტონის ჯავშანშია ჩასმული და დამახინჯებული. შერჩენილია პირველი სართულის თლილი ქვის შიგა მოპირკეთება, თლილი ქვისაგანვე გამოყვანილი ვარსკვლავისებური მისი კამაროვანი გადახურვა. ფასაღზე აქა-იქ შერჩენილი თლილი ქვის პერანგისა და ჩუქურთ-

XVII საუკუნეში მოქვი კვლავ მნიშვნელოვან პუნქტად გვევლინება, ამ პერიოდშიც ის მხარის და მთელი საქართველოს კულტურისა და საეკლესიო პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრია. მართალია, არქანჯელო ლამბერტის დროს (1635-1653წწ.) მხარეში მოქველ ეპისკოპოსს მეორე ადგილი უჭირავს – დრანდელის შემდეგ,⁹⁰ მაგრამ მისდამი ინტერესი არ გამქრალა. ის მრავალ მოგზაურსა და პოლიტიკურ მოღვაწეს იზიდავს. 1640 წელს რუსეთის ელჩები ელჩინი და მღვდელი პავლე ეცნობიან მას.⁹¹ ხოლო 1659 წელს მოქვეს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი ეახლა, რომელმაც ზემოთ მოყვანილი ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა ტაძრისა და მისი მხატვრობის შესახებ.

მოქვის ტაძარი არც XVIII საუკუნეში კარგავს თავის მნიშვნელობას. ვახუშტი ბაგრატიონის ზემომოყვანილი ცნობით, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, „მდინარე კოდორისა და მოქვის მდინარეს შორის“ მოქცეული სანახები მისი სამწყსოა. ასეთივე ვითარება ჩანს საუკუნის დასასრულისათვისაც. გულდენშტეტის ცნობით, 1772 წელს მოქვეში კვლავ ზის ეპისკოპოსი, რომელსაც მოქველს უწოდებენო.⁹²

მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოქვი უკვე მიტოვებულია და გაპარტახებული. 1838 წელს პროფესორ ნორდმანს მოქვის „გაუკაცრიელებულ“ ტაძარში ჯერ კიდევ ფერადი მარმარილოს ქვებისაგან დაგებული მოზაიკური იატაკი დახვდა და ტაძრის მახლობლად მრავალი შენობა, უკვე ნანგრევების სახით, შემორჩენილი.⁹³ ათი წლის შემდეგ კი, 1848 წელს, აკადემიკოსმა მარი ბროსემ თვით ტაძარი დაზიანებული, უკვე ხვიარა მცენარეებში გახვეული ნახა. მის გუმბათზე მაღალი ხეები იზრდებოდა.⁹⁴ ასეთსავე ვითარებაში მოქვი 1859 წელს ნახა დიმიტრი ბაქრაძემაც. ხოლო ექვსი წლის შემდეგ, როდესაც მან, 1865 წელს მეორედ მოინახულა მოქვის ტაძარი, იგი უკვე განახლებული იყო – ძველი მოქვის კათედრალი მიხეილ შარვაშიძეს თავის საგვარეულო საძველედ აღედგინა.⁹⁵

ამ პერიოდიდან იწყება მოქვის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის მეორე ცხოვრება. იგი სამუდამოდ კარგავს თავის თავდაპირველ ფუნქციას, მდიდარ არქიტექტურულ სამოსელს და შიგ დაგროვილ ნივთებს, რომელთა შორის ხელოვნების მრავალი ბრწყინვალე ძეგლი მოიპოვებოდა. მაგრამ აქედან იწყება მისი ცხოვრების ახალი ეტაპიც მისი არქიტექტურის მეცნიერული შესწავლისა და კათედრალის კომპოზიციურ-ტიპოლოგიური ფენომენის გააზრებისა.

ძეგლის აღწერა

სოფელი მოქვი ქ. ოჩამჩირედან ჩრდილო-აღმოსავლეთით 20 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, ხოლო თვით ტაძარი დაბლობზე, ორი მდინარის – დვაბის და მოქვის წყალთა შესართავის დაბალ კონცხზეა აღმართული. ტაძრისათვის შერჩეული სამშენებლო მოედანი მართალია, მდინარის დონიდან საკმაოდ ამალღებულია და სულ სამასამდე მეტრის სიგანისა თუ იქნება, მაგრამ თვით შენობა მხოლოდ ახლო მისვლისას ჩნდება თავისი მასიური ქვედა კორპუსით და მაღალი გუმბათით.

მუდმივ მწვანე მცენარეულობით და დაბალი გალავნით გარსშემორტყმული მოქვის ტაძარი შთამბეჭდავია თავისი მონუმენტურობით, მასათა უჩვეულო განწყობით და, ამავე დროს, ფასად-

მის ფრაგმენტები წარმოდგენას იძლევა მის არქიტექტურაზე. სამშენებლო წარწერა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში თ.ჟორდანიას უნახავს (იხ. „ივერია“ 1902წ. №92) ჩვენ ველარ ვნახეთ. საბჭოთა კავშირის აკადემიის არქივში დაცულია ფოტოსურათი მოქვის მახლობლად ნაპოვნი, ქვაზე ამოჭრილი ასომთავრული წარწერისა, რომელიც სწორედ თ.ჟორდანიას მიერ მოყვანილი სამრეკლოს წარწერის ნაშთი უნდა იყოს. წარწერა ასე იკითხება: ყოვლად წმინდაო ღმრთისმშობელო მეოხ და მფარველი ექმენ გრიგოლ მოქველ მანაგაძესა.“

⁹⁰ А. Л а м б е р т и, Описание Колхиды. СМОМПК, вып. X II. Тиф., 1913, გვ. 128.

⁹¹ Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 гг., СПб. 1861, გვ. IX

⁹² „ გულდენშტეტის მოგზაურობა“ ... , გვ. 171.

⁹³ Путешествие профессора Нордмана по Кавказскому краю. Журнал Министерства Народного Просвещения, 1838, отд. IV, გვ. 426.

⁹⁴ Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

⁹⁵ Д. Б а к р а д з е, დასახ. ნაშრ., მიხეილ შარვაშიძე აქვე, ტაძარშია დაკრძალული. დაცულია მისი საფლავის მარმარილოს ფილა ასომთავრული წარწერით: „აქა განისვენებს მთავარი აფხაზეთისა მიხეილ გიორგის ძე შარვაშიძე მიცვალებული 1866 წელს“.

თა ქვის პერანგის უმაგალითო დაცულობით. მოქვის ტაძრის პირველად ნახვისთანავე თვალში გვხვდება ექსტერიერის განსაკუთრებული თავისებურებანი: – ერთი მხრივ, მძიმე კუბური ქვედა კორპუსისა და ჯვრის მკლავთა არასტერეოტიპული თანაშეტოლება და, მეორე მხრივ კი, ფასადთა სამოსისა და კარ-სარკმელთა დეკორის შენახულობა თუ სიახლე; გაკვირვებთ დასავლეთი ფასადის მოპირკეთებასთან გადაბმული კარიბჭის და ეკლესიის მასების შეუსაბამობა – ორ მრგვალ სვეტზე შედგმული, პირამიდულ სახურავზე აღმართული პატარა ოთხსვეტიანი ფანჩატურით⁹⁶, ის მეტისმეტად მსუბუქია, უწონადი.

სხვაგვარ მხედველობით ხატს ქმნის ტაძრის შიგა სახე. ინტერიერის სივრცის სტრუქტურა მოკლებულა იმ მძიმე მონოლითურობას, რომელიც გარე მასების მოცემულობაში ასე ძალოვნად ჩანდა. სივრცე აღიქმება თანაზომიერ ნაწილებისგან შეკრებილ მთლიანობად, აქ სუფევს მოხდენილობა და სიმსუბუქე წარმოქმნილი პერსპექტივში მიმავალი სვეტნარის რიტმულობით. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავების სვეტებისა და მათგან გადასული საბრჯენი თაღების სვლა, პილასტრებით დაყოფილი ბემის კედლებზედაც გრძელდება. შიგა სივრცის შემდეგ საფეხურს ქმნიან გვერდის „ნავები“, რომელთა რიტმული ცეზურები ეთანხმება გრძივი მკლავებისას, თუმცა ისინი უფრო მოკლეა და ვიწროც. ესენიც შუა, მთავარი ჯვრის მკლავის მსგავსად აფსიდებითაა დამთავრებული. ჯვარგუმბათოვანი სივრცის საზღვრები ერთგვარად ფართოვდება სამი მხრიდან შემორტყმული პატრონიკების ღიადაა წყალობით. მაგრამ, ამავე დროს, მიუხედავად ჯვარგუმბათოვანი სივრცის ასეთი „გაფართოებისა“, პატრონიკების სივრცეს მზერა არ გადაყავს უსასრულობაში. იგი მას დამოუკიდებელ „სალტესავით“ გარს ერტყმის და „ფარგლავს“ ჯვრის მკლავებს, სივრცის ასეთი ვიზუალური სტრუქტურა მიღწეულია პატრონიკების სივრცის და ეკლესიაში სარკმლებიდან უხვად შემოსული სინათლის წყალობით – ტაძრის შუქფენაში არ ჩანს მკვეთრი კონტრასტები, არამედ უფრო მეტად განათებაში თანაზომიერება სუფევს.

მოქვის ტაძარი წარმოადგენს „ჩანერილი ჯვრის“ ტიპის ჯვარ-გუმბათოვან შენობას, ცენტრში ოთხ თავისუფლად მდგომი ჯვრისებრი კვეთის სვეტებზე აღმართული გუმბათით და სამი მხრიდან გარშემორტყმული ორსართულიანი პატრონიკებით. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებთან შედარებით საგრძნობლად არის დაგრძელებული ჯვრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მკლავები, შესაბამისად, პილასტრებით დაყოფილი ბემისა და წყვილი ბურჯის დამატებით და ორი ღიადის მეშვეობით. მკლავები გადახურულია საბრჯენ თაღებზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარებით. საბრჯენი თაღები მარტივი სვეტისთავებით დასრულებულ პილასტრებზეა დაყრდნობილი; სვეტისთავებს შორის აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავთა კამარების დაყრდნობის დონე აღნიშნულია პროფილირებული სარტყლით.

გარედან ჯვრის მკლავთა გადაჯვარედინება გამოვლენილია ორქანობიანი სახურავებით. ჯვრის მკლავებსა და პატრონიკებს შორის მოქცეული სივრცეები, რომელთაც ლიტერატურაში ხშირად არასწორად გვერდის ნავებს უწოდებენ (ამაზე ქვემოთ), ასევე ცილინდრული კამარებითაა გადახურული. ექსტერიერში ისინი ცალფერდა სახურავებითაა გამოვლენილი. უკანასკნელნი ოდნავ ამალელებულია ასევე ერთი ქანობით გადახურული პატრონიკენტა სახურავის მიმართ და ეს ქმნის კიდევაც კათედრალის უჩვეულო სილუეტს. შიგნით პატრონიკების ორსართულიანი მასივი ორივე დონეზე ნახევარწრიული ღიადებით არის გახსნილი, ხოლო გარედან ნაგებობას კუბურ მასივში სვამს. სწორკუთხა მოხაზულობა აქაც, ჩვენს მიერ განხილული სხვა ტაძრების მსგავსად, აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდითაა გართულებული – ცენტრალური ხუთნახნაგოვანია, ხოლო ორი გვერდის ნავებისა კი მრგვალად შემოფარგლული.

პატრონიკენი უფრო ვიწროა ვიდრე გვერდის „ნავები“. ზედა სართულის (ე.ი. საკუთრივ პატრონიკების) სივრცე დაუნეწვერებელ გარშემოსავლელს წარმოადგენს, ქვედა სართული კი დატიხრულია და თითო სიგრძის მხარეს შექმნილია ექვს-ექვსი ცალკეული სადგომი – სამლოცველო. თითო წყვილი ასეთი სადგომებისა – აღმოსავლეთისა და დასავლეთის მონაკვეთებში იზოლირებულია ძირითადი ჯვარ-გუმბათური სივრცისგან და მხოლოდ ვიწრო ღიადები უკა-

⁹⁶ ასეთივე ფანჩატური აგვირგვინებდა ტაძრის გუმბათის კონუსურ სახურავსაც; ის 1856 წელს ძეგლის შეკეთების დროს მოიხსნა.

ვმირდება გვერდის „ნავეს“.⁹⁷ აღმოსავლეთით მონყობილი კაპელები განსხვავებულად არის გადაწყვეტილი . ყოველი მათგანი ორი სარკმლით ნათდება. მათი აღმოსავლეთის სარკმელი მცირე ნიშაში არის გაჭრილი. ეს უკანასკნელი კედელში აფსიდალურად არის შეზნექილი და კონქით გადახურული. ნიშა იატაკის დონიდან საკმაოდაა აწეული და მასზე მცირე თაროა მონყობილი ისე, რომ აფსიდისებრი სახე აქვს. ჩანს, ეს მცირე სადგომები განკუთვნილი იყო მცირე ნირვებისათვის, ან იქნებ პარტოფორიუმების მაგივრობას სწევდა.

პატრონიკენის ქვედა სართულის ის მონაკვეთები, რომელნიც კუთხის სადგომებს შორისაა მოქცეული ღიადებით უკავშირდება ტაძრის ძირითადად სივრცეს; ყველა მათგანი სარკმლით ნათდება და მხოლოდ მკლავის ღერძებზე მოქცეულ სამლოცველოში თითო კარია დაყოლებული. ისინიც აგრეთვე ცილინდრული კამართაა გადახურული. პატრონიკენის ზედა სართულის ღიადების რიტმი შეთანხმებულია მთავარი სივრცის დანაწევრებას. მხოლოდ სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებში სამ-სამი ღიობია დაყოლებული, რომელთაც განივი მკლავების სამ-სამი სარკმელი ეხმარება, დასავლეთისანი კი ორივე სართულზე თითო ღიადით უკავშირდება „შუა“ ნავს.

პატრონიკენის ქვედა სართულის დასავლეთის მონაკვეთის ის ნაწილი, რომელიც ტაძარში შესასვლელ კართან არის დაკავშირებული, გადაწყვეტილია როგორც ნართექსი. იგი ტაძრის მთელ სიგანეზე გადახურულია ცილინდრული კამართით, რომელიც ეყრდნობა კედლის პილასტრებიდან გადაყვანილ საბრჯენ თალებს. ჯვარ-გუმბათოვანი სივრცის დასავლეთის მკლავს, ნართექსი, როგორც ითქვა, ერთი განიერი თალით ებმის. ეს თავდაპირველი გადაწყვეტა არ უნდა იყოს: საბრჯენ თალებს, რომელნიც დასავლეთის კარის ორივე მხარეს აღმართულ პილასტრებზეა დაყრდნობილი, აღმოსავლეთით საყრდენი აღარ აქვს, აქ პილასტრების ადგილი ახლა ზემოხსენებულ თაღს უჭირავს; ისინი მას ებჯინებიან კიდეც და, არსებითად, კამარასაც ვერ შეამტკიცებენ, მასზე „ჩამოკიდებულან“. ეს აშკარაა ხდის ნართექსიდან ეკლესიაში დღევანდელი შესასვლელის გვიან წარმომავლობას. ბუნებრივია, ამ საბრჯენ თალებს სათანადო საყრდენები უნდა ჰქონოდათ აღმოსავლეთისაკენაც და ნართექსი აღმოსავლეთითაც სამი ღიადით იყო გახსნილი, როგორც ამას ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავებში ვხედავთ. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პატრონიკენის ქვედა სართულის დასავლეთის მონაკვეთიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამლოცველოებივით, თავდაპირველად არ „იღვრებოდა“ სივრცეში და მოფიქრებული იყო ხუროთმოძღვრის მიერ, დამოუკიდებელი, თავის თავში ჩაკეტილი სადგომის სახით. გამოცვლილია პატრონიკენის დასავლეთი, მკლავის გაგრძელებაზე მდებარე მონაკვეთის გადახურვა – კამარა აქ ხითაა გადაყვანილი. სამნუხაროდ, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება ტაძრის ამ მთლიანად შებათქაშებულ ნაწილში ზონდაჟის ჩატარებისა ან ნალესობის მოცილებისა, ამიტომ, გვიძნელდება მის პირვანდელ სახეზე აზრის გადაჭრით გამოთქმა.

ნართექსის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბოლოებში იმგვარივე სადგომებია, როგორც ტაძრის მთავარ სივრცეს აკრავს და ისინიც, აღმოსავლეთის კაპელებივით, ორი სარკმლით არის განათებული. ნართექსის ჩრდილოეთის ნახევარში დღეს მონყობილია პატრონიკენზე ასასვლელი კიბე.

როგორც აღინიშნა, ტაძარი უხვადაა განათებული. ჯვარგუმბათოვან სივრცეში შუქი გარდა კაპელების სარკმლებისა და მათ ასწვრივ პატრონიკენზე გაჭრილი ხვრელობებისა, ეკლესიის შუა სადგომში აფრებსა და შვერილ სალტეზე აღმართული გუმბათის 12 სარკმლიდან და მკლავებში დაყოლებული სარკმლებიდანაც შემოდის. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებში სამ-სამი სარკმელია: ისინი მაღლაა ატანილი და შეკრულ „სამკუთხედისნაირ“ ჯგუფს ქმნის. შუა აფსიდშიც სამი სარკმელია, გვერდის აფსიდებში კი თითო-თითო.

ზონდაჟით გამოირკვა, რომ ტაძრის კედლები (ამჟამად შელესილი და შებათქაშებული), შიგნიდანაც თლილი ქვითაა მოპირკეთებული. შიგა წყობის გამოვლენამ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კითხვაც წამოჭრა. საქმე ისაა, რომ წყობის ხასიათი და ქვების ზომები აქ ფასადების მოპირკეთებისგან განსხვავებულია. ქვები სხვა ფორმატისაა, ზომები უფრო დიდი და მათი მოხაზულობა კვადრატს უახლოვდება, მაშინ როდესაც ფასადზე უფრო მცირე აგურისამებრ ნაგრძელებული კვადრებია მოხმარებული. შიგა წყობის ქვის ზედაპირი უკვე გამოფიტულია

⁹⁷ ტაძრის მკაფიოდ მოხაზული ყველა თაღ-კამარა ნახევარწრიულია თუკი გადახვევა სადმე ამ წრიულობა ფორმიდან, ეს შემდეგი შეკეთებით გამოწვეული დეფორმაციაა.

და სინესტის გამო იშლება, ფასადის მოპირკეთების ქვები კი ახლად გამოიყურება და იმდენად დაუზიანებელია, რომ ზედ ინსტრუმენტის კვალიც კი ეტყობა.

უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს საფასადო სამკაულიც. გუმბათისა და ტაძრის კორპუსის მრავალრიცხოვან, ორ რიგად განლაგებულ სარკმლებს ლილვით მოხაზული სადა საპირე შემოყვება. ამას გარდა, თორმეტნახნაგა გუმბათის ყელზე შემოსალტულია სარკმლების თავზე გადაყვანილი, ერთმანეთთან გადაბმული თავსართავები. გადაბმული თავსართებით აღმოსავლეთის ფასადიც არის მორთული. აქ პროფილირებული ზოლი საკურთხევლის, გვერდის აფსიდებისა და გვერდის კაპელების სარკმლებს აერთიანებს და ფასადის კუთხეებთან წყდება.

სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარები სწორკუთხა საპირთაა მოჩარჩოებული. ის მხოლოდ საკუთრივ ღიობს შემოუყვება და არ ადგება ლიუნეტს მის თავზე, რომელსაც სამსავე მხარეს სწორკუთხა „მკლავები“ აქვს „გაშვერილი“, რაც მთლიანობაში საპირეს ჯვრისებურობას ანიჭებს. ზედა განაშვერში ბუნზე შემდგარი ჯვარია გამოქანდაკებული. დასავლეთის კარი ღიობის თავზე მაღლა ასული თაღოვანი ჩარჩოთია შემკული, რომელიც კვეთილი ფოთლოვანი ორნამენტითაა შევსებული. ჩარჩო კიდევ კორინთული სვეტებითაა ფლანკირებული, მათზე გადამავალი პროფილირებული თალითურთ; უკანასკნელის ქუსლები დოქისებრია გამოყვანილი, ერთ-ერთი სარტყლის ქვედა ბოლოები კი სპირალად იგრანება. ზედა განაპირა თაღის წვეროზე განედლებული ჯვარია გამოკვეთილი, ქვემოთკენ კი, რკალის ჩამოყოფებით, ორი პალმეტია სიმეტრიულად გამოსახული. ტიმპანზე სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული თაღოვანი არეა ჩასმული (წარწერისათვის?).

ლიტერატურული მონაცემები მოქვის ტაძრის შესახებ და მისი დღევანდელი მდგომარეობა

მოქვის ძეგლისადმი მეცნიერული ინტერესი მარი ბროსეს პუბლიკაციამ აღძრა. მან ტაძარი 1848 წელს მოინახულა, მაშინ როდესაც უპატრონოდ მიტოვებული შენობა მცენარეულობით იყო დაბურული. მარი ბროსემ, აღტაცებულმა ტაძრის გრანდიოზულობით, დაგვიტოვა მეტად საგულისხმო ცნობები ძეგლის მაშინდელი მდგომარეობის შესახებ და, ამის გარდა ცალკე ალბომში მოათავსა არქიტექტორ მუსლოვის მიერ შესრულებული ანაზომები. ვინაიდან ბროსეს აღწერა დღეისათვის ერთადერთი ასახვაა ძეგლისა მის. შარვაშიძისეულ აღდგენამდე, რომლის დროსაც მან ფრიად მნიშვნელოვანი დეტალები და ფორმები დაკარგა, ამიტომ მოგვყავს მისი ტექსტი დ. ბაქრაძის რუსული თარგმნის მიხედვით.⁹⁸ „ეკლესიის კორპუსის ვრცელი ზომები, მასზე შემოხვეული ბადე ხვიარა მცენარეებისა, მისი საჰაერო ბაღად ქცეული სახურავი, მისი მშვენიერი გუმბათი, ხეების მაღალი ღეროებით კიდევ დაგრძელებული – ეს ყოველივე მნახველის გაკვირვებას აღძრავს. შიგნით ისრისებრ მავალი, ჩინებულად თლილი ქვის ბოძები, 5 ნავი, შემადლება, ერთიანად თეთრი, ულაქო მარმალლოთი მოგებული; ფერადი მინის ნამსხვრევები; ნაშთები კოზმიდებისა შესანიშნავი კვეთილობით მონმოზაა. მშვენიერი გალერეა მთავარ ნავს გუმბათის ბოძებამდე ერტყმის; აგური მთელ შენობაში მხოლოდ ბოძებს შორის კამარებშია ნახმარი. სამწუხაროდ, კარიბჭე ჩამოქცეულია, სარკმლების მინები ჩაღწეულია, შემადლება ნახვარი ფუტის სიმაღლეზე ნაგვითაა დაფარული; სამწუხაროდ, წარწერები არსად შეინიშნება.“⁹⁹

ნახაზებიდან ზემოხსენებულ ალბომში გეგმა და ჩრდილოეთისკენ განაკვეთია გამოქვეყნებული. არქიტექტორი მუსლოვი ეცადა ძეგლი არქეოლოგიური სიზუსტით გადმოეცა. იგი საკმაოდ სწორად გადმოგვცემს შენობის კომპოზიციას (გარდა მ. ბროსეს აღწერილი შენობის ძირითადი სტრუქტურისა მას დაფიქსირებული აქვს ეკლესიის სამივე კარის წინ მიდგმული ღია კარიბჭეები) და, ამავე დროს, აჩვენებს მის მდგომარეობასაც: მას ნახაზზე გადმოაქვს დასავლეთისა და სამხრეთის კარიბჭეების თუ გუმბათის დაზიანება, დატანილი აქვს კედლებსა და გადახურვებზე ამოსული მცენარეები. არის შეცდომებიც: აღმოსავლეთის კედლის გარე მოხაზულობა არ ემთხვევა რეალურ, ყოველ შემთხვევაში დღევანდელ ვითარებას: შუანა აფსიდი გარედან ნაცვლად ხუთნახნაგისა მრგვალად არის შემოხაზული, გვერდისები კი ნახნაგოვნად;

⁹⁸ M. Brosset, Atlas du voyage archeologique dans la Transcaucasie, St. Pb., 1850 ტაბ. XXXV

⁹⁹ Д. Бакрадзе Кавказ в древних..., с. 103;

აფსიდურადაა ნაჩვენები გარშემოსავლელის ბოლოები.

1856 წელს ე.ი. აგრეთვე შარვაშიძის მიერ შეკეთებამდე, მოქვის ტაძარი აზომა კიდევ ერთმა პროფესიონალმა არქიტექტორმა – ნორევმა.¹⁰⁰ ნორევის ძეგლის ანაზომიც, მუსლოვის შესრულებულის მსგავსად, ძირითადად არქიტექტურულ-კომპოზიციურ მონაცემებს საკმაოდ სწორად ასახავს, მაგრამ წვრილმანებში შორსაა დოკუმენტური სიზუსტისაგან. იგი ეცადა, საკუთარი წარმოდგენების მიხედვით გეგმასა და ფასადებზე დაზიანებული ნაწილების აღდგენას. ასე მაგალითად, კარიბჭეები, რომლებიც მ. ბროსეს აქ ყოფნის დროს უკვე დაზიანებული იყო (ამასვე ადასტურებს მუსლოვის ნახაზიც) ნორევთან რეკონსტრუირებულია, როგორც დახურული სადგომები, რუსული საეკლესიო ხუროთმოძღვრების რიგზე, ეს კი, რასაკვირველია, არ არის მართებული. ასევე, გადმოგვცემს რა დასავლეთის ფასადს, რომლის გადახურვა მაშინ მცენარებით იყო დაფარული და კარგად არ იკითხებოდა, იგი არ გამოჰყოფს ცალ-ცალკე დასავლეთის მკლავის, გვერდის „ნავეებისა“ და პატრონიკენის სახურავების ქანობებს და მათ საერთო გადახურვაში აქცევს. ე.ი მან ვერ შენიშნა გადახურვის ყველა საფეხური და ის ნებისმიერად გამოსახა. არც ნორევთან არის სიზუსტით დატანილი საკურთხევლის გარე მოხაზულობა – მას იგი სამ ნახევარწრიულ აფსიდად აქვს გამოხაზული. საკმაოდ პირობითია ნორევის მიერ ჩახატული „არაბესკები“, ე.ი. ტაძრის ჩუქურთმოვანი დეკორის ნიმუშები, რომლებიც მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ტაძრის ძველ სამკაულზე. მიუხედავად ყველა ამ ნაკლისა, ნორევის ანაზომსაც მეცნიერებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იმდენად, რამდენადაც იგი გვიჩვენებს ტაძრის შეკეთების მსვლელობაში დაკარგულ ზოგიერთ დეტალს.

დ. ბაქრაძემ მოქვის ტაძარი ორჯერ დაათვალიერეს (1859წ. და 1865წ.). მის ორ მოგზაურობას შორის ძეგლმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა. პირველად როგორც აღნიშნავს დ. ბაქრაძე, მან იგი ისეთსავე მდგომარეობაში ნახა, როგორც მ.ბროსეს აქვს აღწერილი, სამაგიეროდ, მეორედ ჩასვლისას, წერს იგი: „... 1859 წელს თითქმის რომ გაუვალი ბილიკი შარავზად გადაქცეული დამხვდა, მოქვის ტაძრის გალავანი კაზაკების სადარაჯოთია დაკავებული, თავად ტაძარი მიხეილ შარვაშიძის განახლებული, თუმცა კი პირვანდელი ტაძრის სილამაზესა და სიდიადეს მოკლებული. ის სამრევლო ეკლესიად და მთავრის განსასვენებლად იქნა გადაქცეული.“¹⁰¹ დ. ბაქრაძის ამ მეტად ძუნწ ცნობაში არსებითად გადმოცემულია ის შთაბეჭდილება, რაც მოუხდენია მასზე ტაძრის განახლებას. მოქვის არქიტექტურას, მისი თქმით, დაუკარგავს მიმზიდველობა, მას მოაკლდა რიგი იმ თვისებებისა, რომელთაც ჯერ კიდევ მ.ბროსე განუცვიფრებია.

1888 წელს მოქვის ტაძარი ადგილზე შეისწავლა და ახლად აზომა კიდევ ერთმა პროფესიონალმა ხუროთმოძღვარმა, არქიტექტურის აკადემიკოსმა ა.პავლინოვმა. მან მოგვიანებით გამოაქვეყნა თავისი აღწერა, ლიტერატურიდან ამოკრეფილი სხვათა ცნობებითურთ და გრაფიკული მასალა „კავკასიის არქეოლოგიის მასალები“ III ტომში.¹⁰²

პავლინოვის აღწერიდან და მოყვანილი ანაზომებიდანა და ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ მოქვის ეკლესიას დღეს ის სახე აქვს შემონახული, რომელიც მას უკვე 1888 წელს ჰქონია. პავლინოვის გეგმაზე აღარ ჩანს ის სამი კარიბჭე, რომელიც დაფიქსირებულია მუსლოვისა და ნორევის მიერ. პავლინოვი ტექსტში აღნიშნავს კიდევ, რომ მას არ დახვდა მ. ბროსესა და ფერგუსონის გამოცემულ გეგმაზე დამონშებული კარიბჭეები, ისევე, როგორც აღარსად იყო მ. ბროსესა და დ. ბაქრაძის მიერ შენიშნული ოსტატურად მოჩუქურთმებული კარნიზები. ა. პავლინოვი აღდგენის დროს შექმნილ უაზრო დანამატებსაც აღნიშნავს. მის ნახაზზე ძველი კარიბჭეების მაგივრად დასავლეთის კართან მიდგმული ოთხ სვეტზე დადგმული ჩარდახია ნაჩვენები, რომელიც დასავლეთის კედელს ნახევარსვეტებით უკავშირდება და რომლის თავზე ოთხ სვეტზე შემდგარი ფანჯატური დგას, ე.ი. ისევე, როგორც ამჟამად. ა. პავლინოვმა სამართლიანად შეიტა-

¹⁰⁰ ეს ანაზომი (გეგმა, სიგანეზე განაკვეთი, დასავლეთის ფასადი და „არაბესკების“ ნიმუშები) ინახება ს.პეტერბურგის (ლენინგრადის) სამხატვრო აკადემიის მუზეუმში. შესრულების თარიღად აქ 1856 წ-ია მითითებული, თუმცა ნ.კონდაკოვი, რომელსაც ეს ნახაზები გამოქვეყნებული აქვს (И. Толстой, Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства, IV, СПб, 1891, გვ. 113–114, სურ. 44–45) თარიღად 1847-1848 წწ-ს ასახელებს. როგორც ჩანს, მას ნორევისა და მუსლოვის მოგზაურობის დრო არევი.

¹⁰¹ Д. Бакрадзе, Кавказ в древних..., с. 103.

¹⁰² МАК, III, М., 1893, გვ. 14–16, ტაბ. II–V (გეგმა, განაკვეთი, აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის ფასადები).

ნა ექვი დასავლეთის კარიბჭის ასეთი გაფორმების ჯეროვანებაში და აღნიშნა, რომ ეს სამკაული ახალიცაა, ტლანქიც და არც ისტორიულად და მხატვრულად ღირსშესანიშნავი. სათუოდ მიაჩნია მას გუმბათის თავზე შედგმული ფანჩატურიც. მკვლევარი სინანულს გამოთქვამს ტაძრის თავდაპირველი სახის დამახინჯების გამო და დ. ბაქრაძეზე უფრო კატეგორიულად ეჭვის ქვეშ აყენებს შარვაშიძის მიერ ჩატარებული რესტავრაციის სისწორეს.

ამგვარად, XIX საუკუნის მკვლევარნი ადასტურებენ მოქვის ტაძრის მხატვრულ-სტილისტური სახის ცვლილებას XIX საუკუნის შუა ხანაში. მათი ცნობები კარგად ესადაგება იმ უცნაურ შთაბეჭდილებას, რასაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძეგლი პირველი ნახვისავე თანამედროვე მნახველზე სტოვებს. უყურადღებოდ ვერც იმას დავტოვებთ, რომ ფასადების დეკორატიული სამკაულიც არა და არ უჭერს მხარს მოპირკეთების X საუკუნეში შესრულებას. კარ-სარკმელთა მოჩარჩოება, კარნიზის მშრალი პროფილები X საუკუნის არც ქართულ ხუროთმოძღვრებას შეესაბამება და არც ბიზანტიურს. ყოველივე ეს აშკარად XIX საუკუნის კვალს ატარებს.¹⁰³ ამავე დროს, მთელი შენობა გუმბათის ყელით დამთავრებული, ერთნაირადაა მოპირკეთებული და ამ პერანგთან მჭიდროდ არის გადაბმული არა მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადის დეკორი (პროფილირებული თავსართავი), არამედ დასავლეთის ფასადზე კარის მოჩარჩოება დეკორატიული ტიპპანით და თვით მრგვალ სვეტებზე მდგომი ჩარდახის პილასტრებიც კი.

ასეთმა ვითარებამ შექმნა ტაძრის შურფებით გასინჯვის აუცილებლობა, რაც ძეგლის აზომვისთანავე¹⁰⁴ განხორციელდა. რამდენიმე ადგილას – დაბლა – კარის წირთხლებში და მაღლა – პატრონიკენის სარკმლებში ნალესობა ავხადეთ. ამ ღონისძიებამ გამოარკვია, რომ სარკმლის წირთხლები არაა გადაბმული ხვრელების კედლებთან, არამედ მათ შორის ნაკერია. ე.ი. ისინი გარედან „მიდებულია“. ამის შემდეგ დავათვალიერეთ ყველა სარკმლის ხვრელები და გამოჩნდა, რომ ყველა სარკმლის წირთხლი 14 სანტიმეტრის სისქისაა და გადაბმულია საპირე წყობასთან, ხოლო სარკმლის ხვრელთან იგი არ არის გადაბმული, ამის გამო მათი შეხების ადგილას ნალესობა ყველგან გაბზარულია ან ნაპრალით მოშორებული. იგივე შედეგი გამოიღო არქიტექტორ ლ. ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით 1956 წელს ჩატარებულმა დულაბის გასინჯვამაც. გამოიკვია, რომ შიგა წყობისა და კედლის გულის პირვანდელი დულაბი მსხვილმარცვლოვან სილას შეიცავს და გადაჰკრავს მოყვითალო – მონაცრისფრო ფერი, ახალი დულაბის კი მოთეთრო-მონაცრისფროა და შეიცავს წმინდა სილის ნარევეს კირთან.¹⁰⁵ შიგა წყობასა და გარეთა პერანგს შორის მიკვლეული იქნა მცენარეთა ფესვები და გამხმარი სურო, რაც წარმოდგენას გვიქმნის ძეგლის დიდი ხნის მძიმე მდგომარეობაზეცა და კიდევ ერთხელ ამოწმებს მის ხელახალ შემოსვას.¹⁰⁶ დადგინდა აგრეთვე, რომ დასავლეთის მკლავის კამარა ხით არის აღდგენილი და ამალღებულია ქანობების ერთი ნაწილი (მაგ., აფრებისა და სამხრეთის ნავის გადახურვათა), ამას გარდა, გამოჩნდა ძველი ცოკოლი და შეფერადებული, მოხატულობის კვალით აღბეჭდილი თავდაპირველი შიგა ნალესობის ნაშთები.¹⁰⁷

იმავე 1956 წელს ჩვენ ნიადაგის მცირე განმენდით მივაგენით დასავლეთის პირვანდელი კარიბჭის საძირკველს პილასტრის ნაშთებითურთ და თვით ტაძრის დასავლეთის კედლის ძველ ცოკოლს. ცოკოლის ქვედა დონე ემთხვევა კარიბჭისას და ზემოდან მას ადგია ახალი პერანგის წყობა. ძველი კარიბჭე თანამედროვე მრგვალსვეტა ჩარდახზე საკმაოდ დიდია და მასთან რაიმე კავშირი არ გააჩნია. იგი ემსგავსება მ. ბროსეს მიერ ნანახსა და არქიტექტორ მუსლოვის აზომილსა და გეგმაზე აღნიშნულ კარიბჭეს. ასეთივე კარიბჭის ნაშთი გამოჩნდა ჩრდილოეთის კართანაც.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მოქვის ტაძრის დღევან-

¹⁰³ დასავლეთ საქართველოს მრავალ ძეგლზე გარკვევით შეიმჩნევა XIX საუკუნის მეორე ნახვერის სამშენებლო არტელების მოღვაწეობა, რომლის ხელწერაში არ ჩანს ქართული სკოლის ტრადიციები. ყველაზე ცნობილი, მაგალითი კაცხის ტაძრის მოპირკეთებაა (იხ. ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, არსჩეორგიცა, 3, თბ, 1950).

¹⁰⁴ პირველად ტაძარი გამოვიკვლიეთ და გავზომეთ 1948 წლის 21 ივლის – 2 აგვისტოს, მეორედ 1952 წ. ივლისის თვეში, მესამედ 1956 წ. 17-18 ივლისში.

¹⁰⁵ ლ. ხიმშიაშვილი, მოქვის ტაძარზე ჩატარებული გასამაგრებელი და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ანგარიში, (იხ. სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს არქივი) გვ. 12.

¹⁰⁶ იქვე, გვ:9

¹⁰⁷ იქვე, გვ:6-7; 10-12; (1980-წ წლებში ფერწერის რესტავრატორებმა პალეოლოგოსთა ხანის მოხატულობის ფრაგმენტებსაც მიაკვლიეს. რედ.).

დელ გარე სახეს ძლიერად ატყვია XIX საუკუნის შეკეთება – აღდგენის კვალი. მ. შარვაშიძის „რესტავრაციამ“ მოსპო ეკლესიის ფასადების დეკორატიული სამკაული და პერანგი, გაანადგურა სამივე კარიბჭეც. ამრიგად, მოქვის ტაძრის პერანგი მთლიანად ახალია, კარნიზების ჩათვლით. ლ. ხიმშიაშვილის დაკვირვებით, მთლიანად ახალია ტაძრის გუმბათიც.¹⁰⁸ მეორე მხრივ კი, ახლანდელი გუმბათი პროპორციებითა თუ სარკმლების რაოდენობით, ძალიან ჰგავს მუსლოვისა და ნორვეის ნახაზებზე დაფიქსირებულს. ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი შეცვლილიც თუ არის, პირველისაგან დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს. ტაძრის შიგნით, ამასთანავე, 1860-იან წლებში გამოცვალეს დასავლეთის მკლავისა და პატრონიკეს შესაბამისი გადახურვა და ააგეს მეორე სართულზე ასასვლელი კიბეც.

ამას გარდა, 1948 წელს ტაძრის კვლევის დროს გამოირკვა, რომ მეორე სართულის თაღები ზოგან აგურით ყოფილა შეკეთებული. პატრონიკენის ხუთი საბჯენი თაღის შემონახვამ დაადგინა, რომ ისინი ოდესღაც აგურით დაუკერებიათ – ზოგან თაღის ქუსლის ნყოფა პირველი რიგი ქვისაა და შემდგომ მისი მოხაზულობა აგურით აღუდგენიათ, ზოგან კი მთლიანად აგურისაა, (აგურის ზომა 25x19x4). ჩანს, რომ აგური მეორადია. რაკი თაღებში აგურს მ.ბროსეც ახსენებს, ეს შეკეთება წინ უნდა უსწრებდეს მ.შარვაშიძისას. საფიქრებელია, ტაძარი შუა საუკუნეებშიც, უფრო კი გვიან ფეოდალურ ხანაში ერთხელ უკვე აღედგინათ.

ამრიგად, მოქვის ტაძრის პირვანდელი ფორმების ნაწილი უკვალოდ არის დაკარგული, მისი გარეთა სახის მხოლოდ ზოგიერთ დეტალს აზუსტებს ძველი ანაზომები. მაგრამ მისი შიგა სივრცე და ძირითადი მასები უცვლელი დარჩა და საშუალებას გვაძლევს ეკლესიის აღმშენებელი ხუროთმოძღვრის მხატვრულ ჩანაფიქრზე მსჯელობისა.

მოქვის ტაძრის ხუროთმოძღვრების რაობა და მისი ისტორიული ადგილი

მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის 40-იან წლებში მარი ბროსემ, მოქვის გრანდიოზულობით აღტაცებულმა, თავის „რაპორტებში“ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა დაბეჭდა, მოქვის არქიტექტურა მეცნიერთა ყურადღების ორბიტაში მოექცა. განსაკუთრებით მიიპყრო შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების მკვლევართა ყურადღება მოქვის ძეგლის კომპოზიციურმა თავისებურებებამ. თითქმის ყველა, ვინც კი ბიზანტიის, რუსეთის, საქართველოს, სომხეთის და საერთოდ ე.წ. აღმოსავლეთქრისტიანული ხუროთმოძღვრების გენეზისსა თუ საკუთრივ ტიპოლოგიურ საკითხებს სწავლობს, ინტერესდება მოქვით, მას განხილვის გარეშე არ ტოვებს. მეცნიერული გააზრების მთავარ მსჯელობის ფოკუსსკი მოხვედრილ პრობლემად აღმოსავლეთქრისტიანულ ქვეყნებში გავრცელებული ე.წ. „ჩანერილი ჯვრის“ თემის სტერეოტიპულ ნიმუშებთან მოქვის გეგმის „არატიპიური“ მიმართება გახდა.

მოქვი სამეცნიერო ლიტერატურაში შევიდა, როგორც „ჩანერილი ჯვრის“ ტიპის გუმბათური ტაძრის გართულებული „ხუთნავიანი“ ვარიანტი.¹⁰⁹ ასეთად მიჩნეულია კიევისა და ნოვგოროდის სოფიოს ტაძრები (ორივე XI საუკუნის). კონსტანტინეპოლში ასეთი ტიპი, როგორც პროფესორი ბრუნოვი აღნიშნავს, გაბატონებულია შუა ბიზანტიურ პერიოდში და სუფთა სახით მხოლოდ XI-XII საუკუნეებში გვხვდება.¹¹⁰

მოქვის ტიპოლოგიური თავისებურებების დადგენისათვის საფუძველი ნორვეის გეგმამ შექმნა და მასთან დაკავშირებით გამოთქმულმა მოსაზრებებმა, რომელნიც დაიბეჭდა ნ.კონდაკოვისა და ი.ტოლსტოის „რუსული სიძველეების“ IV ტომში. საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, ნ.კონდაკოვისა და ი.ტოლსტოის ძეგლი ადგილზე არ შეესწავლათ, მასზე საკუთარი შთაბეჭდილება

¹⁰⁸ იქვე, გვ:10

¹⁰⁹ იხ. მაგ., И. Толстой, Н. Кондаков, Русские древности..., გვ. 56; J. Strzygowski, Die Quments d'architecture byzantine, Paris, 1934, gv. 62, 271; N. Brunov, Die fiinfschiffige Kreuzkuppelkirche in der byzantinischen Baukunst. Byzantinische Zeitschrift, XXVII, 1927, გვ. 75-78; N. Brunov, L'église a croix inscrite a cinq nefes dans l'architecture byzantine. Echo d'Orient, Paris, 1927,; Н. Брунов, О некоторых связях русской архитектуры с зодчеством южных славян. Архитектурное наследство, 2, 1952, გვ. 23; მისივე, К вопросу о средневизантийской архитектуре Константинополя. Византийский Временник, XXVIII, 1968, გვ. 173; В Иванова, Двете церкви при чутката на източната стена на вътрешния град в Преслав. Известия на Археологическия Институт, XX, 1955, София; E. Neubauer, Altgeorgische Baukunst, Leipzig 1976, გვ. 96; ასევე: Н. Чанева-Дечевска, Църкви и манастири от Велики Преслав, София, 1980, гв. 26.

¹¹⁰ იხ. წინა სქოლიოში დამონებული ნაშრომები.

არ ჰქონიათ და ჩვენთვის საგულისხმო საკითხში მთლიანად ეყრდნობოდენ ბროსეს აღწერას. მაგრამ ჰქონდათ რა ხელთ ზემოაღნიშნული გრაფიკული გამოსახულება ტაძრის გეგმისა, მათ მიეცათ საშუალება კომპოზიციურ მონახაზში „ამოეკითხათ“ მისი „ხუთნავიანობა“ და ამ ნიშნით შეედარებინათ ძველი კიევის სოფის ცნობილი ტაძრისათვის. ისინი წერდნენ მოქვის შესახებ: „გეგმა მისი იმითაა ღირშესანიშნავი, რომ ხუთი ხომალდისგან (ნავისგან) შედგება (როგორც გეგმა კიევის სოფის ტაძრისა), რაც ქართულ არქიტექტურაში იშვიათად გვხვდება“.¹¹¹ ეს გაკვრით მინიშნებული არაზუსტი მსგავსება ერთგუმბათოვანი მოქვის ტაძრის გეგმისა ცხრაგუმბათიან კიევის სოფის ტაძრის ორგანიზმთან შემდგომ ავტორთა გამოკვლევებში სტერეოტიპად გადადის, ხოლო ნ.კონდაკოვის მიერ მოხმარებული არაზუსტი ცნება „ხუთნავიანობისა“, რომელიც მაგიდასთანაა დაბადებული და არა ძეგლთან ცოცხალ ურთიერთობაში შემუშავებული, შეტანილ იქნა შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ტიპოლოგიურ შკალაში, როგორც ერთ-ერთი თავისთავადი, ცალკე არსებული ტიპოლოგიური ფენომენი. ამან კი ბიზანტიური არქიტექტურის ისტორიკოსთა შორის წამოჭრა პრობლემა და ცხოველი პაექრობაც გამოიწვია „ხუთნავიანი ჯვარგუმბათოვანი“ ტიპის გენეზისის შესახებ. ამ კამათში იმასაც ცდილობდნენ, რაც მთავარია, რომ მიეგნოთ იმ გზისათვის, რომელსაც უნდა მიეყვანა ეს კომპოზიციურ ფენომენი კონსტანტინეპოლიდან კიევსა და მოქვეში.

ამ დავის შედეგად დაზუსტდა მხოლოდ ფორმულირება „ხუთნავიანობის“ ცნებისა, ხოლო მისი გენეზისი სრულიად გაურკვეველი დარჩა, თუმცა საბოლოოდ მაინც ამის თაობაზე ორი ძირითადი აზრი შემუშავდა. ი. სტრიგოვსკის მიხედვით, იგი „ჩანერლი ჯვრის“ სივრცესთან მასზე შემოვლებული გარშემოსავლების შერწყმის შედეგად გაჩნდა, ნ.ბრუნოვი კი ფიქრობს, რომ იგი – ისივე, როგორც „ჩანერლი ჯვრის“ კომპოზიციური სტრუქტურა საზოგადოდ – მარტივი ჯვრული სივრცის გუმბათქვეშა ბურჯების დაშლით წარმოიქმნა, ოღონდ მარტივი „სამნავიანი“ „ჩანერლი ჯვრისგან“ განსხვავებით, აქ ჯვრის მკლავებსა და გარე კედლებს შორის ნაგები ჩნდება.¹¹² რაც მთავარია, ორსავე შემთხვევაში „ხუთნავიანი“ ჯვარგუმბათოვანი ეკლესია „ჩანერლი ჯვრის“ გართულებულ ვარიანტად არის აღიარებული.

„ჩანერლი ჯვრის“ არქიტექტურული ტიპის გენეზისზე აგერ უკვე სამმეთხედ საუკუნეზე მეტია, რაც მსჯელობენ ბიზანტიის არქიტექტურის ისტორიკოსები და თანხმობა ამ საკითხის ირგვლივ ჯერ არაა მიღწეული. მეცნიერები ძირითადად მისი „სამშობლოს“ ძიებით არიან დაინტერესებულნი და დროთა განმავლობაში „გამოკრისტალდა“ კიდევ რამდენიმე კონცეფცია, თუმცა კი თვით პრობლემა ტიპის განვითარებისა გადაუჭრელი დარჩა. მაგალითად: ო.ვულფი მას ბიზანტიურ მოვლენად თვლის, მ.ბიულმანი – რომაულ წარმოშობას მიაწერს მას, ს. გუიერი ელინისტურს, ხოლო ი.სტრიგოვსკი ამ ტიპის დედა – სამშობლოდ სომხეთს ასახელებს, თუმცა გუმბათური სივრცის ფუძეს ირანში პოულობს.¹¹³ დასმული საკითხის ასეთი გაურკვეველობა ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას. ერთი მხრივ, ეს არის ფაქტების სიმწირე და მათ შორის დიდი ქრონოლოგიური ხარვეზები და, მეორე მხრივ კი, თავად საკითხის დაყენების პრინციპი და მისი დამუშავების მეთოდი.

ბიზანტიასა და კერძოდ კი კონსტანტინეპოლში შენობის ეს ტიპი ყველა მეცნიერის აზრით, IX-X საუკუნეებში ჩნდება და განსაკუთრებულ გავრცელებას XI-XII საუკუნეებში ჰპოვებს. წინა საუკუნეებიდან კონსტანტინეპოლში არც ერთი ძეგლი არ იძებნება, რომელიც შეიძლებოდა ამ ტიპთან დაგვეკავშირებინა. ცალკეულ განსხვავებულ მაგალითებს კი პოულობენ ბიზანტიის იმპერიის დაშორებულ პროვინციებში და მათ იშველიებენ ხოლმე, როგორც „ჩანერლი ჯვრის“ კომპოზიციის პროტოტიპებს და მოგვიანო კონსტანტინეპოლურ ნიმუშებსაც მათ უკავშირებენ. ამგვარად, ფაქტების მცირერიცხოვნება და მათი არასიმწყობრე თავის თავად არ იძლევა ევოლოციური ჯაჭვის ასხმის საშუალებას, თუნდაც მხედველობაში არ მივიღოთ ის გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტურიდან ამოგლეჯილი ძეგლებით ვერ დაიხატება ერთი რომელიმე ქვეყნის არქიტექტურული პროცესის მიმდინარეობის რეალური სურათი.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამა თუ იმ თეორიის შესამტკიცებლად მოყვანილი არქიტე-

¹¹¹ И. Толстой Н. Кондаков, *iqve*.

¹¹² იხ. წინა სქოლიოში დამოწმებული ნ.ბრუნოვის ნაშრომები.

¹¹³ იხ. ამ თეორიების მიმოხილვა გ. ჩუბინაშვილის წიგნში «Цроми», (М., 1969, გვ. 80–84). სინათლე ამ საკითხს ვერც შემდგომმა კვლევამ მოჰფინა.

ქტურული ობიექტები, ე.ი. ის ფაქტები, რომელთა საშუალებით ევოლუციის სურათის დადგენა სურთ, საკვირველად სქემატურად და განყენებულად განიხილება. შედარებისას მხოლოდ გეგმაზე ნაგებობის ორგანოზომილებიან პროექციას იხილავენ. მესამე განზომილება კი – სივრცე, მასები, დეკორი – მხედველობის არის გარეთ რჩება, სტილისტური მხარე კი, რომელსაც შეიძლება სწორედ აეხსნა კულტურათა კონტაქტები, დრო, ეპოქა თითქმის სრულად უგულვებელყოფილია. საკითხისადმი ასეთ მიდგომასა და კვლევის ასეთ წარმართვაში უკვე ჩანს პოზიციის სისუსტე და აქედან გამომდინარე ნებისმიერობა დასკვნებისა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით პროფესორ ნ.ბრუნოვის შეხედულებაა საგულისხმო, იმდენად რამდენადაც იგი საგანგებოდ, სწორედ „ხუთნავიანი“ გუმბათური შენობებით იყო დაინტერესებული. მისი კვლევის ძირითადი მიზანია დაამტკიცოს, რომ ეს თემა და ჩანერილი ჯვრის ტიპი საზოგადოდ – ჩაისახა და განვითარდა კონსტანტინოპოლში და აქედან გადავიდა სხვა ქვეყნებში. ამ თეზის რეალიზაციისათვის მისთვის არაა დაბრკოლება ის ფაქტი, რომ ადრეულ ხანაში კონსტანტინოპოლის არქიტექტორები არ დაინტერესებულან ასეთი ტაძრების მშენებლობით და არც ის, რომ მრავალი ადრეული მაგალითი მოიპოვება სწორედ კონსტანტინოპოლის გარეთ, კერძოდ კი საქართველოსა და სომხეთში, სადაც „ჩანერილი ჯვრის“ ტიპის იდეა უკვე VII საუკუნეში გახდა ცნობილი.

ამ წინააღმდეგობას იგი ადვილად სძლევს. იმისათვის, რომ არ დაირღვეს სიმწყობრე მის მიერ შემუშავებული „გავლენების“ თეორიისა, „ხელის შემშლელი“ ძეგლები მას განხილვიდან გამოყავს, ხოლო ზოგი ძეგლის თარიღს თავისი ნება-სურვილით ცვლის. ასე მაგალითად, სომხეთსა და საქართველოში არსებული „ჩანერილი ჯვრის“ ტიპის ადრეული მაგალითები მის გამოკვლევაში არ იხსენიება, ხოლო მოქვის ტაძრის აგების თარიღად იგი ჯერ XII საუკუნეს ვარაუდობდა, შემდეგ კი XI საუკუნის დასასრულს დასჯერდა.

ნ.ბრუნოვის მეცნიერული ინტერესი მოქვისადმი კიევის რუსეთის არქიტექტურისათვის გენეტიკური კავშირების დადგენის სურვილით არის აღძრული. იგი თვლის, რომ „თავად ხუთნავიანი ჯვარ-გუმბათოვანი ტიპი კიევმა კონსტანტინოპოლიდან მოისესხა“, იმასაც აღნიშნავს, „თვალსაჩინო განვითარება ამ ტიპმა სწორედ კიევის სახელმწიფოში ჰპოვა და არა კონსტანტინოპოლში“-ო. მოქვის შესახებ იგი ერთადერთი ფრაზით შემოიფარგლება: „მოქვის (აფხაზეთი) ხუთნავიანი ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარში, რომელიც XI საუკუნეს (სიც!) მიეკუთვნება, შიგა გარშემოსავლელი ნაკლებადაა განვითარებული და ამით არსობრივად განსხვავდება კიევის სახელმწიფოს არქიტექტურის ძლიერ განვითარებული გარშემოსავლელისაგან“.¹¹⁴ ამასთან ერთად, ნ.ბრუნოვს კონსტანტინოპოლისა და რუსეთის ძეგლების აღნაგობაში განსხვავებული მოვლენების ძალზე მრავლისმთქმელ ურთიერთ-შედარებას ნახავთ. თუ კიევის სოფიის ტაძარში განაპირა, მეოთხე და მეხუთე ნაგები ორგანულ მთლიანობაშია შიგა სივრცესთან, კონსტანტინოპოლში „გვერდითი ნაგები ყოველთვის ცენტრალური ნაწილის მინამატების ხასიათს ატარებს“-ო!¹¹⁵ ჩვენი აზრით, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მთავარ ფაქტორთაგანი ტიპოლოგიის დადგენაში, რადგან თუ კი გვერდითა ნაგები მხოლოდ დანამატებია, ცენტრალური სტრუქტურულიდან გამოთიშული დამოუკიდებელი ელემენტები, ასეთი კომპოზიციის მიკუთვნება „ხუთნავიანი“ ტაძრის სქემისადმი გაუგებარს ხდის თვით ხუთნავიანობის ცნებას. ასეთი „მინამატები“ ტაძრის გარშემოსავლელი ან გალერეებია და სულაც არა მისი განაპირა ნაგები. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ ბრუნოვის მიერ მოყვანილ კონსტანტინოპოლურ მაგალითთაგან მეოთხე და მეხუთე ნავი ერთსაც არ აქვს რეალურად შერჩენილი და ისინი მხოლოდ ნ.ბრუნოვის რეკონსტრუქციებში არის აღდგენილი ქალაქზე, მაშინ ცხადი ხდება, რომ მისი თეორია „ხუთნავიანი“ ტიპის ჩასახვისა და ევოლუციისა არასაიმედო საფუძველზეა ამოყვანილი. მკითხველს იმის გაგებაც გაუჭირდება, თავად ნ.ბრუნოვი რას მიიჩნევს „ხუთნავიანი ტაძრად“ – იმდენია მის ნაშრომში დაუსაბუთებელი დებულება და გაურკვეველობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნ.ბრუნოვი ცალკეული ძეგლის დახასიათებისას მრავალ მახვილ დაკვირვებას გვთავაზობს, თანაც კი ხედავს კონკრეტულ განსხვავებებს ერთი ძეგლის მონაცემებისას მეორისგან. სხვათა შორის იგი მოქვის ძეგლის თავისებურებასაც ხომ მიუთითებს კიევის ტაძრის არქიტექტურასთან მიმართებით და მისთვისაც მოქვის „ხუთნავიანობა“ სპეციფიკური,

¹¹⁴ Н. Брунов, О некоторых..., გვ. 22–23

¹¹⁵ იქვე, გვ. 22.

სხვათაგან განსხვავებული რამ არის. მაგრამ მას იმდენად თრგუნავს ო. ვულფის მიერ დამუშავებული და სხვა მკვლევართაგან მხარდაჭერილი ფორმულა ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ტიპების ევოლუციური განვითარებისა, რომ იგი ველარ ახერხებს ამ მოვლენის სწორად ახსნას.

სწორედ ამნაირ კონტექსტში განიხილებოდა უფრო ხშირად მოქვის ტაძარი. მეცნიერებს მისი მხოლოდ და მხოლოდ გეგმა აინტერესებდათ და არა არქიტექტურა და თვით გეგმასაც განყენებულად სწავლობდნენ, ფუნქციისა და მისი წარმომშობი ისტორიული გარემოებების გათვალისწინების გარეშე. ჩვენ ისიც კი ვნახეთ, რომ ზოგჯერ ტაძრის X საუკუნის 60-იანი წლებით ისტორიულად დოკუმენტირებულსა და რეალიების შესატყვის დათარიღებასაც არ უწევს ანგარიშს და მას იქ მოაქცევ, სადაც ის „თეორიის“ ლოგიკას არ დაარღვევს. ეს ყოველივე, უთუოდ, კვლევის შერჩეული მეთოდის გამოც ხდება.

რასაკვირველია, არავის შეუძლია შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში გარკვეული ტიპოლოგიური ჯგუფების არსებობის უარყოფა და მათი გამოყოფა, უეჭველად, უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელი რამ იყო. მაგრამ არ შიძლება დავეკმაყოფილდეთ მხოლოდ ტიპების გამოყოფით, რაც, კაცმა რომ თქვას, შუა საუკუნეების არქიტექტურის შესწავლის განვლილი ეტაპიც გახლავთ. მარტოდენ ტიპოლოგიის პრობლემების გამოკიდებას მოჰყვება ხელოვნების შემოქმედებითი პოტენციის, მისი მოვლენების ცვალებადობის მივინყება, ყურადღება ველარ ექცევა ამა თუ იმ ტიპოლოგიური ფენომენის გარდასახვას სხვადასხვა რეგიონების პირობებში, იმ კონკრეტულ გარემოებებში, რომელთაც განაპირობებს, სწორედ, მონუმენტური არქიტექტურის კონკრეტული ნაწარმოები, ასეთი თუ ისეთი დაკვეთის პირობა შექმნეს. ამიტომაც, არაა შემთხვევითი, რომ სულ უფრო მეტი მეცნიერი ამბობს უარს „ბიზანტიური“ ხელოვნების შესწავლისას ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებაზე. ასე, მაგალითად, რ. კრაუტჰაიმერი, ადრექრისტიანული და ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ახლანდელი ავტორიტეტი, მას არარ მიმართავს¹¹⁶ (თუმცა მასაც, როგორც სხვას მრავალს, ჯერაც ვერ მოუხერხებია „ტიპოლოგიის“ ზეგავლენისგან სრულად თავის დაღწევა)!

ტიპოლოგიური კვლევა საკმარისი რომ არ არის, დიდი ხანია გაცნობიერებული აქვს ხელოვნებათმცოდნეობის ქართულ სკოლას. ქართული და სომხური არქიტექტურის ფაქტების შესწავლისას, ერთისა და მეორეის განვითარების გზების გააზრებისას, გიორგი ჩუბინაშვილი დარწმუნდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ტიპოლოგიური ცვლილებების მოშველიებით ისტორიული განვითარების ცრუ სურათს თუ მიიღებ და ვერც არქიტექტურის ისტორიის კარდინალურ საკითხებს გააშუქებ.¹¹⁷ ე.წ. „მცხეთის ჯვრის ტიპის“ ძეგლების მაგალითზე, გ. ჩუბინაშვილმა აჩვენა, რომ ტიპოლოგიური ფენომენი იმპერიის დედაქალაქის წვლილის გარეშეც შეიძლება გაჩნდეს, თუკი საფუძლად მას გარკვეული, ადგილზე ჩამოყალიბებული არქიტექტურული პრობლემები უდევს. სოფ. წრომის VII საუკუნის ძეგლის მაგალითზე გ. ჩუბინაშვილმა თვალსაჩინოდ ისიც აჩვენა, რომ საქართველოში – თანადროულად კი სომხეთშიც! — VII საუკუნის პირველ ნახევარში „ჩანერილი ჯვრის“ ტიპის გამოჩენა სავსებით ორგანული, წინამორბედი განვითარებით განპირობებული მოვლენა იყო. სხვაგვარად უდგება მკვლევარი საკუთრივ „ტიპის“ ცნებასაც – მას იგი სივრციდან გამომდინარე ახასიათებს, მასშივე პოულობს იგი ამა თუ იმ ეპოქასთან მისი შესატყვისობის ამოხსნასაც. სწორედ წრომის მაგალითზე გამოვლინდა სრული სიცხადით იმდროინდელი ქართული და ბიზანტიური არქიტექტურის პრინციპული სხვაობა, მათი მხატვრული პრობლემებისა და მათი დამუშავების და გადაწყვეტის სხვადასხვაგვარობა. თვით ფაქტიც კი „ჩანერილი ჯვრის“ ტიპის სომხეთსა და საქართველოში უფრო ადრე, ბიზანტიაში კი მოგვიანებით გაჩენისა მხატვრული ძიების, სტილისტიკის და, აქედან გამომდინარე, მათ მიერ განვლილი გზის სხვადასხვაობაზე მიგვითითებს. ჩვენ რასაკვირველია, არ უნდა ვიფიქროთ, ვითომცდა კონსტანტინოპოლელი ხუროთმოძღვარნი „ცროიხ ინოცრიტი“ მშენებლობას ხელი ამიერკავკასიის არქიტექტორების გავლენით მოჰკიდეს და ეს თემა ბიზანტიის დედაქალაქს მაინცდამაინც საქართველოდან ანდა სომხეთიდან უნდა მოესესხებინათ. საქმე ისაა, რომ ეს, ოთხ ბურჯ დაყრდნობილი გუმბათით ცენტრირებული სტრუქტურა სწორედ რომ მაკედონელ-კომნენოსთა ეპოქის მხატვრულ იდეალთან აღმოჩნდა „თავსებადი“, ისევე როგორც იუსტინიანეს ეპოქაში მას უფრო

¹¹⁶ R. Krautheimer, *Early Christian and Byzantine Architecture*, Harmondsworth, 1965 (არის მოგვიანო გამოცემებიც).

¹¹⁷ გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, ტფ., 1936; Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948; მისივე, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959; მისივე, Цроми, М., 1969 და ა.შ.

შეესაბამებოდა სივრცის „ცხოველხატული“ სტრუქტურა (დამახასიათებელია, რომ XI-XIII საუკუნეების ცხოველხატული სტილის ქართული არქიტექტურა უპირატესობას „ჩანერილი ჯვრის“ ასიმეტრიულ, ორბურჯიან ნაირსახეობას ანიჭებს). თავისთავად ნათელია, რომ გ. ჩუბინაშვილი ერთი ქვეყნის მეორეზე ზეგავლენას, ერთის მიერ მეორის მიღწევათა ათვისებასა და თავის ხელოვნებაში მათ გამოყენებასაც ითვალისწინებს. ეს ნებისმიერი კულტურის განვითარების თავისთავად გასაგები, ეჭვმიუტანელი ფაქტია. მთელი საქმე კი ისაა, რანაირად „აღერდა“ ესა თუ ის, გინდაც მოსესხებული ელემენტი. ეს კი ადგილობრივი პირობებით, ადგილობრივი მოთხოვნებითა და მხატვრული ამოცანებით განისაზღვრება.

ამგვარად, მოქვის ტაძრის შესწავლისას ჩვენ უნდა ამოვიდეთ მისი შემქმნელი ეპოქის ისტორიული პირობებიდან და, რაც მთავარია, ადგილობრივი მხატვრული ტრადიციებიდან და ამოცანებიდან. რასაკვირველია, ის არ შეიძლება განიხილებოდეს ხუთნავიან ნაგებობად: პატრონიკეების ქვეშ გაჩენილი გვერდის სივრცეების დაყოფა ცალკეულ სადგომებად არ გვაძლევს საშუალებას ისინი ნაგებად მივიღოთ – ნავი ხომ ერთიანი, გაუტიხრავი, წაგრძელებული უნდა იყოს. როგორც იმთავითვე ითქვა, ტაძარი წარმოადგენს „ჩანერილი ჯვრის“ სახის ოთხბურჯიან სივრცეს, რომელიც სამხრეთ დასავლეთით სადგომებითაა გართულებული.¹¹⁸ ვითარცა „ჩანერილი ჯვრის“ კომპოზიცია ის სულაც არაა აუცილებელი უპირატესად ბიზანტიას დავუკავშიროთ, სადაც ეს ტიპი ეს-ესაა, იწყებდა გავრცელებას, ის უპირველესად ყოვლისა, ზემოაღწერილ სამძვლებს უნდა „მიებას“, რომლებთანაც მას ახლო ტიპოლოგიური და სტილისტური ნათესაობა აერთიანებს.

რასაკვირველია, მოქვის ტაძარი სტრუქტურის მხრივ, ზემოთ განხილულ ყველა ტაძარზე ბევრად რთულია. განსაკუთრებით ხვდება ეს თვალს საკმარისად ზუსტად დათარიღებულ ბზიფის ეკლესიასთან შედარებით, რომელიც თითქოსდა მოქვის ცალკე აღებული შუა კომპოზიციური ბირთვი იყოს. ბზიფის ეკლესია, როგორც ზევითაც აღინიშნა, მთაში მიმავალი გზის სადარაჯოდ მდგომი ციხის შუაგულში დგას და დედაციხეში მცხოვრებ ადამიანებს უნდა მომსახურებოდა. ამით აიხსნება მისი მარტივი გეგმარება, დამატებითი სადგომების არარსებობა ან მისი შედარებით მომცრო ზომები. სხვა ამბავია მოქვის ტაძარი – ერთი უმნიშვნელოვანესი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ნაგებობათა შორის. მისი ინტერიერის მასშტაბურობა, მედიდური სისადავე, მისი შუა ბირთვის განვრცობა, დამატებითი სადგომების მისთვის შემოყოლება, შიგა სივრცის ხაზგასმული ზეიმურობის, თითქოსდა სანახაობრიობის შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძრის მხატვრული სახის ეს თავისებურებანი გასაგები ხდება თუ გავიხსენებთ მის მნიშვნელობას იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის არქიტექტურულ იდეაში, გრანდიოზულობაში, თავად სირთულეში მისი კომპოზიციისა გამოხატულებას ჰპოვებს ქვეყნის შიგა ძალების აღზევება, აფხაზეთის სამეფოს ბიზანტიის ეკლესიისაგან სრული განთავისუფლება.

კომპოზიციის ცვლილება, რასაკვირველია, მხატვრული სტილის შეცვლასაც ასახავს. ბზიფის ტაძარს, როგორც დავინახეთ სიმეტრიულობა, მასათა შედარებითი სიმშვიდე გამოარჩევს. მოქვეში – პირიქით, სიგრძივი კომპოზიციის დინამიკური განვითარება, სიმეტრიის ღერძებიდან მახვილების გადაადგილება, მოცულობათა და სივრცის ნაწილების მოძრავი შეხამება ჩანს.

ამრიგად, მოქვის ტაძრის კომპოზიცია საქართველოში, კერძოდ, მის შავიზღვისპირეთში, კარგად ცნობილი კომპოზიციის, გუმბათოვანი ოთხბურჯიანი ეკლესიის შემოქმედებით, ადგილობრივი გარემოებებით შეპირობებულ გადაამუშავებად უნდა მივიჩნიოთ.¹¹⁹

¹¹⁸ ასევე „კითხულობდნენ“ მას ი. სტრიგოვსკი, ა. ბაშკიროვი (დასახ. ნაშრ. გვ. 51) და მეტადრე გ. ჩუბინაშვილი (ВИА, III, с. 328).

¹¹⁹ შედარებით ახალ გამოკვლევებში გამოირჩევა ვენელი პროფესორის, ლიობა თაისის ნიგნი „Die Flanken _ räume im mittelbyzantinischen Kirchenbau“ (Wiesbaden, 2005). ქ-მა ლ. თისსმა დაადასტურა კონსტანტინოპოლის არაერთ ეკლესიაში გვერდითი ფრთების არსებობა, რომელთა მიმართ ყურადღების გამოჩენას ის დიდად უფასებს ნ. ბრუნოვს, თუმცა შენიშნავს, „ხუთნავიანობა“ (საერთოდ „ნავის“ აქ ხსენება) „შეცდომაში შემყვანი ცნებითი არჩევანი“ და „არაადეკვატური ტერმინოლოგია“ არისო (გვ. 25). ძალზე მნიშვნელოვანია ბოლო დროის ფრიად „მოცოცხლებული“ „გავლენების თეორიის“ გათვალისწინებით (ახლა „ტრანსფერზე“ და ა.შ. საუბრობენ!) მისი დასკვნა, რომ „გვერდითი სივრცეებიანი“ კონსტანტინოპოლური ნაგებობები „რუსეთში და ბალკანეთში ამ ქვეყნების ეროვნულად გამონაკვეთული არქიტექტურის ადგილობრივი განვითარების წყარო“ შეიქმნაო (გვ.182). საგულისხმოა, რომ მოქვის ამ წრეში ხსენება მან საჭიროდ საერთოდაც არ მიიჩნია. (გამომც.)

აფხაზეთის ტაძრების ისტორიულ და მხატვრული მნიშვნელობის შესახებ

წინამორბედ თავებში ჩვენ განვიხილეთ რიგი გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძეგლებისა, რომელთაც მათი ძირითადი კომპონენტების უეჭველი მსგავსება აერთიანებს. ბზიფის, ანაკოფიის, ლიხნის, მოქვის კომპოზიციის საფუძველი გარე კედლების სწორკუთხედით მოფარგლული ჯვარ-გუმბათოვანი სტრუქტურაა, რომლის ცენტრში ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დამყარებული გუმბათია განლაგებული. აბრისის გარეთ აღმოსავლეთით ყველა შემთხვევაში ტაძრის საკურთხევლის ნაწილის სამი აფსიდი გამოდის. ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიების პასტოფორიუმები ძირითადი სივრცისგან კედლებით კი არაა იზოლირებული, არამედ მას თავისუფლად ერწყმის. ჩვენ მიერ ეს-ესაა აღწერილი სტრუქტურა ოთხავე ნაგებობისთვის საზიარო ძირითად ბირთვად წარმოგვიდგება, თუმცა, როგორც დავრწმუნდით, ყოველ ცალკე შემთხვევაში მას გარკვეული დანამატები ახლავს – მხოლოდ ბზიფში გვაქვს ჩვენ იგი სუფთა სახით, აქ მხოლოდ ღია პორტიკებია დამატებული. ანაკოფიაში ამ კომპოზიციურ ბირთვს დასავლეთიდან ნართექსი ეკვრის, შენობის საერთო სწორკუთხა აბრისში მოქცეული და საკუთრივ ეკლესიას შერწყმული, მაშინ როდესაც კარიბჭეები შვერილ მოცულობებს წარმოქმნის. ლიხნეში, ძირითადად, ანაკოფიის სქემაა გამეორებული, ოღონდ ნართექსის თავზე აქ პატრონიკენია განთავსებული, რომელნიც უკვე ტაძრის შიდა სტრუქტურასაც ამდიდრებს. დასასრულ, მოქვის ტაძარში ჯვრის დასავლეთი მკლავი ბურჯების დამატებითი ნყვილითაა დაგრძელებული და კათედრალის მთელ სივრცეს სამი მხრიდან ორსართულიანი მასივი შემოერთდის. უკანასკნელის ქვედა სართული, როგორც ითქვა, ცალკეულ სადგომებად (კაპელებად) არის დანაწევრებული, ზედაზე კი ერთიანი სადგომია, მხოლოდ დასავლეთით ანეული დასავლეთი მკლავის სიმალლეზე და თავდაპირველად, როგორც ჩანს, ლიხნეს მსგავსად თაღოვანი ღიადებით გატიხრული. ამიტომაც მისი გეგმარებით – კომპოზიციური სტრუქტურა განხილული უნდა იქნას როგორც ლიხნეს ტაძრის გართულებული ვარიანტი და არა რამ სხვა.

ამგვარად, კომპოზიციის თვალსაზრისით, გამოდის გარკვეული მწკრივი, რომელსაც უმარტივესი გადაწყვეტიდან (ბზიფი) ურთულესთან (მოქვი) მივყავართ. ზემო ნათქვამიდან ჩვენ ვიცით, რომ ამ ტაძრების მშენებლობას, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის შუალედი აშორებს, თანაც ვლინდება ყველა მათგანისთვის საერთო სტილისტური ტენდენციის თანდათანობით გაძლიერებაც: ბზიფის მეტი სიმეტრიულობიდან მოქვის მოძრაობა – დინამიკურობისკენ. როგორია დანარჩენი ორი ტაძრის ისტორიული ადგილი?

ისეთი დეტალების სხვაობა, როგორიცაა, მაგ., აფსიდების გარეთა კონტურის მოხაზულობა (ბზიფში ისინი წახნაგოვანია, ლიხნეში – ნახევარწრიული, ანაკოფიასა და მოქვში კი წახნაგოვანი და მომრგვალებული ფორმები ეხამება ერთი მეორეს); დათარიღების გადამწყვეტი არგუმენტი, რასაკვირველია, ვერ იქნება არ გამოგვადგება დასათარიღებლად თავისთავად აღებული კომპოზიციური მომენტებიც – ნართექსისა ანდა პატრონიკენის არსებობა – არარსებობა არქიტექტურაში ხომ მართო ესთეტიკურ მოთხოვნილებას როდი უნდა აკმაყოფილებდეს, მას ყოველთვის უტილიტარული ფუნქციაც აქვს და ისევე, როგორც ბზიფისა და მოქვის შეპირისპირებისას, ლიხნესა და ანაკოფიაშიც ნართექსისა და მეორე სართულის გაჩენა მოცემული ძეგლების ინტერპრეტაციისთვის მეტად მნიშვნელოვან ადგილობრივ საჭიროებებს, დამკვეთთა მოთხოვნებს უნდა დაუყვავშიროთ. თუკი ბზიფის კომპოზიციის სიმარტივე აიხსნება მისი დანიშნულებით, როგორც ციხის ტაძრისა, ხოლო მოქვის ეკლესიის განსაკუთრებული მონუმენტურობა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით როგორც საეპისკოპოსო კათედრალისა და ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოების ძალის განსახიერებისა, მსგავსი რამ ორი დარჩენილი ეკლესიისთვისაც შეიძლება მივუთითოთ.

ანაკოფიის ტაძარი, ბზიფისგან განსხვავებით, ციტადელში კი არა, ქალაქის ზღვისპირა, ადრე ასევე გალაგნიტ მოზლუდულ ნაწილში მდებარეობდა. მის მრევლს მხოლოდ ფეოდალის რაზმი კი არა, რიგითი მოქალაქეებიც შეადგენდნენ. სწორედ ამით აიხსნება, ალბათ ჯვარ-გუმბათოვანი ბირთვისთვის ნართექსის კომპოზიციური მიმატება.¹²⁰ სხვა „სოციალური დაკვეთა,

¹²⁰ არსებობს ვარაუდო რომ ეს ეკლესია თავის დროზე ცხუმელი ეპისკოპოსის კათედრალი ყოფილა (З. Анчабадзе, Из истории... გვ.145)

იკითხება ლიხნის არქიტექტურაში. ცნობილია, რომ პატრონიკენი საქართველოში უპირატესად, დიდებულების სამყოფელი იყო ხოლმე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიხნეშიც ისინი მოსახლეობის უმაღლესი ფენისთვის, ადგილობრივი ფეოდალებისთვის იყო განკუთვნილი. ეს ვარაუდი კიდევ უფრო საფუძვლიანად წარმოგვიდგება, თუ გავიხსენებთ, რომ იქვე მდებარე ნასახლევის უძველესი ნაწილი ტაძრის თანადროული უნდა იყოს.

და მაინც, ანაკოფია და ლიხნე ბზიფის შემდგომ ხანას უნდა მივაკუთვნოთ. საქმე მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელის კომპოზიციის მეტი სიმარტივე როდია – ის განსახილველ ძეგლებზე ყოველ მხრივ არქაულიცაა. მაგალითად, ვერც ანაკოფიაში ნახავთ და ვერც ლიხნეში კარის მონყობის ისეთ ხერხს, როგორცაა ღია ლუნეტი – ორივე შემთხვევაში ყრუ ლუნეტი გვაქვს. ბზიფში ერთგვარი უთანაბრობის, ძიების კვალიც იძებნება. ეს ისეთ დეტალებშიც კი ჩანს, როგორცაა კედლებისა და გუმბათქვეშა ბურჯების სისქის აშკარა შეუსაბამობა – კედლები მეტისმეტად სქელია, საყრდენები – უაღრესად წვრილი, რაც გახდა კიდევ, საფიქრებელია, შენობის დანგრევის ძირითადი მიზეზი. ანაკოფიასა და ლიხნეში ამას ვეღარ იხილავთ.

რაც მთავარია, თავად გადანყვეტაში ინტერიერისა და გარეთა მასებისა, ფორმის მხატვრულ შეგრძნებაში ბზიფის ოსტატი ორი სხვა ტაძრისაგან რამდენადმე განსხვავებულ მხატვრულ-სტილისტურ მიდგომას ავლენს. ამ მხრივაც მეტი „არქაულობა“, წინამორბედ საუკუნეებთან, მეტი შინაგანი კავშირი წინა საუკუნეების სტილთან, მაშინ როდესაც ანაკოფიასა და ლიხნეში, პირიქით, აშკარაა მათგან უფრო სრული განთავისუფლება, ახალი სტილისტური ტენდეციების აღზევება. მრავლისმეტყველია, ამ მხრივ, შესასვლელების, სახელდობრ, სამხრეთის და ჩრდილოეთის კარების ადგილმდებარეობა. ბზიფში ისინი ზუსტად სიმეტრიის ღერძზე თავსდება, ანაკოფიელი და ლიხნელი არქიტექტორები მათ შუა ღერძებიდანაა დაძრული. ეს ორი სხვადასხვა მხატვრული ხერხია, ერთი სტილისტური ეტაპის ორი ფაზა. თუკი ბზიფის ხუროთმოძღვარი აქ კონსერვატულია, კლასიკური სტილის ტრადიციების ერთგული ჩანს, ორივე სხვა ოსტატი ამ ამოცანის გადანყვეტისასაც უფრო ცხადად ავლენენ ახალი, „ცხოველხატული“ სტილის ტენდეციებს, რომელიც უგულებელყოფს სიმეტრიის ღერძებს და შიგა სივრცის მხატვრულ ხასიათს სწორედ რომ დინამიკური ძვრების მეშვეობით განსაზღვრავს. მრავლისმეტყველია ისეთი რამ, როგორცაა ლიხნეს პატრონიკენი, უფრო ზუსტად, ეკლესიის დანარჩენ ნაწილთან მათი ურთიერთმიმართება. მათი გადანყვეტის სპეციფიკა განსაკუთრებით ცხადად წრომის ტაძართან შეპირისპირებისას ჩნდება. უკანასკნელში პატრონიკენი აგრძელებს და ასრულებს დასავლეთი მკლავის სივრცეს, ინტერიერის ნაწილების განონასწორებას ემსახურება. ლიხნეში კი დასავლეთის მკლავი პატრონიკენისკენ არ იხსნება, თუმცა მათგან არც მთლიანად იზოლირებული არის: სივრცე დასავლეთის კედლის თაღების გავლით თითქოს გაედინება უფრო დაბინდულ სადგომში. ამ მიზეზით ეკლესიის შიგნით არ იგრძნობა ჩაკეტილობა, მისი საზღვრები ჩვენი მხედველობის არის მიღმა. პატრონიკენის მხატვრული ფუნქციის ასეთივე გაგებას ვხვდებით გურჯაანში, ვაჩნაძიანში და ა.შ., ე.ი. კი „ცხოველხატული“ რიგის არქიტექტურულ ნაწარმოებებში, რომელთაც ლიხნეც უნდა მივათვალოთ.

სხვადასხვანაირია ნაგებობის სხვადასხვა ნაწილების პროპორციებიც ბზიფისა, ერთი, და ანაკოფიასა და ლიხნეში – მეორე მხრივ. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამი ძეგლის პროპორციების, სივრცით-მოცულობითი თანაფარდობების შედარება მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვან მაჩვენებლებს გვანვდის – რადგან პროპორციები არა მარტო ორგანზომილებიანია, სიბრტყითი გამოსახულებებისთვის, არამედ არქიტექტურისთვისაც ამა თუ იმ ეპოქის ესთეტიკური ნორმების კამერტონი გახლავთ. ამას ნათლად ათვალსაჩინოებს, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტაბულაც, რომელიც შესასწავლი ტაძრების ზოგიერთ აბსოლუტურ ზომასა თუ მათ შეფარდებებს მოიცავს.

ბზიფის, ანაკოფიის და ლიხნის ეკლესიების ზომებისა და თანაფარდობების ტაბულა

	I შიდა სიგრძე უნარტექსოდ	A შიდა სიგანე	H მკლავის სიმაღლე	თანაფარდობა		ა გარე სიგრძე უაფსილოდ	ბ გარეთა სიგანე	a b	D გუმბათქვეშა კვადრატის	კედლის სისქე	ბურჯის ზომები	H D მთავარი ნავის პროპორციები
				IA	AH							
ბზიფი	13.60	9.56	8	1.7	1.22	12.5	12.35	1:1	3.78X3.78	1.27	0.72	2.1
ანაკოფია	13.45	8.65	9.40	1.43	0.92	10.41	15.71	1:151	3.41X3.40	0.85	0.82	2.79
ლიხნი	14.87	8.96	10.81	1.38	0.81	10.71	16.55	1:155	3.57X3.57	0.81	0.88	3.00

ჩვენი ტაბულა არასგზით ჩემულობს გადაგვიშალოს ანდა დაადგინოს აფხაზეთის ძეგლების პროპორციული აღნაგობის დადგენის „მეთოდი“; მას მხოლოდ ის ევალება, მკითხველს ის რელაური მხატვრული ხატი მიუახლოვოს, რასაც მნახველი ჩვენი ტაძრების სივრცისა და გარეთა მასების დათვლიერებისას აღიქვამს – მისი ადექვატური ასახვა ხომ არც სიტყვიერი დახასიათებითაა შესაძლებელი და ვერც გრაფიკული აზომვითი ანდა ფოტოგრაფიული მასალის მოშველიებით.

ამიტომაც ტაბულაზე მოყვანილია მხოლოდ ის ზომები და თანაფარდობები, რომელნიც თვალთ რეალურად დაინახება და უშუალოდ მონანილეობს ტაძრის მხატვრული სახის აღქმაში. ამას გარდა, ჩვენ გაცნობიერებულად არ შევიტანეთ მასში გუმბათის ზომები, რადგან გუმბათის უეჭველად თავდაპირველი ფორმები და იერი დღევანდელ დღემდე მხოლოდ ლიხნეს ტაძარმა შემოინახა. შიგა სივრცის გაბარიტებიდან გამოვრიცხეთ, ასევე, ნართექსი და პატრონიკენი, რადგანაც, შეფარდებით იზოლირებულებს, მათ შესაბამისად, მხედველობით შთაბეჭდილებაში ნაკლები წილი აქვს. ამგვარადვე, ექსტერიერისთვისაც ჩვენ, მხოლოდ და მხოლოდ ნაგებობის კუბური მოცულობის ზომები ავიღეთ, შვერილი აფსიდების გარეშე, რომელნიც ამ ტაძრებში ძირითად კორპუსს ბოლომდე შერწყმულად არ იკითხება.

როგორც ჩვენი შედგენილი ტაბულა ცხადჰყოფს, სამივე ტაძრის ძირითადი ბირთვის (უანართექსოდ) სიგრძე თითქმის ერთნაირია. ასევე უმნიშვნელოა გუმბათქვეშა კვადრატის ზომათა სხვაობაც. ამასთანავე, ამ მცირე აცდენებს არ აქვს რამდენადმე კანონზომიერი ხასიათი. სამაგიეროდ, სულ სხვა სურათს გვიჩვენებს ტაძრების სიგანეთა ურთიერთდადარება. ასე, სიგრძით ბზიფის თითქმის ტოლი ანაკოფია მასზე ბევრად ვიწროა, თითქმის ისეთივე როგორც ლიხნე, ამათგან უგრძესი. კიდევ უფრო თვალნათლივია მომხდარი ცვლილებები ტაძრების სიმაღლეთა შედარებისას: მათ შორის ყველაზე განიერი, ბზიფი – უფრო დაბალია, ვიდრე შედარებით ვიწრო, ნაგრძელებული ანაკოფია და ლიხნი.

ამგვარად, ბზიფის ძირითადი სივრცის გაბარიტები უფრო ჯმუხია, დადაბლებული, მაშინ როდესაც ანაკოფიასა და ლიხნეში თანწყობილი და მოხდენილი; აბსოლუტური ზომებით ჩვენ „ამოვიკითხავთ“ იმ განწყობილებას, რაც ეუფლება მნახველს მხატვრული სივრცითი შთაბეჭდილების ზემოქმედებით. თანაც პროპორციების ცვალებადობა აღმავალი ხაზით მიემართება ბზიფიდან ლიხნემდე, სხვაობა კი ანაკოფიასა და ლიხნეს შორის ნაკლებად შეიგრძნობა, ვიდრე ბზიფისა და ლიხნესი.

ამგვარსავე კონტრასტს ვნახავთ თუ გარეთა მასების პროპორციებსაც შევადარებთ: ბზიფში კუბური მოცულობის სტატიკა გვაქვს (1:1), ხოლო ანაკოფიასა და ლიხნეში, პირიქით, (1,51 და 1,55) შეფარდებათა სიმახვილე და დინამიკურობა.

პროპორციების ანალიზიც უცხადესად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბზიფის ტაძარში ბევრი რამაა ცხოველხატული სტილისთვის უცხო, იგი მის უფრო მომნიფებულ მონაპოვართა დონეზე ასული არ არის, მასში ბევრია კლასიკური პერიოდის რემინისცენცია (სიმეტრია, სტატიკა). ანაკოფიასა და ლიხნეში ასეთი „გადაუბმელობა“ აღარ არის, ამ ტაძართა ხუროთმოძღვარნი უფრო მეტადაა ახალი „ეპოქის სტილით“ გამსჭვალული. ამასთან ერთად, თუკი ბზიფის ეკლესიის კომპოზიციაში, მთელ რიგ კვანძში მისი კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტისა, ამ

მხარეში „ცროის ინსცრიტი“-ის თემის ათვისების საწყისი ეტაპის თანმდევი დაურწმუნებლობა და შესაბამისი პრაქტიკის ნაკლებობა იგრძნობა, ანაკოფიასა და ლიხნეში, შექმნილი ჩვევების საფუძველზე წინსვლა, ამოსავალი სტრუქტურის გარდასახვა ხორციელდება.

ყველა ამ ძიების დამაგვირგვინებელი მოქვის კათედრალია – „ცხოველხატულება“ იქნება ეს, სიმეტრიული განლაგების უარყოფა თუ სიგრძეში „განელვა“. და მაინც, ვერა და ვერ ვიტყვით, ბზიფიდან, მითუმეტეს, ლიხნიდან მოქვისკენ მიმავალ გზაზე მკვეთრი ხარისხობრივი ნახტომი გვაქვსო. საუბარი მოხლოდ ერთი მხატვრული ეპოქის შიგნით ერთი თემის თანდათან სრულყოფაზე შეიძლება – მეტისმეტად ბევრი საერთო აქვს ამ ძეგლებს: არა მარტო ზემოჩამოთვლილი სტრუქტურულ-კომპოზიციური ნიშნები, არამედ მშენებლობის ტექნიკაცა და უკიდურესად მომჭირნე დეკორიცი. ყველა ეს ეკლესია ერთ ჯგუფს მიეკუთვნება, ოღონდ ეს უკანასკნელი განვითარების დინამიკაშია წარმოშობილი. მის სათავეში ბზიფის ტაძარია, დამაბოლოვებელი – ყველა მონაცემით – მოქვისა. ანაკოფია და ლიხნე ბუნებრივად განთავსდება მათ შორის; ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ლიხნეს ელემენტების მთელი რიგი მას, როგორც ვნახეთ, IX საუკუნის არქიტექტურასთან აკავშირებს, რაც, თავისთავად ცხადია, მას X საუკუნის დასაწყისისკენ სწევს. მთლიანობაში ეს მოცემული ტიპოლოგიური ჯგუფი IX (უფრო მისი მეორე ნახევარი) -X საუკუნის შუა ხანის შუალედში შექმნილი გამოდის.

ამ ძეგლების ისტორიული ადგილის ნათლად გასაგებად აუცილებელი ჩანს ისინი ჩვენი სამსჯელო რეგიონის საკულტო ხუროთმოძღვრების ზოგიერთ სხვა ძეგლსაც შევადაროთ. პირველი აზრად, რასაკვირველია, ბედიის კათედრალი მოგვივით, ქართული მატრიანების პირდაპირი ჩვენებით, X საუკუნის ბოლოში, ბაგრატ III-ის ზეობაში აშენებული.¹²¹ დროით ის უშუალოდ მოსდევს ზემოთ გარჩეულ ნაგებობებს და, რაკილა ზუსტადაა დათარიღებული, მათი ინტერპრეტაციისთვის მრავლისმომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამჟამად ის წარმოადგენს „ჩანერილი ჯვრის“ ტიპის ორბურჯიან ეკლესიას, რომლის კომპოზიცია, საკურთხეველის ჩათვლით, მთლიანად წაგრძელებულ სწორკუთხედშია ჩანერილი. ძლიერ დაზიანებულმა, გუმბათსა და მოპირკეთების მნიშვნელოვან ნაწილს მოკლებულმა, ბედიის ტაძარმა მაინც შემოინახა ჩუქურთმიანი ქვის სამკაულების და პერანგის ქვების ერთი ნაწილი, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოგვჩვენოს როგორც მისი მორთულობის ხასიათზე, ასევე სამშენებლო ტექნიკაზეც – გარედან ის მთლიანად თლილი ქვით იყო განწყობილი, შიგნიდან კი მოსახატად დატოვებული. დიდი ხნის განმავლობაში ეს ნაგებობა ბაგრატ III-ს აღმშენებლობად მიიჩნეოდა.¹²² მაგრამ ჩუქურთმების ხასიათის არაერთგვაროვნებამ – მისი ერთი ნაწილი თუ შეიძლება X საუკუნეს ეკუთვნოდეს (მაგ., პასტოფორიუმების კარების ტიმპანები და წყობაში ჩაყოლებული ზოგიერთი ფრაგმენტი), ინტერიერის ზოგადი პროპორციები და ზოგიერთი დეტალი (იხ. პროფილის ცვლილება აფსიდის კუთხეების სიმაღლის ნახევარზე) სულ სხვა ქრონოლოგიურ საფეხურზე – XIII საუკუნეზე მიგვითითებს. საქმის ასეთი ვითარება შეიძლებოდა საფუძვლიანი გვიანი აღდგენით აგვეხსნა,¹²³ მაგრამ ახლანდელი პასტოფორიუმების ქვეშ აღმოჩნდა ძველი, ნახევარწრედ შვერილი აფსიდების მოხაზულობა,¹²⁴ ცრუტარონიკენი და აფსიდის კუთხეების პროფილის ცვლილება მათი სიმაღლის ნახევარზე კი პირდაპირ ებმის სამცხის XIII-XIV საუკუნეების ეკლესიებს, რაც წამოჭრის კითხვას: ხომ არ არის აგებული ახლანდელი ტაძარი ბაგრატ III-ის შენობის ნანგრევებზე? ასეა თუ ისე, დღევანდელი ბედია წინამდებარე გამოკვლევებისთვის ვერ დაგვეხმარება.

დანარჩენი ძეგლებიდან საგანგებო ყურადღებას აფხაზეთში შემორჩენილი „სამეკლსიანი ბაზილიკების“ ჯგუფი იმსახურებს. სხვა არქიტექტურული თემების ნიმუშებისგან განსხვავებით, რომლებიც ჯერაც არაა ჯეროვნად შესწავლილი და არც განვითარების სურათს იძლევა, ანდა სულაც უცხოა ამ მხარის ხუროთმოძღვრებისთვის, ე.ი. „იმპორტირებულია“ (ასეთთაგანი, განსაკუთრებით, ბიჭვინტაში გათხრების დროს მოპოვებული V-VI სს-ის ბაზილიკაა, ამჟამად კონსტანტინეპოლიდან „მოსული“¹²⁵), ეს კომპოზიცია „ცროის ინსცრიტი“-სავით, უთუოდ ადგი-

¹²¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ.281.

¹²² იხ. მაგ. Н. Северов, Памятники..., გვ. 193.

¹²³ ასე მიაჩნდა რ. შმერლინგს (იხ. მისი: К вопросу о датировке росписи Бедийского храма. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, № 4, თბ. 1957, გვ. 510)

¹²⁴ ლ. ხიმშიაშვილი, რესტავრაციის ზოგიერთი საკითხი (წრომი და ბედია), ძეგლის მეგობარი 14, თბ. 1968, გვ. 78-79,81.

¹²⁵ ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ. 1985, გვ. 41, ტაბ. 5.

ლობრივ ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი მცდელობის საგანი იყო.

ახლანდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში სადღეისოდ „სამეკლესიო-იანი ბაზილიკის“ ტიპის ოთხი ტაძარია გამოვლენილი: ერთი – ძველ გაგრაშია, მეორე – ქიაჩის მთაზე, სოფ. ჯგერდის ახლოს, მესამე – დასახლება ამბარაში მიუსერას კონცხზე, მეოთხე კი ცოტა ხნის წინ აბაანთა ციხის ნანგრევში აფხაზეთის დ.გულიას სახ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ გათხარა.¹²⁶

კომპოზიციის ყველაზე მარტივი ძველი გაგრის ეკლესიაა, მდინარე ჟოეკვარას ნაპირზე, ძველთაძველი ციტადელის შიგნით აშენებული. XIX საუკუნეში საფუძვლიანად შეკეთებულმა (ძველი ნყოფა არც თუ სწორად მოხაზული, მქისედ თლილი ქვების ზომით ირჩევა) მან, ამის მიუხედავად, ძირითადად ძველებური იერი შეინარჩუნა. ზომით მომცრო ნაგებობა სამი, ერთი მეორის გვერდით განლაგებული მოგრძო „დარბაზისგან“ შედგება, რომელთაგან ჩრდილოეთისა დანარჩენ ორზე მოკლეა. შუანა და ჩრდილოეთის სადგომი აღმოსავლეთით გარეთა მოხაზულობის სწორკუთხედში ჩანერილი აფსიდებით სრულდება. ეს სამი კამაროვანი სადგომი ერთმანეთს სიგრძის კედლებში მოწყობილი კარებით უკავშირდება. ამას გარდა, ცენტრალურ დარბაზს დასავლეთის კარიც აქვს. ძირითადი შესასვლელი – სამხრეთის ეკლესიის სამხრეთის კედელშია (ჩრდილოეთის „ეკლესიის“ დასავლეთის კარი, უთუოდ, არაა პირვანდელი). გაგრის ტაძარი განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩევა, მაგრამ, ამავე დროს, უაღრესად საყურადღებოა ისტორიული თვალსაზრისით. თავისი სტრუქტურის სიმარტივეთა და ნაწილების თანაფარდობით – შუანა „ეკლესია“ ცოტათი თუ გამოიყოფა გვერდებისასგან, ის „სამეკლესიო-იანი ბაზილიკების“ უძველესი ნიმუშების გვერდით ექცევა.¹²⁷ ადრეულ ხანაზე მიუთითებს ისეთი თვისება, როგორცაა ინტერიერის დაუნაწევრებელი, სადა კედლები, ასევე – ე.წ. „ბოლნური“-ჯვარი დასავლეთის ტიმპანზე და, რაც მთავარია, ნყოფის ხასიათი, იდენტური გაგრის ციხისა – უკანასკნელის აშენების დრო კი წერილობითი წყაროებით დგინდება. ყოველივე ეს ეკლესიის VI საუკუნით დათარიღების საშუალებას იძლევა.¹²⁸

ადრეულ ხანას ეკუთვნის აბაანთას ციხის ეკლესიაც. ამ ძლიერ დანგრეულ ტაძარს, კარგად თლილი ქვით ნაგებს, გაგრის „სამეკლესიო-იანი ბაზილიკაზე“ უფრო რთული გეგმა აქვს. გარდა საკუთრივ ერთმანეთს კარებით დაკავშირებული სამი საეკლესიო სადგომისა (შესასვლელი აქ არა მარტო სამხრეთის, ჩრდილოეთის ეკლესიაშიც გვაქვს), ვხედავთ სიგანით მთელი შენობის ტოლ ნართექსსაც, საიდანაც კარით ცალ-ცალკე „ეკლესიაში“ შევდივართ. ამასთან კი, გაგრის ეკლესიასთან, ამ ტაძარს აახლოვებს მნიშვნელოვნების მხრივ სადგომების შეფარდებით ნაკლები დიფერენციაცია და ინტერიერის დაუნაწევრებლობა. როგორც ამ ძეგლის თავისებური ნიშანი, შეიძლება მივუთითოთ კიდევ შუანა ხუთნახნაგოვანი შვერილი აფსიდი (გვერდის ეკლესიების აფსიდები გარეთ არ გაიზიდება), რასაც აფხაზეთში შემორჩენილ ამ ტიპის რომელიმე სხვა ეკლესიასაც არ გააჩნია.

მომდევნო სტილისტურ ეტაპს უნდა მივაკუთვნოთ სხვა ორი „სამეკლესიო-იანი ბაზილიკა“ – მიუსერასი და ქიაჩის მთისა, სხვათა შორის, ზომით ბევრად მოზრდილი. მათგან პირველი რიყის ქვითაა ნაგები, ინტერიერის კონსტრუქციული ელემენტებისთვის და ფასადის მოსაპირკეთებლად კი თლილი შირიმიამ გამოყენებული. შუანა ეკლესია აქ მკვეთრად უპირისპირდება გვერდითებს, ის გაცილებით ფართო და მაღალია. კამარა – ახლა ჩამოქცეული – კედლის პილასტრებზე ჩამოყრდნობილ საბრჯენ თალებს ემყარებოდა. ჩრდილოეთის ეკლესია, აღმოსავლეთით აფსიდით დასრულებული – ვინრო, წაგრძელებული სადგომია, კარით მხოლოდ შუანა დარბაზს დაკავშირებული. სამხრეთის ფრთა უფრო რთულადაა ორგანიზებული და ორ სადგომად განიყოფა (აღმოსავლეთ ბოლოში ორივეს აფსიდები აქვს). სამხრეთ-აღმოსავლეთის, ზომით ნაკლები, სადგომი ვინრო კარით უშუალოდ აფსიდს უკავშირდება (ასეთივე კარს საკურთხევლიდან ჩრდილოეთის ეკლესიის აღმოსავლეთის ბოლოშიც გავყავართ). დასავლეთის სადგომს მთავარი დარბაზისაკენ ერთი კარი აქვს დაყოლებული, გარეთკენ კი სამი თალით არის

¹²⁶ Л. Шервашидзе, Археологические раскопки в крепости Абаанта. Полевые археологические исследования в 1976 г., Тбилиси, 1979, გვ. 223–234.

¹²⁷ Г. Н. Ч у б и н а ш и л и, Церковь близ селения Квемо-Болииси. Вопросы...!, გვ. 104–107; მისივე, Одна из древнейших трехцерковных базилик Квемо Картли; იქვე, გვ. 108–115; მისივე, Архитектура Кахетии, გვ. 143–147. 156

¹²⁸ ამ ტაძრის შესახებ იხ.: მ. დიდებულიძე, ძველი გაგრის ეკლესია, ძეგლის მეგობარი, 45, თბ, 1977, გვ. 16–26.

ქვს. განსაკუთრებით, ამ მხრივ, ალბათ მაინც კახეთი გამოირჩევა. თუ მაგალითების რაოდენობით არა, „სამეკლესიოანი ბაზილიკის“ გეგმარებით – სივრცობრივი ვარიაციების რიცხვით ის უთუოდ საქართველოს ყველა სხვა ისტორიულ „ქვეყანას“ აჭარბებს. ამიტომ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სწორედაც კახეთი – თუმცა ამ ტიპის უძველესი ძეგლები (ქვემო ბოლნისი, ვანიტი) ქვემო ქართლში შემოგვრჩა- ყოფილა ამ სტრუქტურის გაჩენის ადგილი თუ არა, მისი შემოქმედებითი განვითარების მთავარი კერა. აფხაზეთში შემონახული მისი მაგალითები ამ საერთო-ქართული თემის საინტერესო „ვარიაციებად“ გვესახება. სავსებით ბუნებრივია მათში სხვა რეგიონების ძეგლებთან საზიარო ნიშნები რომ მოიპოვება. ყველაზე მრავლისმთქმელი ამ ასპექტშიც მიუსერას ეკლესიაა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ამ ტაძრის პატრონიკების გადანყვება ლიხნეში მეორდება და, შესაძლებელია, გურჯაანის ყველანმინდას უკავშირდებოდეს. კარგადაა ცნობილი კახეთის ხუროთმოძღვრებაში საზეიმო სამთაღიანი კარიბჭეც – ის, თუმცაღა, არც ქართლისთვისაა უცხო და არც ტაო-კლარჯეთისთვის. კახეთისა და აფხაზეთის არქიტექტურას შეხების წერტილები სხვა ტიპის ნაგებობებშიც ეძებნება. აფხაზეთის ყველა გუმბათიან ტაძარში ჩვენს მიერ ნანახი ღია თაღოვანი კარიბჭეები ძალიან ჰგავს VIII-IX საუკუნეების კახეთის ეკლესიების – იყალთოს ღვთაების (ფერისცვალების) და ბარცანის – კარიბჭეებს.¹³³ ჩვენ უკვე გვაქვს ნახსენები დიდი მსგავსება ლიხნესა და ქიაჩის „სამეკლესიოანი ბაზილიკის“ სარკმლის მორთვის ხერხისა და კახეთის გუმბათოვანი ეკლესიების სამკაულისა.

თუმცა, უკანასკნელის ანალოგიები ქართლშიც გვაქვს მითითებული – ქსნის კაბენის ეკლესიაში. ქართლის ადრეული ეკლესიების დეკორის მონათესავე ძველი გაგრის ეკლესიის (მისი კომპოზიციის უახლოესი ანალოგიები კახეთშია ცნობილი)¹³⁴ მოკრძალებული ქვაზეკვეთილობაც. ქართლის ნაგებობათა დეკორატიულ რეპერტუართან მჭიდროდაა დაკავშირებული ბზიფიც. იმასაც შეგახსენებთ, რომ ქართლში გვაქვს ქიაჩის ეკლესიის მთავარი დარბაზის ყველაზე მეტად მსგავსი გადანყვება.

მაგრამ ისიც სავსებით გადაჭრით უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ოსტატების შექმნილი „სამეკლესიოანი ბაზილიკებიცა“ და „ცროის ინსკრიტი“-ს ტიპის ტაძრებიც სულაც არ არ არის ქართლური თუ კახური ნიმუშების რალაც „პირები“. რომც აღარაფერი ვთქვათ რამდენადმე სხვა პროპორციებზე, შეიძლება მივუთითოთ რიგი ისეთი მდგრადი ნიშნებისა, რომლებიც შეიძლება სწორედ ამ რეგიონის განმასხვავებელ თავისებურებებად, სწორედ აქაურ ხუროთმოძღვართა შემოქმედებით ნაღვანად ჩაითვალოს. „სამეკლესიოანი ბაზილიკებში“ თვალს განსაკუთრებით ეკლესიის დასავლეთი ნაწილის სხვაგვარი დაგეგმარება ხვდება: თუ განვითარებულ აღმოსავლეთქართულ კომპოზიციებში აქ, როგორც წესი, გვერდის „ეკლესიების“ შემარეთებელი დერფან-გარშემოსავლელი არის ხოლმე, აქ, მიუსერასა და აბაანთაში დასავლეთით ნართექსი მოიპოვება, პირველ შემთხვევაში სწორედ ტაძრის გვერდის ფრთებს მოწყვეტილი. გუმბათიან ეკლესიებს არა მარტო ღია კარიბჭეებს და სამ შვერილ აფსიდს შემატებენ ხოლმე (ისინი აღმოსავლეთ საქართველოშიც იციან, მაგრამ ასე არ ეტანებიან,, მათ ტიპიურად ვერ ჩავთვლით), არამედ მოუფარგლავ პასტოფორიუმებსაც. და ბოლოს – ყველა მათგანი ძალზე ძუნწადაა შემკული, რაც ქართლსა და ტაო-კლარჯეთს შორდება და კახეთს უახლოვდება, ოღონდ არქიტექტურული სამკაულის სიმდიდრისადმი სიყვარულის არქონაა, აქ თლილი ქვის უგამონაკლისო გამოყენება ეხამება (კახეთში, როგორც ცნობილია, რიყის ან ნატეხი ქვის წყობა ჭარბობს). საქართველოს სხვა მხარეებში იმ დროს ვერც სარკმლების პროფილირებულ, ერთმანეთზე გადაბმულ თავსართებს გადააწყდებით. ყველაფერი ეს გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ აფხაზეთის ოსტატთა დამოუკიდებლობაზე, მათ თვითმყოფად, შემოქმედებით – თავისუფალ დამოკიდებულებაზე მთელ საქართველოში – თუ საერთოდაც მთელ აღმოსავლეთქრისტიანულ სამყაროში – ცნობილი თემებისა და ამოცანებისადმი, მათ დამუშავებაში საკუთარ წვლილზე, შუასაუკუნოვანი ქართული ხუროთმოძღვრების „აფხაზეთის სკოლაზე“.

ამ დებულების ნამოყენებისას, ოღონდ, გვიხდება გავითვალისწინოთ გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმადაც ყველა ეს ნიშანი ადასტურებს ქართული შავიზღვისპირეთის ძეგლების საკუთრივ ბიზანტიური ხელოვნებისადმი კუთვნილებას – რადგანაც ისინი აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების ფორმებისგან სხვაობს. საფუძველშივე მცდარი იქნებოდა

¹³³ Г. Н. Ч у б н а ш в и л и, Архитектура Кахетии, გვ. 339–354.

¹³⁴ მ. დიდებულიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 26.

საერთოდ არად ჩავაგდოთ ბიზანტიური კულტურის, კერძოდ, არქიტექტურის წილი და ზემოქმედება დასავლეთ საქართველოზე, სახელდობრ, აფხაზეთზე. ის საკმაოდ თვალსაჩინოა და შეუძლებელიცაა, არ არსებულებოთ ამ მიწა-წყალზე ჯერ რომის იმპერიის, შემდგომ კი ბიზანტიის პოლიტიკური დომინირების პირობებში. ზემოთაც გვქონდა უკვე საუბარი ისეთ ძეგლებზე (იხ., მაგ. ბიჭვინტის სამნავიანი ბაზილიკა, ნანილობრივ – VIII ს-ის დრანდის გუმბათიანი ტაძარი¹³⁵ და ზოგიერთი სხვა) ანდა ცალკეულ ფორმებზე (ლიხნის გუმბათი), რომელნიც მეტ-ნაკლებად პირდაპირაა ბიზანტიურ არქიტექტურულ და სამშენებლო ტრადიციაზე დამოკიდებული. შეიძლება ისაც დავუმატოთ, რომ დასავლეთისკენ ღია პასტოფორიუმებიცა და ნართექსის მუდმივი გამოყენებაც, იქნებ, იმავე წყაროდან მომდინარეობდეს. და მაინც, აფხაზეთის ძეგლების „ბიზანტიურებთან“ გაიგივება მხოლოდ მათი საკუთარი მხატვრული რაობის იგნორირების გზით თუა შესაძლებელი, მხოლოდ მაშინ, თუ იმითღა დავკმაყოფილდებით, კონსტანტირება მოვახდინოთ, ესა თუ ის აღმოსავლეთ ქართულს არ ჰგავსო.

დავინყოთ იმით, რომ თვით ჩვენს მიერ ნახსენები ელემენტები არც თავად ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაა ეგზომ უცნობი. ასე, ნართექსი არა მაინცდამაინც ბიზანტიური, არამედ ზოგადქრისტიანული ფორმაა და ის თუნდაც იმავე წრომში შეგვიძლია მივუთითოთ. იგივე შეიძლება ითქვას მოუფარგლავ პასტოფორიუმებზეც – ისინი ზოგიერთ ადრეიზანტიურ ბაზილიკაშიც არის ცნობილი¹³⁶ და მრავალ, თუ არა უმრავლეს შუაბიზანტიურ ეკლესიაშიც.¹³⁷ მაგრამ გვერდითი, მთავარ სივრცეში გახსნილი აფსიდები სამშვილდის სიონშიც (VIII ს.) მოიპოვება, „გარდამავალი ხანის ეკლესიებშიც – (რევაზაშენი) და XII-XIII საუკუნეების ზოგიერთ გუმბათოვან ტაძარშიც.¹³⁸ ამასთან, ისიც სათვალავშია ჩასაგდება, რომ საკურთხევლის ასე მოწყობა შეიძლება მხატვრული ძიებებით, სტილისტური მომენტით კი არაა განპირობებული, არამედ რომელიღაც პრაქტიკულ-საღვთისმსახურო საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებლობით. მაგრამ თუკი ამ კომპოზიციური მომენტების გამოყენება უსათუოდ ბიზანტიურ ზემოქმედებად უნდა დავინახოთ, მაინც გასათვალისწინებელი იქნება ის არქიტექტურულ-მხატვრული კონტექსტი, რომელშიც ისინი ჩვენს განსახილველ ტაძრებშია მოქცეული.

უპირველეს ყოვლისა, შევნიშნავთ, რომ სამშენებლო ტექნიკა აფხაზეთში, იშვიათი გამონაკლისით (დრანდა, ბიჭვინტის გუმბათიანი ტაძარი) ბიზანტიური კი არა, ისეთივეა, როგორც რიგ აღმოსავლეთ-ქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოში. ეს გადამწყვეტი არგუმენტი, ცხადია, არ არის, მაგრამ, სულ ცოტა, გარკვეული მნიშვნელობის მქონე გარემოებაა.

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მაინც, აფხაზეთში დადასტურებული სივრცითი სტრუქტურებია, რომლებზედაც ცოტა ხნის წინ გვქონდა საუბარი. რომ „სამეკლესიანი ბაზილიკები“ უეჭველად ქართულ ტრადიციაზე მეტყველებს, თითქოს, არავისთვისაა სადაო. საგულისხმო კია, რომ ზოგჯერ ცდილობენ ჩვენს მიერ აღწერილი ამ ტიპის ტაძრები შედარებით მოგვიანო ხანით გადაათარილონ.¹³⁹ ეს არც არის გასაკვირი – აშკარად საქართველოში შექმნილი ეს კომპოზიცია სრულიად არ ეწერება მთლიანად „გაბიზანტიურებულ“ დასავლეთ საქართველოს ბევრისთვის ჩვეულ სურათში.

უფრო რთულადაა საქმე „ჩანერილი ჯვრის“ ტიპთან მიმართებით. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ის შუაბიზანტიური ტაძარმშენებლობის ნამყვანი თემა ხდება, მერე კი მთელ სამართლმადიდებლოში იკიდებს ფეხს. აღარ გავიმეორებთ ზემოთ უკვე ნათქვამს იმის თაობაზე, რომ ჯერაც არ მოიპოვება ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებაში ამ ტიპის დადგინების დამაჯერებელი კონცეფცია,¹⁴⁰ არც მის საკვლევად უფრო ხშირად გამოყენებული „ტიპოლოგიური მეთოდის“ პრინციპებზე ვისაუბრებთ ხელმეორედ. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ არ არის ცნობილი ამ თემის ერთი მაგალითი, IX საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე ხანით უყოყმანოდ დათარიღებული.

¹³⁵ Р. М е п и с а ш в и л и, Дранда. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ. 1983.

¹³⁶ R. F. Hoddinott, Early Churches in Makedonia and Southern Serbia, London, 1963, სურ. 103, 104.

¹³⁷ იხ. თუნდაც, მასალა, გამოქვეყნებული განმაზოგადებელ წიგნში: C.Mango, Byzantine Architecture, 11 N. Y., 1976)

¹³⁸ პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა XI-XVIII სს., თბ. ტ. I, 1975, ტაბ. 75; ტ. II, 1978, ტაბ. 2-3.

¹³⁹ იხ. მაგ.: Ю. Н. Воронов, В мире архитектурных памятников Абхазии, М., 1978.

¹⁴⁰ საგულისხმოა, რომ ტრილიეს ორი ეკლესია (იხ. C. Mango, Byzantine Architecture, p. 180, სურ. 191-194) ან VIII, ან XI-XIII სს-ით თარიღდება!

რადგანაც „ჩანერილი ჯვრის“ ტიპის უადრესი ეკლესია აფხაზეთში – ბზიფისა – სულ ბევრი, უძველესი ბიზანტიური ნაგებობების თანადროულია, თუ არა მათზე ადრეული, ვარაუდით არ ღირს, ვითომ ის ბიზანტიაზე იყოს დამოკიდებული, მითუმეტეს, რომ ამიერკავკასიაში, სახელდობრ კი, საქართველოში ამ კომპოზიციას უკვე ორასწლიანი ტრადიცია ჰქონდა. არაფერო მეტყველებს იმაზეც, თითქოს ბიზანტიურ „ნიმუშებს“ ჩვენს მიერ გამოყოფილი ჯგუფის სხვა შენობებზე მოეხდინათ ზეგავლენა. მათ ერთმანეთთან ფომების მემკვიდრეობითაც აკავშირებს და ერთი მეორის მიმყოლი გადაწყვეტების ლოგიკური თანმიმდევრობაც – ჩვენ ის კომპოზიციის გამდიდრებაშიც ვნახეთ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა – დასავლეთ საქართველოს ბიზანტიასთან მიმართების პრობლემაზე მსჯელობის დროს ყურადღების გარეშე ვერც ტრაპეზუნდის ძეგლებს დავტოვებთ, რომლებსაც ზოგიერთი მკვლევარი აფხაზეთის გუმბათიანი ეკლესიების საძიებელ „პროტოტიპებად“ მიიჩნევს.¹⁴¹ მათ მართლაც საზიაროდ არც თუ მცირედი აქვს: სამშენებლო ტექნიკა, საკურთხეველის მონყობა, ზოგიერთი დეკორატიული ელემენტი (მაგ., ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი პროფილირებული სარტყლები სარკმლების თავზე). მაგრამ – რომ არაფერი ვთქვათ მათ ჯერაც არცთუ საკმარის შესწავლელობაზე (ლამისაა ყველაზე საფუძვლიანი პუბლიკაცია ტრაპეზუნდის ეკლესიებისა ს. ბალანტი წერილია,¹⁴² რომელიც დიდ სიღრმეს ვერ დაიკვეხნის) – რაც დაბეჯითებით დასკვნების გამოტანას გამორიცხავს, ყველაფერი, რაც მათზე ვიცით, უფრო საპირისპიროს გადაგანწყვეტინებს. ჯერ ერთი, ტრაპეზუნდის გუმბათიანი ეკლესიები ან ძალიან სახეცვლილია (ხრისტოკეფალოს – შესაძლოა X ს-ის, ფენის შემცველი, თუმცა საკუთრივ გუმბათიანი ნაწილი ბევრად გვიანია), ანდა აფხაზეთის ნაგებობების მერე დიდი დახანებითაა აშენებული, რის გამოც პირველთა უკანასკნელზე დამოკიდებულების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. რაც მთავარია, ტრაპეზუნდის ტაძრები მეცნიერებაში ბიზანტიური არქიტექტურისთვის უმაგალითო მოვლენადაა აღიარებული, მათი თავისებურებების ერთ-ერთ მიზეზად კი ამიერკავკასიის – სომხეთის და საქართველოს – ზეგავლენას ასახელებენ. ასე, მაგალითად: რ. კრაუტჰაიმერი, რომელსაც, ჩვეულებრივ ბიზანტიური სამყაროს „განაპირა მხარეების“ ზეგავლენის აღიარება დიდად არ ეხალისება, საუბრობს ტრაპეზუნდის წმ. სოფიის კავშირზე (XIII ს.) ტრადიციებთან „მცირე აზიის მთიანეთისა, რასაც ქნებ სომხური ან ქართული გავლენა შეემატა“¹⁴³ ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ მცირეაზიური ტრადიცია, რ. კრაუტჰაიმერის მიხედვით, რომელიც აქ ს. ბალანტის შესხედულებას იმეორებს, თლილი ქვის ნყოფასა და ფასადების ქვაზეკვეთილობის გამოყენებას გულისხმობს – ე. ი. იმ ნიშნებს, რაც ადრექრისტიანული ხანისათვის მთელი სირიულ-მცირეაზიური რეგიონისთვის, ამიერკავკასიისთვის კი შუა საუკუნეების სიგრძეზეცაა საერთო – და „ბაზილიკურობას“, ე.ი., მთავარი სივრცის წაგრძელებულობას. უკანასკნელ ნიშანს ეს ავტორები პირდაპირ მცირე აზიის ბაზილიკებს უკავშირებენ.¹⁴⁴ არადა, ეს, მათთვის ესოდენ საკვირველი თვისება, მართლაც უცხო ბიზანტიური „croix inscrite“-თვის, როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, დამახასიათებელი და ბუბებრივია არა მარტო აფხაზეთის ეკლესიებისთვის, არამედ მთლიანობაში აღებული საქართველოს IX-X საუკუნეების ტაძრებისთვისაც. ამიტომაც, მეტისმეტი სითამამე არ უნდა იყოს ქართული არქიტექტურული გამოცდილების ტრაპეზუნდელ ოსტატებზე ზეგავლენა ივარაუდო. მრავლისმთქმელია, მეორე მხრივ, რომ ტრაპეზუნდის ეკლესიათა უმრავლესობაში გუმბათქვეშა საყრდენებად სვეტებია გამოყენებული, რომელნიც სრულიად სხვა სივრცით ხედს აპირობებენ, ვიდრე აფხაზეთში აგებულ ქართულ ტაძრებში გვაქვს – ეს ნიშანი მათ საკუთრივ ბიზანტიურ ტრადიციასთან ნათესაობას ავლენს.

ზემონათქვამი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მიუხედავად ცალკეული ელემენტების მთელი მსგავსებისა, არ ღირს მივცეთ აფხაზეთის ტაძრების ბიზანტიურ ნიმუშებს გადაჭარბებული მნიშვნელობა. რაც მთავარია, თავად სივრცითი სტრუქტურებიც და ხუროთმოძღვართა ძიებების მიმართულებაც აქ ემთხვევა იმას, რასაც საქართველოს სხვა კუთხეებში ვხედავთ –

¹⁴¹ ბოლო დროს ამ აზრის დასაცავად იხ.: В. Кузнецов, Зодчество средневековой Алании, Орджоникидзе, 1977.

¹⁴² S. Ballance, The Byzantine Churches in Trebizond. Anatolian Studies, vol. X, 1960, გვ. 141—175; ასევე: D. Talbot-Rice, The Church of Hagia Sophia at Trebizond, Edinburgh, 1968

¹⁴³ R. Krautheimer, დასახ. ნაშრ. გვ. 444.

¹⁴⁴ S. Ballance, დასახ. ნაშრ. გვ. 172.

ამით აიხსნება სწორედ ქართლისა და კახეთის ძეგლებთან საზიარო თვით წვრილმანი ნიშნებს რომ ვადასტურებთ. ხოლო თუკი სხვაობები გვაქვს, არ არის სრული იგივეობა რომელიმე ცალკე აღებულ აღმოსავლეთქართულ ძეგლთანა თუ ძეგლთა ჯგუფთან, ესეც სავსებით შეესატყვისება საქმის საზოგადო ვითარებას – გავიხსენოთ მკვეთრი სხვაობა თავად აღმოსავლეთქართული „ქვეყნების“ არქიტექტურისა, ძირითადი ტენდენციების ერთიანობისას. ეს, ვიმეორებთ, სულაც არ ნიშნავს ბიზანტიასთან, ბიზანტიურ სამყაროსთან კონტაქტების მნიშვნელობის სრულ უარყოფას – დროდადრო ისინი წინაც მოიწევენ – უფრო ძლიერად ადრეულ ხანაში (ბიჭვინტის ბაზილიკა, დრანდა), მაგრამ ზოგჯერ მოგვიანოდაც. და მაინც, მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ თანდათანობით ხდებოდა ბიზანტიური კულტურის გავლენის სფეროსაგან დაცვილება.

ამგვარ ტენდენციას მყარი საფუძველი კუთხის ისტორიულ ცხოვრებაში, იმ სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებში ეძებნება, რომელნიც აქ VI-დან XI საუკუნემდე მიმდინარეობდა.¹⁴⁵ ცალკეული ძეგლების გარჩევასა სწირად ვახსენებდით თანმდევ ისტორიულ ამბებს და ახლა მხოლოდ ზემოთქმულის თავმოყრა დაგვრჩენია. V-VII საუკუნეებში ბიზანტია ჯერ პროტექტორია, მერე კი სრულიად იმორჩილებს მას. მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ახალ პოლიტიკურ ძალასთან – არაბებთან ომით დასუსტებული, ხატმებრძოლობით გამოწვეული მღელვარებით შერყეული ბიზანტია დაკარგავს წინანდელ სიძლიერეს, დასავლეთ საქართველო იცილებს მის „მეურვეობას“ და VII საუკუნის ბოლოს აფხაზეთის სამეფო ჩნდება და მაშინვე აქტიურად ებმება ამიარკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის ერთგება „ქართლსა ზედა“, საქართველოს ცენტრალური ნაწილის დასაუფლებლად მიმდინარე ცილობაში, რომელშიც ტაო-კლარჯელი ბაგრატიონებიც მონაწილეობდნენ და კახეთიც. მაგრამ, ძალიან მალე მათ ხშირ სამხედრო შეტაკებებში ისახება მკაფიო გეზი-ყოველი პოლიტიკური წარმომაქმნი მისწრაფის ყველა ქართული მიწა ერთ სახელმწიფოში გააერთიანოს. ერთიან ფეოდალურ მონარქიად აქციოს, რაც X საუკუნის ბოლოს განხორციელდა კიდეც. ამ მისწრაფების თვალნათლივი გამოსახულება იყო, სახელდობრ, აფხაზეთის სამეფოს ხელისუფალთა საეკლესიო პოლიტიკაც. უკვე X საუკუნის დამდეგისათვის მათ მიაღწიეს კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან იერარქიული დამოკიდებულების გაუქმებას საეკლესიო მმართველოვის მხრივაც და, შესაბამისად, საღვთისმსახურო ენის თვალსაზრისითაც – დასავლეთ საქართველო, ჩვენთვის საინტერესო მიწა-წყლითურთ, სრულიად საქართველოს ეკლესიის შემადგენელი ნაწილი ხდება. ისე ჩანს, რომ არქიტექტურის ძეგლები სრულ საფუძველს გვაძლევს ეს მოვლენა იმ დროის მთელ კულტურაზე გავავრცელოთ – ისინი იმავე მიზანსწრაფვას, იმავე პროცესებს ასახავს. არც აფხაზეთში „სამეკლესიანი ბაზილიკების“ ასე ადრე გამოჩენა უნდა გვაკვირვებდეს. უადგილო არ იქნება აქ VI საუკუნეში ადგილობრივ და ბიზანტიელ ხელისუფალთა ფრიად რთული ურთიერთობაც გავიხსენოთ – თუნდაც მეფე გუბაზის მიერ 542 წელს წამოწყებული ანტიბიზანტიური აჯანყება. თანაც უკვე მაშინ (VI-VII სს-ის დასაწყისი) საქართველოს ეკლესიის ე. ი. მცხეთის საკათოლიკოსოს საყდარს გარკვეულ ზომაზე ხელი დასავლეთ საქართველოზეც მიუწვდებოდა, რასაც კულტურულ, კერძოდ კი, მხატვრულ კავშირურთიერთობათა გაძლიერებაც უნდა მოჰყოლოდა. ამრიგად, შესასწავლი მხარის არქიტექტურას და მის უმნიშვნელოვანეს ქმნილებებს, VIII-IX-X საუკუნეების გუმბათიანი ეკლესიებს – ღრმად აქვს გადგმული ფესვები ქვეყნის ცხოვრებაში, ისინი მისი თავგადასავლის, მისი ისტორიის სრულფასოვანი გამოსახულებაა.

¹⁴⁵ ჩვენი მოკლე ისტორიული მიმოხილვა ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშას, მ. ლორთქიფანიძის, ზ. ანჩაბაძის, დ. მუსხელიშვილის და სხვა ქართველი ისტორიკოსების შრომებზეა დამყარებული.

დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ ჯგუფი გუმბათიანი ტაძრებისა, რომლებიც საქართველოს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – VIII-X საუკუნეებში ის ე.წ. „აფხაზეთის სამეფოს“ შემადგენლობაში შედიოდა – არის შემორჩენილი. ყველა მათგანი მიახლოებით ასწლოვან მონაკვეთში, IX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვიდრე X საუკუნის შუა ხანამდეა შექმნილი და ოთხბურჯიანი „ცროის ინსკრიფცია“-ს ვარიაციებს წარმოადგენს. ამას გარდა, ისინი სტილისტური განვითარების ერთი ეტაპის ძეგლებია, თუმცა მის სხვადასხვა ფაზას წარმოაჩენს. ჩვენ დავინახეთ, აგრეთვე, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი ეკლესიების მხატვრული სახის განსხვავებული გადაწყვეტა დიდწილად განპირობებულია დაკვეთის სპეციფიკით, მათი ფუნქციით, ქვეყნის ცხოვრებაში მათი ადგილით, დასასრულ, ისტორიული პირობებით.

ჩვენი კვლევის შედეგები შუა საუკუნეების არქიტექტურის ისტორიის უფრო ზოგადი საკითხების გაგებასაც გვაახლოებს. აფხაზეთის ძეგლებმა შესაძლებლობა მოგვცა დავრწმუნებულვიყავით, რომ საქართველოს ამ მხარის არქიტექტურულ პრაქტიკაში ბიზანტიური არქიტექტურის ელემენტებია შემოღწეული. ისიც შეიძლება, ბიზანტიაში განსწავლული მშენებლების, ანდა სულაც ბერძენი ოსტატების მონაწილეობა ვივარაუდოთ. მაგრამ საკმაო საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ეს წვლილი, თუმცა ძლიერ მოქმედებს კიდევ ცალკეული ნაგებობის იერზე, მაინც არ არის მთლიანობაში რეგიონის არქიტექტურული „სახის“ განმსაზღვრელი. ამაზე მჭიდროა ჩვენი ტაძრების კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებასთან, რაც თემატურ რეპერტუარშიც ვლინდება და მრავალი საზიარო ფორმის არსებობაშიც. მაგრამ არც ამ შემთვევაში შეიძლება საუბარი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტაძართა არქიტექტურული გადაწყვეტის სრულ იგივეობაზე. ისტორიული საქართველოს სხვადასხვა „ქვეყნისათვის“ საზიარო მოტივები აქ საკმარისად თავისებურადაა ინტერპეტირებული, რამაც მოგვცა უფლება არქიტექტურის „აფხაზეთის სკოლაზეც“ გველაპარაკა.

ყოველივე ეს, ჩვენი რწმენით, სხვაგვარად ვერც იქნებოდა. საქრისტიანოს, და მითუმეტეს, აღმოსავლეთ-საქრისტიანოს, როგორც ხშირად ამბობენ „ბიზანტიური“ წრის კულტურა და ხელოვნება, მრავალი საზიარო ნიშნითაა აღბეჭდილი და შეიძლება წარმოდგენილ და განხილულ იქნას როგორც ერთი მთლიანობა; შესწავლის ასეთი ნესი სავსებით მისაღებია, როდესაც საქმე საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარების დიდი ეტაპების გამოვლენასა ან არქეოლოგიური კულტურების გამიჯვნას ეხება. მაგრამ ეს სრულებითაც აღარ არის საკმარისი, იმდროინდელი არქიტექტურის ამომწურავად თუ, გინდაც, უბრალოდ სწორად გასაშუქებლად. ამგვარი განხილვისას მუდამ რჩება გაუთვალისწინებელი ბევრი რამ მხატვრულად არსებრივი, ნაიშლება ხოლმე ყოველივე ინდივიდუალური, თვითმყოფადი. ძალზე ცალმხრივია არქიტექტურის შესწავლის „ტიპოლოგიური“ მეთოდიც, რომელიც უგულვებელჰყოფს ყველაფერს არა მარტო რეგიონალურს, დროის ნიშნებსაც, მაშინ როდესაც სინამდვილეში ერთი და იგივე ტიპოლოგიური მოდელი, სხვადასხვა სტილისტურ გარემოში გამოჩენისას, სხვადასხვა მხატვრული „შინაარსით“ ივსება, სრულიად განსხვავებული მხატვრული მგრძობელობის გამომხატველი ხდება. ამ დროს კი, ყოველ ეპოქას, ქვეყანას, თვით ერთი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონი თავისებურად იგებენ საზიარო სტრუქტურებს და განახორციელებენ მათ, თავის ყაიდაზე გარდასახავენ გარედან შემოსულ იმპულსებს. ამ გარემოების გაუთვალისწინებლად ვერ მივიღებთ სწორ წარმოდგენას შუა საუკუნეების არქიტექტურის საერთო სურათის შესახებ. ამ დებულებას, ჩვენი აზრით, საუკეთესოდ აფხაზეთის საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლები შეამტკიცებს.

ОТ ИЗДАТЕЛЕЙ

Настоящая работа увидела свет 30 лет тому назад, в совсем других условиях, даже в другом государстве, хотя, претензию убедится, многие из беспокоящих нас сегодня проблем, мучили нас и тогда – она и потому по-прежнему актуальна.

В том далёком уже, 1988 году автора, проф. Л. Д. Рчеулишвили уже не было среди живых, хотя свой труд для издания он уже успел подготовить сам. Из „Введения,, читатель узнает, что эта небольшая книга – плод многолетней работы, в ней сконцентрированы долгий, как интеллектуальный, так и эмоциональный опыт. Но несмотря на фразы, он считал преждевременным обнародовать своё исследование, которое, по его мнению, не было доведено до конца. Коллегам и ученикам едва ли не силой удалось добиться что-бы автор предал окончательный вид хотя-бы предварительному изданию. На будущее, быт может, небезынтересно учесть, что больше всего волновало Левана Дмитриевича недостаточное количество художественно-сравнительных анализов, особенно с византийскими, прежде всего, трапезундскими церквами-осуществить их, господствующем положение было, мягко говоря, очень непросто...

Большая часть работы была написана по-грузински, но поскольку по понятными причинами книга должна была выйти на русском языке, окончательная правка и редактирование выполнена уже в русском тексте, по-русски же написан и ряд-особенно заключительных фрагментов. Поэтому представленный здесь грузинский текст дополнен и выправлен уже следуя русской печатной версии и, по этой причине, местами в языковом отношении, текст и не вполне похож на таковой Л. Д. Рчеулишвили. Между тем, мы сознательно сохранили некоторые термины и формы, от которых теперь отказались, но которые, вероятно, были бы оставлены автором. Несколько мелких правок внесено в русский текст.

Мы совершенно сознательно не указываем в новом издании – с одним лишь исключением – новейшие публикации так как некоторые тематический в иной плоскости, иные же такого уровня, что мы не нашли возможным упоминать их в тексте Л. Д. Рчеулишвили.

Не питались мы как-то „осовременить,, книгу, подогнать её к новейшему _ порuke противоположенному позиции Левана Дмитриевича – видению. Быть может, и эта некоторая „старомодность,, окажется бесполезной, напомнить людям некоторые, всегда насущные проблемы.

ВВЕДЕНИЕ

ОБЪЕМ И ЗАДАЧИ ИССЛЕДОВАНИЯ, ЕГО ХРОНОЛОГИЧЕСКОЕ И ТЕРИТОРИАЛЬНЫЕ ГРАНИЦЫ

В настоящей работе рассмотрены памятники архитектуры эпохи феодализма, находящиеся на территории Абхазской АР. Предметом нашего исследования являются произведения зодчества одного лишь звена исторического развития, а именно, возведенные в период т. н. „Абхазского царства“, хронологически охватывающий VIII–X века. Географический ареал их распространения охватывает территории исторических (феодального времени) Цхумского Абхазского и Бедийского¹ „эриставств“ (воеводств), почти целиком совпадающих с границами современной автономной республики.

Внимание наше мы сосредоточили на культовом зодчестве. Таковой выбор объекта монографического исследования определен не одним только тем соображением, что памятники этого рода сохранились в большом количестве и сохранность их лучше, но и тем обстоятельством, что в них более полно и наглядно отражены духовные запросы и культурное своеобразие создавшего их общества. Это, в свой черед дает нам возможность шире поставить важные проблемы архитектуры средневековой Абхазии, вопросы ее генезиса, самостоятельной ее эволюции, либо взаимоотношений с искусством соседних стран, рассмотреть отношение этих памятников к основным путям развития архитектуры феодальной Грузии, их контактов с главным центром культуры той поры – Византией и т.д.

Более того, храмы, о которых будет идти речь, представляют собой лишь одну часть памятников церковного строительства. Они объединяются в тесно связанную эволюционно, родственную по своей художественной природе, стилистическую группу. Такое ограничение темы исследования, сужение ее хронологических и географических пределов, наметилось во время полевых работ и подсказано изучением самого фактического материала и его осмыслением в аспекте динамики исторического развития.

